პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 ივნისი **პარასკევი** 2011

№140 (13437) ფასი 80 თეთრი



## მერაბ ჟორდანია ლუის ვან გაალს იწვევს

2




# დინამო ესპანურს სწავლობს

## ახალი

სპონსორი

სტილი

სტუმარი

3

# შეუჩერებელი

ინტერვიუ მამუკა გორგოძესთან



13






## ლუჩანო მოჯი კალჩოდან სამუდამოდ მოკვეთეს

9

# უკვე ოფიციალურად

# გერმანია უბალაკოდ



7

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 60 000 ბევრი კითხვის ნიშნით

რომორც გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **გია ფირცხალავასგან** შევიტყვეთ, უმაღლესი ლიგის კლუბებს ჩემპიონატში სამონაწილეოდ 40 ათასი ლარი, ხოლო პირველლიგელებს 20 ათასი ლარი დაუწესდათ. თუმცა რეალურად უმაღლესლიგელებს 60 ათასის გადახდა უწევთ, რადგან ვალდებულნი არიან, გუნდები დუბლშემადგენლობათა და ჭაბუკთა გათამაშებებზეც გაიყვანონ და საამისოდ ცალკე 20 ათასის გადახდაა საჭირო. კლუბებმა სამონაწილეო თანხა 1 ივლისამდე უნდა დაფარონ.



ზიანს აყენებს და იძულებული ვხდებით, ხარჯები მნიშვნელოვნად შევამციროთ. ამ თანხის გადახდა გამართული ბიუჯეტის კლუბებისთვისაც არ იქნება იოლი, ზოგ უმაღლესლიგელს კი საამისო სახსრები საერთოდ არ გააჩნია.

*ისიც ითქვა, მსაჯების ფულს სახელმწიფო გადაიხდისო, იქნებ ეს საქმე აღარ გამოდის და მსაჯებმა ხელფასი კლუბების მიერ გადახდილი თანხიდან უნდა მიიღონ?*

როგორც იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივებს მხარს ვუჭერდით, პრეზიდენტის კანდიდატურის წარმდგენებს შორის "ვიტ ჯორჯიაც" იყო, ახლა კი ისეთი ფაქტის წინაშე დავდექით, რომ ვფიქრობთ, რა ვქნათ...

25 ივნისს ფედერაციის ყრილობაა და იქ ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებთ. შესაძლოა, ფედერაციის ხელმძღვანელობას მანამდეც შევხვდეთ".

კიდევ რამდენიმე კლუბს შევეხმიანეთ, რომელთა წარმომადგენლებმაც 60 ათასის გადასახდელად მზადყოფნა გამოთქვეს.

ცხინვალის "სპარტაკის" მესვეურთა პოზიცია ასეთია: *"ამ თანხის ოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი არსებობს, ზოგს ეს თანხა ნორმალურად მიაჩნია, ზოგს კი ებევრება. "სპარტაკი" ფინანსური სიძლიერით რამდენიმე ქართულ კლუბს ვერ შეედრება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი, დუბლებისა და ჭაბუკთა გუნდების საერთო შესატანი თანხა, 60 ათასი ლარი ნორმალური და მისაღები თანხაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთის ფედერაცია სწორედ საწევრო შესატანიდან იხდის მსაჯების მომსახურების ფულსა და სხვა საჭირო თანხებს".*

## 60 ათასი ვისთვის ადვილია, ვისთვის...



უმაღლესლიგელებს შარშანაც 40 ათასის გადახდა ევალებოდათ, თუმცა მას შემდეგ, რაც ეროვნული ჩემპიონატი პროფლიგისგან ფედერაციამ გადაიბარა, სფფ-ის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** განაცხადა, რომ საწევრო განახევრებულია. *"საწევრო უკვე განახევრებულია და კლუბებმა 20 ათასი ლარი უნდა დაფარონ. დანარჩენი ნახევრის გადახდა კი სახელმწიფომ ითავა",* - ეს თქვა სიჭინავამ გასული წლის 6 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, კლუბებს კი შეხვედრაზე სამონაწილეოს გაუქმებასაც კი დაჰპირდა...

რამდენიმე დღის წინ ამ თემას სტატია მივუძღვენით და გამოვთქვით ვარაუდი, რომ სამონაწილეო თანხის გადახდა არაერთ უმაღლესლიგელს გაუჭირდებოდა. ისიც ლოგიკური იქნება, თუ დაპირებული შეღავათების ვერმიღებით ზოგიერთი კლუბი უკმაყოფილო დარჩება, თუმცა ამას საჯაროდ ყველა არ იტყვის...

თუმცა არის განსხვავებული პოზიციაც. ფედერაციის გადაწყვეტილებას "ვიტ ჯორჯია" გამოეხმაურა.

***მალხაზ კაკაურიძე***, "ვიტ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი: "კლუბებმა მივიღეთ დაპირება, რომ მომავალი სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში ყოველგვარი გადასახადის გარეშე ვითამაშებდით. ჩვენი კლუბი არ აპროტესტებს დუბლებისა და ჭაბუკების შესატანის 10 ათასიდან 20 ათას ლარამდე გაზრდას, საუმაღლესლიგო ტარიფით კი უკმაყოფილონი ვართ.

პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ჩვენთვის უსიამოვნო სიურპრიზია. კლუბში საგანგებო კრება ჩავატარეთ და ყველას აზრია, რომ ეს 60 ათასი "ვიტ ჯორჯიას" ბიუჯეტს სერიოზულ

**მიხეილ აფხაზავა,** "გაგრას" იურიდიული და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი: *"ჩვენ გვქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლუბებს გარკვეული შეღავათები დაუწესდებოდათ, რაც უთუოდ კარგი და მისასალმებელი იქნებოდა. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ასე არ მოხდა, "გაგრა" უმაღლეს ლიგაში აუცილებლად ითამაშებს".*

**მალხაზ ჟვანია,** "მერანის" მთავარი მწვრთნელი: *"პრობლემა არ გვაქვს, დაწესებულ თანხას აუცილებლად დროულად გადავიხდით".*

"სიონის", "ბაიასა" და "კოლხეთის" მესვეურთათვის კი ამ კითხვის დასმა დღეს ყოველგვარ აზრსაა მოკლებული – სამივე კლუბი დღეისთვის სრულ გაურკვევლობაშია, არც დაფინანსების საკითხია გარკვეული და არც ახალი სეზონისთვის მზადება დაწყებულა.

გუშინ ზვიად სიჭინავა სამეგრელოში იმყოფებოდა და ფოთის სტადიონზე ახალი მოედნის დაგების პირობა დადო. რა თქმა უნდა, სტადიონის რეაბილიტაცია ძალიან კარგია, მაგრამ ეს კლუბის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების გარანტიას არ იძლევა. ამას ზუგდიდში ვიზიტი მოჰყვა, სადაც უთუოდ გაიმართებოდა მსჯელობა "ბაიას" მომავალზე, ისევე, როგორც ფოთში – "კოლხეთის" ბედზე. თუ ფედერაციის თავკაცის მეგრულ ვოიაჟს ამ კლუბებისთვის სასიკეთო შედეგები მოჰყვა, ოპერატიულად გაცნობებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია



დავით ბოლქვაძე



ვალერი ბოლქვაძე

# გვარით ერთი, ბედით ერთი

## სად ითამაშებენ ბოლქვაძეები?

იმ დროს, როდესაც საქართველოში შემოქმედი ცენტრალური ნახევარმცველების კატასტროფული დეფიციტია, ორი ასეთი ფეხბურთელი უსაქმოდ დარჩა - ორივე გვარად ბოლქვაძეა.

სეზონის დასრულების შემდეგ ცხინვალის "სპარტაკი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. **სოსო გრიშიკაშვილი** თბილისის "დინამოში" მიიწვიეს, რამდენიმე ახალგაზრდა კი კლუბის ხელმძღვანელებმა ან დაითხოვეს, ან ტრანსფერზე დააყენეს.

ტრანსფერზე დაყენებულთა შორის მოხვდა ნახევარმცველი **ვალერი ბოლქვაძე,** რომელსაც სეზონის დასკვნითი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. გასული სეზონის დასაწყისში თბილისის "დინამოში" უთამაშებელ 23 წლის პლეიმეიკერს ცხინვალელთა ხელმძღვანელობა ენდო და ფეხბურთელმაც იმედები გაამართლა. ბოლქვაძემ გულშემატკივარსაც დაამახსოვრა თავი. თუმცა აპრილის ბოლოს დაშავდა და სეზონი ველარ ჩაამთავრა.

ტრავმა გახდა მისი გაშვების მიზეზი თუ სხვა რამ, ჩვენთვის უცნობია. ფაქტია, რომ ფეხბურთელმა ახალი კლუბი უნდა მოძებნოს. წესით, ეს ბოლქვაძეს არ უნდა გაუჭირდეს.

უგუნდოდ დარჩა ბევრად უფრო გამოცდილი, ტიტულოვანი და ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები **დავით ბოლქვაძე.** 30 წლის ნახევარმცველი რუსთავის "მეტალურგიდან" გაუშვეს. გასული სეზონი ბოლქვაძისთვის საუკეთესო არ ყოფილა, მაგრამ მისი შესაძლებლობები თბილისის "ამერსა" და ზაქათალის "სიმურგში" კარგად გამოჩნდა – მან ამ კლუბების წარმატებებში დიდი როლი ითამაშა. 30 წელი კი ის ასაკი არ არის, ასეთი გამოცდილი მოთამაშე უგუნდოდ რომ დარჩეს.

თუმცა, სად ითამაშებს დავით ბოლქვაძე, ჯერ უცნობია. მისი თქმით, ჯერ შეთავაზებები არ აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# ქართველები მეოთხეს დასჯერდნენ

ბაქოში "კასპიის თასის" გათამაშება დასრულდა. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც ჯგუფური ეტაპი ესპანეთთან ფრითა და მეორე ადგილით დაასრულა, მესამე ადგილისთვის მასპინძელ აზერბაიჯანს დაუპირისპირდა.

მატჩის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. აზერბაიჯანელები მე-8 წუთზე თერთმეტმეტრიანით დაწინაურდნენ, 26-ეზე კი **თორნიკე მაჭავარიანმა** გაათანაბრა. ძირითად დროში გოლი აღარ გასულა და საქმე პენალტების სერიაზე მიდგა, სადაც ქართველებმა სამი დარტყმა გააფუჭეს და მასპინძლებმა 3:0 გაიმარჯვეს.

**ვასილ მაისურაძის** გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ადამია, გაბაძე, ჩაკვეტაძე, მელიქიძე, ჭანტურია, ცინცაძე, ჭეჭელაშვილი, ახვლედიანი, დარციმელია (მზევაშვილი), გუგუშვილი (მაკარაძე), მაჭავარიანი (პაპუნაშვილი).**

ტურნირი თურქეთის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში ესპანეთს პენალტების სერიით სძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩვენებურები უცხოეთში

# ჟორდანია ვან გაალს ეპატიჟება

მას შემდეგ, რაც ინგლისელმა **სტივ მაკლარენმა** არნემის "ვიტესში" მუშაობაზე უარი თქვა, ჰოლანდიური კლუბის ქართველმა მფლობელმა **მერაბ ჟორდანიამ** წინადადებით კიდევ უფრო ავტორიტეტულ სპეციალისტს მიმართა – ლაპარაკია **ლუის ვან გაალზე,** რომელიც მიუნხენის "ბაიერნიდან" დათხოვნის შემდეგ უმუშევარია.

ჟორდანია იმედოვნებს, რომ კლუბის მოკრძალებული სახელის მიუხედავად, ვან გაალისთვის ეს წინადადება საინტერესო აღმოჩნდება. იგი ჰოლანდიელ სპეციალისტს მხოლოდ მთავარი მწვრთნელის თანამდებობას კი არა, გაცილებით ფართო უფლებებს სთავაზობს და მზადაა, პრეზიდენტის პოსტიც ჩააბაროს.

ვან გაალს ამ წინადადებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# დინამოს გენერალური სპონსორი ჰყავს

## პლეიმეიკერი ბანკირი და ახალი ფორმა




ბოგდან ლესიუკი (მარცხნივ) და ზურაბ პოლოლიკაშვილი ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თბილისის „დინამოს" გენერალური სპონსორი გამოუჩნდა – გუშინ კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** და „პრივატბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ **ბოგდან ლესიუკმა** ერთწლიანი ხელშეკრულება გაგრძელების პერსპექტივით გააფორმეს.

პრესკონფერენციის დასაწყისში პოლოლიკაშვილმა „დინამოს" ახალი მაისურაც წარმოგვიდგინა, თბილისურ კლუბს გერმანული კომპანია "იაკოს" ნაცვლად, ასევე გერმანული, უფრო ცნობილი "ადიდასი" შემოსავს. სხვათა შორის, ამაზე აქამდე არაფერი თქმულა.

"დინამოს" გენერალურმა დირექტორმა უკრაინელ ბანკირს საჩუქრად 30-ნომრიანი მაისურა გადასცა:

- ახლახან თბილისის "დინამომ" თასების თასის მოპოვების 30 წელი იზეიმა და ამის აღსანიშნავად ახალი ფორმის პირველ ნიმუშს გადმოგცემთ. სასიამოვნოა, რომ ასეთი სოლიდური ბანკი ჩვენი სპონსორი გახდა. სხვათა შორის, ამ მაისურის შეძენას გულშემატკივრები "დინამოს" მაღაზიაში შეძლებენ, რომელსაც მალე გავხსნით.

მაისურის გადაცემამ ერთ-ერთი ჟურნალისტი ხუმრობის ხასიათზე დააყენა:

**- ბატონო ლესიუკ, "დინამოში" რა პოზიციაზე ითამაშებთ?**

- სხვათა შორის, არც ბლოხინი მომწონდა, არც ბელანოვი და არც ზავაროვი, მყავდა ორი კერპი - ბურიაკი და ყიფიანი. დიდი ფეხბურთი არ მითამაშია, მაგრამ თავადაც პლეიმეიკერი ვიყავი.

საბჭოური პერიოდის ბევრი კლუბია ჩამოყალიბებული გასული საუკუნის 40-იან და 50-იან წლებში. ჩვენი კი ვიწყებთ თანამშრომლობას თბილისის "დინამოსთან", რომელიც 1925 წელს დაარსდა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ერთ-ერთი უძველესია. კიევის "დინამოს" შემდეგ ყოველთვის ამ გუნდს ვგულშემატკივრობდი. დღემდე მახსოვს იმ ისტორიული გუნდის შემადგენლობა მიუხედავად იმისა, რომ დიუსელდორფის გამარჯვებიდან 30 წელი გავიდა.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** მალე ამოქმედდება თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემია, რომელიც ვიტალი დარასელიას სახელობისა იქნება. ამ აკადემიაში ჩვენი მომავალი თაობები უნდა გავზარდოთ.

**ბოგდან ლესიუკი:** „პრივატბანკი" საქართველოში მუშაობას დიდი ხანი აპირებს. ბანკის ჰედოფისის თანამშრომლებს ტრადიცია გვაქვს, დნეპროპეტროვსკში ვიკრიბებით და "დნიპროს" მატჩებს ვესწრებით. აქაც ასე მოხდება - ახალი სეზონიდან "დინამოს" თამაშებს დავესწრებით. იმედია, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიც მოხვდება. უკრაინა ღირსეულად უმასპინძლებს ევრო 2012-ს. ჟურნალისტების გაზვიადებულია, თითქოს არსებობს ორგანიზაციული პრობლემები.

**- სასპონსორო ხელშეკრულებით "დინამოს" რა თანხას გადაუხდით?**

**ბოგდან ლესიუკი:** კონკრეტულ ციფრს ვერ დავასახელებ, ეს კომერციული საიდუმლოა. თუმცა გეტყვით, რომ ქართული კლუბისთვის მცირე თანხა არ უნდა იყოს, ექვსნიშნა რიცხვზე მეტიც. თანამშრომლობის ხარისხზეც არის დამოკიდებული, ურთიერთობა როგორ გაგრძელდება და გაღრმავდება.

**- დავით ყიფიანი ახსენეთ, რომელსაც 60 წელი შეუსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით ხომ არ ფიქრობთ კიევის "დინამოს" ჩამოყვანას და თბილისის "დინამოსთან" ამხანაგური შეხვედრის მოწყობას? ხალხს ასეთი მატჩები მოენატრა და ურიგო სანახაობა არ იქნებოდა.**

**ბოგდან ლესიუკი:** არ ვიცი, ეს რა ფორმით არის შესაძლებელი, იქნებ ვეტერანების მატჩი გაგვემართა. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** სხვათა შორის, ვცდილობთ მატჩის გამართვას არა მხოლოდ კიევის "დინამოსთან", არამედ "დნიპროსთან" და მადრიდის "ატლეტიკოსთან". იმედია, ჩვენი გულშემატკივარი წელიწადში სამ-ოთხ ასეთ საინტერესო შეხვედრას იხილავს.

■ ■ ■

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ "ლელომ" მოკლე კომენტარი ჩაიწერა.

**- ბატონო ლესიუკ, თქვენი აზრით, შეიძლება ქართული ფეხბურთი ბიზნესისთვის საინტერესო გახდეს?**

- ევროპაში ბევრი ქართველი თამაშობს, ანუ აქ ტალანტები არიან და საქმის სწორად წარმართვის შემთხვევაში ქართულ ფეხბურთს განვითარების პერსპექტივა აქვს. ფეხბურთელების ტრანსფერი კი ბიზნესის ნაწილია.

**- კონტრაქტს რა შემთხვევაში გაახანგრძლივებთ?**

- მთავარია, პროექტი წარმატებული იყოს. მაგალითად, კიევის "დინამოსთან" უკვე მესამე წელია ვთანამშრომლობთ. სულ კი სამი კლუბისა და უკრაინის პრემიერლიგის სპონსორები ვართ.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** - ამ გადაწყვეტილებით "პრივატბანკმა" დიდი ნდობა გამოავლინა ქართული ფეხბურთის მიმართ. სხვათა შორის, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ამ ხელშეკრულებით არ შემოიფარგლება, ერთობლივად ვაპირებთ რამდენიმე საბანკო პროდუქტის დანერგვას, რაც ბანკის კლიენტებს სტადიონზე მოსვლის სტიმულს მისცემს. ეს არის მაგალითი სხვა კომპანიებისთვისაც და მალე სხვა სპონსორებსაც მოვიზიდავთ.

**- იოლად ითანხმებთ სპონსორებს. თქვენი აზრით, ზოგადად ძნელია სპონსორების მოზიდვა თუ კლუბებს არ ეხერხებათ ბიზნესის დაინტერესება?**

- ბიზნესის დაინტერესება ძნელია, რადგან ეროვნულ ჩემპიონატს მაყურებელი არ სწყალობს. და რადგან დასწრება არ არის, კომპანიებისთვისაც საინტერესო არ არის ფეხბურთში შემოსვლა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გარსია ბარსელონას სტილს ამკვიდრებს

## ქართულ-ესპანური კონტაქტები

გუშინ „დინამოსა" და „პრივატბანკს" შორის სასპონსორო ხელშეკრულება გაფორმდა, გუშინწინ „დინამოს" და GMG-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი; დღეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი უნდა გავხდეთ: ესპანური საფეხბურთო გრანდის, მადრიდის „ატლეტიკოსა" და საქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდს შორის თანამშრომლობა ოფიციალურად გაფორმდება. თანაც, თბილისში ამ კლუბის პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** გვეწვევა...

ამასობაში კი, „დინამოს" ძირითადი გუნდი მოსამზადებლ ეტაპს სლოვენიაში, კერძოდ ამ ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მორავცე-ტეპლიცეში გადის. შეგახსენებთ, რომ „დინამო" სლოვენიაში 12 ივნისს გაემგზავრა და ორი დღის წინ პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა უკრაინულ „ზარიასთან" (ლუგანსკი). როგორც „დინამოს" პრესატაშემ **გიგა გვენცაძემ** გვაცნობა, ამ მატჩამდეც და იმის მერეც გუნდის ახალი თავკაცი, ესპანელი სპეციალისტი **ალექს გარსია** ფეხბურთელებს დღეში ორჯერადი ვარჯიშებით ტვირთავს; ამასთან, ძირითადი აქცენტი სწრაფ და „ერთი შეხებით" თამაშზეა გაკეთებული. — გარსია თითოეული ფეხბურთელისაგან მაქსიმალურად ითხოვს აგრესიულ თამაშსა და მკაცრი პრესინგის შესრულებას. სწორედ ასეთი სტილით ითამაშა კიდეც „დინამომ" თავის პირველ საკონტროლო მატჩში: გარსია 90 წუთის განმავლობაში ემოციურად მოუწოდებდა დინამოელებს, რომ შეტევაში სწრაფად გადასულიყვნენ და ბურთიც, ერთი ან ორი შეხებით გაეთამაშებინათ. „ზარიასთან" მატჩის შედეგს (0:0) არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სამაგიეროდ „დინამოს" ახალმა თავკაცმა გარკვეული სიახლე შემოგვთავაზა და გუნდი 4-3-3 ტაქტიკური სქემით ათამაშა. როგორც გიგა გვენცაძისგან შევიტყვეთ, ესპანელ მწვრთნელს რამდენიმე ფეხბურთელისათვის ამპლუაც შეუცვლია, თუმცა ამდაგვარ სიახლეებს კიდევ უნდა ველოდოთ. „ზარიასთან" მატჩს დავუბრუნდეთ და „დინამოს" სასტარტო შემადგენლობას გავეცნოთ: კარში **გიორგი ლორია** იდგა, დაცვის მარჯვენა ფლაგზე **შოთა კაშია** ასპარეზობდა, მარცხნივ, გუნდის ახალწვეული **გიორგი რეხვიაშვილი**, ცენტრალური მცველების „დუეტი" **გულვერდ თომაშვილმა** და **ლევან კაკუბავამ** შეადგინეს, ნახევარდაცვაში ცენტრში **ნიკა ფირცხალავა** მოქმედებდა, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ — **ჯამბულ ჯიღაური** და **გიორგი თექთურმანიძე**, სამი ფორვარდიდან თამაში ცენტრალურ თავდამსხმელად **რობერტინიომ** დაიწყო, რომელსაც ფლანგებიდან **დონალდ ჯუისი** და **გიორგი კახელიშვილი** ეხმარებოდნენ. თუმცა, მერე, რობერტინიო და ჯუისი ადგილებს ცვლიდნენ. შეცვლებზე შემოვიდნენ: **ირუი ჰომოლა, ნიკა კვეკვესკირი, ლევან ხმალაძე, სემირ ჰაჯიბულიჩი, ირაკლი ლეკვთაძე, ლადო ახალაია, სანდრო იაშვილი** და **დავით ოდიკაძე**. აღსანიშნავია, რომ ალექს გარსიამ „დინამოში" დაბრუნებული დავით ოდიკაძე... მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესა; თანაც, გარსია ფლანგის მცველებს მუდამ წინ წასვლასა და შეტევებში აქტიურობას მოუწოდებდა. როგორც ადრე გაუწყეთ, „დინამო" სლოვენიაში 24 ფეხბურთელით გაემგზავრა და ჯერჯერობით სხვა ახალწვეული ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდში არავინ გამოჩენილა. „ზარიასთან" შეხვედრაში 19-მა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა, დანარჩენი ხუთიდან ორი მეკარეა — **სოსო გრიშიკაშვილი** და **გიორგი ნადირაძე**; აი, სამმა ფეხბურთელმა კი მცირე ტრავმების გამო ვერ იასპარეზეს ამ სპარინგ-მატჩში, თუმცა **ალექსანდრე კოშკაძეც, ვახტანგ ფანცხავაც** და **გოგა ბერაიაც** უკვე



ალექს გარსია

ვარჯიშს შეუდგნენ და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო არ არის. აქვე, იმასაც დავამატებთ, რომ „დინამოს" მართლაც ჩინებული სავარჯიშო პირობები აქვს შექმნილი — გუნდი ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობს, სავარჯიშო მოედნებზე ხომ, საერთოდ, ზედმეტია ლაპარაკი...

■ ■ ■

მადრიდის „ატლეტიკო" ესპანეთისა და საერთოდ, ევროპის ერთ-ერთ ცნობილ და პოპულარულ კლუბად არის მიჩნეული. 1903 წლის 26 აპრილს დაარსებული კლუბი თავის ქვეყანაში ტიტულებით მხოლოდ „რეალსა" და ბარსელონას" ჩამოუვარდება: ცხრაჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ასევე ცხრაჯერ შეძლო ესპანეთის თასის მოპოვება. „ატლეტიკოს" საერთაშორისო ასპარეზზეც არანაკლები წარმატებები აქვს: თასების მფლობელთა თასიც მოუპოვებია, უეფას თასიც, საკონტინენტთაშორისო თასიც და ევროპის სუპერთასიც. ამას გარდა, ორჯერ იყო თასების მფლობელთა თასის ფინალისტი, ერთხელ კი — ჩემპიონთა თასის. გასულ სეზონში „ატლეტიკოს" ღირსებას ისეთი ცნობილი ფეხბურთელები იცავდნენ, როგორებიც არიან: **დიეგო ფორლანი** (ურუგვაი), **სერხიო აგუერო** (არგენტინა), **ტიაგო** (პორტუგალია), **ტომაშ უიფალუში** (ჩეხეთი), **ხოსე ანტონიო რეიესი, დავიდ დე ხეა** (ორივე-ესპანეთი). სხვადასხვა დროს „ატლეტიკოში" უამრავ ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია: **პაულუ ფუტრეს, სიმაო საბროსას, კრისტიან ვიერის, ბერნდ შუსტერს, დირსეუს, ვაგას, ხოსე-ლუის კამინეროს, დიეგო სიმეონეს, ფერნანდო ტორესს.** ამათ გარდა, ის ცნობილი მწვრთნელებიც უნდა ვახსენოთ, სხვადასხვა დროს რომ თავკაცობდნენ „ატლეტიკოს": **ელენიო ერერა, ლუის არაგონესი, ლუის სესარ მენოტი, ხავიერ კლემენტე, რადომირ ანტიჩი, არიგო საკი, კარლოს ბიანკი, ალფიო ბასილე, ხავიერ აგირე...**

**გია ტუხაშვილი**




90-იანი წლების ატლეტიკო

ტორპედო

# ტორპედო კაპიტანმა დატოვა

## ქუთაისელებს გუგუჩიას დაბრუნებაც სურთ

ქუთაისის „ტორპედოს" ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც ახალი მთავარი მწვრთნელების, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** ხელმძღვანელობით პირველ ვარჯიშში მონაწილეობდნენ:

მეკარეები: **ომარ მიგინეიშვილი, მაქსიმე ქვილითაია, დავით კუპატაძე.**

მცველები: **დაჩი ფოფხაძე, თემურ ფარულავა, გიორგი გურული, თენგიზ ჩიკვილაძე, ვაჟა ტაბატაძე, გიორგი ჭაავა, ცოტნე ხარაბაძე, გიორგი კუხიანიძე.**

ნახევარმცველები: **გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი სეთურიძე, ლაშა ქებაძე, დავით დილმელაშვილი, გრიგოლ დოლიძე, ლევან ბაკურაძე, დავით კირკიტაძე, მერაბ გიგაური, გივი ჩხეტიანი, ნიკა მაისურაძე.**

თავდამსხმელები: **ნიკა საბანაძე, ლაშა კემუხტაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, გია მეგრელაძე.**

გასული სეზონის შემადგენლობიდან ვარჯიშზე არ გამოცხადდნენ მცველები ნოდარ მაჭავარიანი, "ტორპედოს" კაპიტანი სევასტი თოდუა და გივი იოსელიანი, ნახევარმცველები თორნიკე თარხნიშვილი, ლუკა გუგუჩია და თავდამსხმელი რევაზ გოცირიძე. მაჭავარიანისა და გოცირიძის ამბავი ცნობილია, მათ კლუბი დატოვეს, ახალგაზრდულ ნაკრების ნევრებს, იოსელიანსა და თარხნიშვილს შვებულება გაუგრძელეს, თოდუასა და გუგუჩიას არყოფნის მიზეზი კი უცნობი იყო.

ვითარებაში გასარკვევად "ტორპედოს" აღმასრულებელ დირექტორ **გიორგი პაპიაშვილს** დავუკავშირდით.

*"სევასტი თოდუა და ლუკა გუგუჩია ამჟამად ჩვენთან მართლაც არ ვარჯიშობენ. თოდუას 1 ივლისს კონტრაქტი უმთავრდება, მაგრამ ჩვენი სურვილია, დარჩეს და ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმოთ. გასულ სეზონში ასეთი სტაბილური ფეხბურთელი არ გვყოლია, მაგრამ, ეტყობა, სევასტის სხვა გეგმები აქვს.*

*რაც შეეხება გუგუჩიას, მას "ტორპედოსთან" იჯარის ვადა ამოეწურა და ზუგდიდის "ბაიას" დაუბრუნდა. მისი დაბრუნება გვსურს, თუ ეს მწვრთნელების სურვილიც იქნება. ასეთ შემთხვევაში ზუგდიდელებთან თანხაზე დალაპარაკება დაგვჭირდება"* – თქვა პაპიაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი



# გუნდი ფიზიკურად ძლიერდება, ბაზა მშვენდება

"ზესტაფონი" საკუთარ ბაზაზე ვარჯიშს განაგრძობს. გუნდს უკვე შეუერთდნენ საქართველოს ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები, რომლებსაც შვებულება სხვებზე გვიან დაუსრულდათ - **როინ კვასხვაძე, კახა ალადაშვილი, გიორგი ხიდეშელი, თორნიკე გორგიაშვილი, მურთაზ დაუშვილი და ნიკოლოზ გელაშვილი.** ვარჯიში განაახლა **ზაალ ელიავამ**, რომელსაც წინა სეზონის დასკვნითი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. სანაკრებო შეკრებაზე დაშავებული გელაშვილის გამოჯანმრთელების პროცესი კი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

შეკრებაზე დიდი ყურადღება ექცევა ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებას. გუნდში ახალმისული სერბი სპეციალისტის, **ივან ვუჩეტიჩის** ხელმძღვანელობით ფეხბურთელები სხვადასხვა სახის ვარჯიშს ასრულებენ.

ჯერჯერობით სიახლეები არ არის "ზესტაფონის" ახალწვეულებთან დაკავშირებით და დაველოდოთ, **თემურ ღონღაძის** გარდა კიდევ თუ დაიმატებენ ვინმეს საქართველოს ჩემპიონები.

"ზესტაფონის" ბაზაზე კი სამშენებლო სამუშაოები აქტიურად გრძელდება. იწყება მეორე ბუნებრივსაფრიანი მოედნის დაგება, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებისთვის უნდა იყოს მზად, უახლოეს მომავალში კი გუნდის განკარგულებაში მესამე მოედანიც იქნება. მალე იქვე დაიწყება სასტუმროს მშენებლობაც.

21 ივნისს **გია გეგუჩაძის** გუნდი ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრება, 19-ში კი, სავარაუდოდ, "ზესტაფონი" საკუთარ ბაზაზე სპარინგმატჩს ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**





ზესტაფონს საკუთარ ბაზაზე სერბი მწვრთნელი ავარჯიშებს  ფოტოები: www.fczestafoni.ge

ვოლგა

## ქართველებს ჩერიშევი დაუნიშნეს

როგორც მოსალოდნელი იყო, გათავისუფლებული **ომარ თეთრაძის** ნაცვლად ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მთავარ მწვრთნელად **დმიტრი ჩერიშევი** დაინიშნა. კლუბის პრეზიდენტმა **ალექსეი გოიხმანმა** მას სრული ნდობა და მხარდაჭერა აღუთქვა, ჩერიშევი კი ფეხბურთელებს ელაპარაკა და უთხრა, რომ თავის გამოჩენის შანსი თითოეულ მათგანს ექნება.

იმედია, ახალი მწვრთნელის მისვლა საქმეს არ გაუფუჭებს ვოლგელ ქართველებს - **ლაშა სალუქვაძეს, გია გრიგალავას, გოგიტა გოგუას, გოჩა ხოჯავას, ოთარ მარცვალაძესა და მათე ვაჩაძეს.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მოსამზადებელი ეტაპი საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი გია გეგუჩაძე | გრუიცა (?), ფოფხაძე (?) | თ. ღონღაძე (დინამო) | 7 ივნისიდან - ზესტაფონში 21 ივნისიდან - ავსტრიაში |
| ოლიმპი თორნიკე მაისურაძე | გ. ჭელიძე (?), დ. ბოლქვაძე (?), ქემოკლიძე (?), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე -დინამო) | ქობალია (ბაია), გ. მიქაბერიძე (სამტრედია), ორბელაძე, დ. ლომაია (ორივე - სიონი), მახვილაძე (კოლხეთი) | 4 ივნისიდან - რუსთავში 12 ივნისიდან - სლოვენიაში მატერსბურგი (ავსტრია) 1:0 |
| დინამო ალექს გარსია | კ. კაჭარავა (მთ. მწვრთნელი - კლუბის სტრუქტურა), მაროვიჩი (?), იელიჩი (?), არზიანი (?), გ. კვარაცხელია (?), ტატანაშვილი (?), ედნილსონი(?), ციმაკურიძე ზარქუა (ორივე - სპარტაკი), თ. ღონღაძე (ზესტაფონი) | ა. გარსია (ბარსელონა), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - ოლიმპი), ოდიკაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), გრიშიკაშილი (სპარტაკი), გ. ბერაია (გაბალა, აზერბაიჯანი), ლ. ახალია (?) | 7 ივნისიდან - თბილისი 12 ივნისიდან - სლოვენია ზარია (უკრაინა) 0:0 |
| ვიტ ჯორჯია ზურაბ ბერიძე | | ხუმარაშვილი (სამტრედია), ხუჭუა (გაგრა) | 14 ივნისიდან - თბილისში |
| ბაია ელგუჯა კომეთიანი | ქობალია (ოლიმპი) | გუგუჩია (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა) | — |
| ტორპედო გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე | გ. გიგატაძე (მთ. მწვრთნელი), მაჭავარიანი (?), რ. გოცირიძე (?), ს. თოდუა (?), გუგუჩია (ბაია, იჯარა დაუმთავრდა) | გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე (მთ. მწვრთნელები) | 15 ივნისიდან - ქუთაისში |
| სიონი ხვიჩა ქასრაშვილი | დ. ლომაია, ორბელაძე (ორივე - ოლიმპი), შალამბერიძე, რ. ჯიქია (ორივე სპარტაკი) | — | — |
| კოლხეთი სოსო ფილია | ძაგანია (სპარტაკი) | — | — |
| გაგრა ანატოლი პისკოვეცი | ორდინსკი (?) | — | — |
| სპარტაკი ბადრი კვარაცხელია | გრიშიკაშვილი (დინამო), მ. ბარაბაძე (?), ვ. ბოლქვაძე (?), ჯაკობია (?), ხომერიკი (?), მგელაძე (?), მანჩხავა (?), ჭაფოძე (?), დ. ლობჟანიძე (?), უგრეხელიძე (?), | ჯიქია, შალამბერიძე (ორივე - სიონი), ზარქუა, ციმაკურიძე (ორივე - დინამო), ძაგანია (კოლხეთი) | 15 ივნისიდან - თბილისში 20 ივნისიდან - ბაკურიანში |
| დილა გია ცეცაძე | ცნობილაძე (?), თედიაშვილი (?) | — | 15 ივნისიდან - გორში |
| მარტვილი მალხაზ ჟვანია | — | თ. შალიკაშვილი (სამტრედია), ე. გრიგალაშვილი, მანწკავა (ორივე - ბათუმი), გ. შენგელია (?) | 20 ივნისიდან - ბაკურიანში |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩელსი

# ჩელსის პირველი ნაბიჯი

„ჩელსიმ“ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ გააკვირვა — 25 წლის ხორვატი გამთამაშებლის, **ლუკა მოდრიჩის** სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი შესთავაზა და მზად არის ეს თანხა 25 მილიონამდე გაზარდოს. „სფურზის“ პირველი რეაქცია უარყოფითი იყო, თუმცა ინგლისში ეს ნამდვილ უარად არავინ მიიღო, ყველამ ვაჭრობად მიიჩნია. საინტერესოა, რას იტყვის „დეზების“ თავმჯდომარე **დენიელ ლივი**, როდესაც **რომან აბრამოვიჩი** სამ მილიონს მოუმატებსო, წერდნენ გაზეთები.



ლუკა მოდრიჩი

მოდრიჩის ამბავს, ძალიან საინტერესო მხარეც აქვს და მისი დანახვა მარტივია: მასზე აქამდე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლაპარაკობდა **პოლ სქოულზის** შემცვლელად მჭირდებაო, ასე რომ, „ჩელსი“ ორი კურდღლის მოკვლას ცდილობს. ერთი ის, რომ თავად შეიძენს კარგ ფეხბურთელს და მეორეც - „მანჩესტერ იუნაიტედი“ ველარ გაძლიერდება.

ამრიგად, „ლურჯებმა“ ბაზარზე ძალიან სერიოზული ნაბიჯი გადადგეს და ხორვატის შეძენის საქმეში ფავორიტებიც არიან. „დეზებს“ რეალური შანსი გაუჩნდათ სარფიანად გაყიდონ ფეხბურთელი, რომელშიც ზაგრების „დინამოს“ 2008 წელს 16,5 მილიონი ფუნტი გადაუხადეს. ამბობენ, რომ თავად მოდრიჩისთვის მნიშვნელოვანი ინგლისის დედაქალაქში დარჩენაა. აქ, მან „სფურზის“ შემადგენლობაში 120 თამაშში 12 გოლი გაიტანა.

რომან აბრამოვიჩს მოდრიჩის დამატება ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე პრინციპულ ნაბიჯად მიაჩნია. თავის მხრივ, ხორვატი არც „ტოტენჰემის“ თავკაცს **ჰარი რედნაპს** ეთმობა. ითქვა, რომ რედნაპს უპირველეს ყოვლისა მისი „უაით ჰართ ლეინზე“ დატოვება უნდა, მაგრამ თუ დაინახავს, რომ ეს შეუძლებელია, 25 მილიონი ფუნტის მიღება მაინც სურს. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აბრამოვიჩი ძალიან მონდომებულია და, შეეცდება „ნადავლი“ ხელიდან არ გაუშვას. რუსი მილიარდერი გაძლიერების გარდა თავისი გუნდის გაახალგაზრდავებასაც აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც „ჩელსის“ ჯერ კიდევ არ ჰყავს მწვრთნელი — სამსახურიდან გაშვებული **კარლო ანჩელოტის** ნაცვლად „ლურჯებს“ კვლავ არავინ მიუყვანიათ. თან, ეს ისტორია კარგად წარმოაჩენს, რა ტიპის მმართველიცაა აბრამოვიჩი. როგორც ხედავთ, ის თავის გემოზე ყიდულობს მოთამაშეებს და საკუთარ თავს არც კი უსვამს კითხვას: იქნებ, ისინი ჩემს მომავალ მწვრთნელს არ სჭირდება? როგორც ჩანს მწვრთნელმა კეთილი უნდა ინებოს და თავისი შეხედულების მიუხედავად გამოიყენოს ის ხალხი, ვისი ყიდვაც მეპატრონემ საჭიროდ ჩათვალა.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ აქ სხვა ამბავია. კერძოდ, შესაძლოა აბრამოვიჩს ახალი მწვრთნელი, ვთქვათ **გუს ჰიდინკი**, უკვე შეგულებული ჰყავს, ოღონდ, მიზეზთა გამო, მას ჯერ ვერ ასახელებს. ამის მიუხედავად, მილიარდერი მომავალ თავკაცთან ინტენსიურად ლაპარაკობს და თავის სატრანსფერო ნაბიჯებს მასთანაც ათანხმებს.

ზემოთ „ჩელსის“ გაახალგაზრდავების პროექტი ვახსენეთ. სწორედ ამ პროექტის ნაწილია „სანტოსისგან“ 19 წლის ბრაზილიელის, **ნეიმარის** ყიდვის სურვილიც, მაგრამ დასავლეთლონდონელებს ოკეანის გაღმიდან შეუთვალეს, რომ ისინი დროს ტყუილად ხარჯავენ.

ასეთი რამ აბრამოვიჩს, კერძოდ, „სანტოსის“ პრეზიდენტმა, **ლუიშ ალვარო დე ოლივიერამ** შეუთვალა, მაგრამ „ჩელსის“ მეპატრონე ის კაცი არ არის, ვინმეს იოლად რომ დანებდეს. აბრამოვიჩმა ბრაზილიაში საფეხბურთო სუპერაგენტი **პინი ზაჰავი** აფრინა და თან ფეხბურთელის ტრანსფერის ვარიანტების მთელი კომპლექტიც გაატანა. როგორ გაგრძელდება ეს ამბავი, გამოჩნდება, მანამდე კი ოლივეირას ნათქვამს გაგაცნობთ:

*„დღეს ჩვენ პოტენციურ სპონსორებს ნეიმარის შესანარჩუნებლად საჭირო ფულის გამოყოფაზე ველაპარაკებით. მისი ყიდვის ახალი მსურველები არ გამოჩენილან, ძველების შესახებ კი ყველამ ყველაფერი იცით და ისიც მოგეხსენებათ, რომ ვინც გინდა მოვიდეს, უარით გავისტუმრებთ“.*

ოლივეირა იმ კაცის როლს თამაშობს, რომელიც ფულით არ არის დაინტერესებული და თვითნაბადი ნიჭის ნოყიერ ბრაზილიურ გარემოში შენარჩუნებას ცდილობს, თუმცა, შეიძლება, მისი სიჯიუტე სინამდვილეში ნეიმარის ფასის აწევაა და მეტი არაფერი. თავად ფეხბურთელს კი უთქვამს:

*„ნებისმიერი ბრაზილიელი მოთამაშის ოცნება საზღვარგარეთ თამაშია და გამონაკლისი არც მე ვარ“.*

● ასტონ ვილა

# მოგვაშორეთ ეგ საზიზღარი!

უცნაური ამბავია „ასტონ ვილას“ თავს: **ალექს მაკლიშს** ამ გუნდის მწვრთნელობამდე აღარაფერი უკლია, გულშემატკივრები კი მძვინვარებენ, ეგ საზიზღარი თავიდან მოგვაშორეთო. ზუსტად იმ დროს, როდესაც ბირმინგემიდან 164 კილომეტრში, ლონდონში, „დიდი ეკი“ „ვილას“ ამერიკელ მეპატრონეს, **რენდი ლერნერს** ხვდებოდა, „ვილა პარკის“ ჭიშკარი ათასზე მეტმა გაბრაზებულმა ფანმა დალაშქრა და „ბირმინგემ სიტის“ ყოფილი მწვრთნელის მიყვანა გააპროტესტა.

მოგეხსენებათ, მაკლიშის „ვილაში“ გადასვლასთან თავისი პრეტენზია აქვს „ბირმინგემ სიტის“ ხელმძღვანელობასაც. ადრე ისინი ამბობდნენ, რომ მაკლიშსა და „ვილას“ პრემიერლიგის შეფებთან უჩივლებდნენ, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს ვექილები დარაზმონ, რათა „დიდ ეკს“ საკომპენსაციო თანხა არ შეარჩინონ — მაკლიში ხომ მათი მწვრთნელის პოსტიდან სრულიად მოულოდნელად გადადგა და წასვლის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობას ელექტროფოსტით აცნობა.

თუმცა, როგორც ხედავთ, მაკლიშს „ვილაში“ გაშლილი ხელით არ ეგებებიან. ზემოთ „ვილა პარკის“ ჭიშკრის დალაშქვრა ვახსენეთ. როდესაც ამდენი გამძვინვარებული ფანი დაინახა, სტადიონის შესასვლელი პოლიციამ თავად გაალო, ეს ხალხი ჭყლეტაში რომ არ მოყოლილიყო ან რაიმე სხვა უწესრიგობა რომ არ მომხდარიყო.

„ლომების“ გულშემატკივრებმა მაკლიშის შეურაცხმყოფელი პლაკატები გაშალეს და სტადიონის კედლებზეც სალებავით უამრავი საპროტესტო გამონათქვამი დაწერეს. ამის მიუხედავად, „ვილას“ მავანმა თანამშრომელმა ტაბლოიდებს განუცხადა:

*„ფანების ასეთი საქციელი მისტერ ლერნერს უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაახევინებს. რასაკვირველია, გულშემატკივარს შეუძლია როგორც უნდა ისე მოიქცეს და თავისი შეხედულება თავისუფლად გამოხატოს, მაგრამ ლერნერი გადაწყვეტილებას არ შეცვლის. მან კარგად იცის, რომ მთავარია მისი შერჩეული მწვრთნელი გუნდს გამოადგეს და მერე ყველაფერი დამშვიდდება“.*

ლონდონში ჩასაფრებულმა ჟურნალისტებმა კი გამოიკვლიეს, რომ ამერიკელმა მილიარდერმა და მისმა მარჯვენა ხელმა, **პოლ ფოლკნერმა** ერთობლივ სადილამდე, მაკლიშთან ძალიან დიდ ხანს ილაპარაკეს. გაზეთები წერენ, რომ „ვილას“ შეფებს მიზნად მკაფიო ამოცანა ჰქონდათ დასახული: გუნდისთვის ახალი თავკაცი ამ უქმეებამდე უნდა შეერჩიათ. ისინი პრემიერლიგის მომავალი სეზონისთვის ემზადებიან და მწვრთნელი დაუყოვნებლივ სჭირდებათ.

ლერნერი, რასაკვირველია, დაძაბული იყო. ერთი მხრივ გულშემატკივართა პროტესტი და მეორე მხრივ „ბირმინგემის“ ხელმძღვანელთა მუქარა, რომ მაკლიშის „ვილაში“ გადასვლას მაქსიმალურად შეუშლიან ხელს. თუმცა, როდესაც „სიტის“ ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ იქაური შეფები მხოლოდ კომპენსაციას ითხოვენ, ამერიკელს ცოტა გულზე მოეშვა.

გეხსომებათ, რომ „ბირმინგემ სიტის“ თავმჯდომარის, **პიტერ პენუს** პირველი რექცია სხვანაირი იყო. ის „ასტონ ვილაზე“ ცხარობდა და ამბობდა, რომ მაკლიშს „სენტ ენდრიუს“ სტადიონიდან გაპარვა სწორედ ამ კლუბის ხელმძღვანელებმა ურკარნახეს, თუმცა, დღეს ისე ჩანს, რომ პენიუმ აზრი შეიცვალა და პრეტენზია ძირითადად „დიდ ეკთან“ აქვს. „სიტის“ თავმჯდომარე ამტკიცებს, რომ მაკლიშმა მას 5,4 მილიონი ფუნტი უნდა გადაუხადოს. სინამდვილეში რას გადაიხდის მაკლიში ჯერ არავინ იცის, მაგრამ, ორივე მხარის იურისტები ამბობენ, რომ შეთანხმება შეიძლება.

რაც შეეხება „ვილა პარკზე“ გამართულ აქციას, პოლიციას არავინ დაუკავებია, თუმცა ფანების უკმაყოფილება მართლაც ძალიან დიდი იყო. ეს სოციალურ ქსელებშიც ძალიან ნათლად აისახა.

*„თუ ამ კაცს მწვრთნელად მოიყვანენ, მე აბონემენტს აღარ ვიყიდი“* — წერდა ერთი.

*„ჯერ აპირებდნენ კინაღამ გავარდნილი მარტინესის მოყვანას, შემდეგ კი გავარდნილ მაკლიშს მიადგნენ“* — ცხარობდა მეორე.

მავანმა, მარტინესსაც და მაკლიშსაც „ტიტანიკის“ კაპიტნები უწოდა, „ფეისბუქზე“ კი მოძრაობას, „ვილას ფანებს არ უნდათ მაკლიში“ 16 ათასი კაცი შეუერთდა.



ალექს მაკლიში

საინტერესოა, რომ „ლიგის მწვრთნელთა ასოციაციამ“ პირიქით, მაკლიშს დაუჭირა მხარი. ამ ორგანიზაციის აზრით, „დიდი ეკი“ „ბირმინგემიდან“ გაქცევამდე ცუდ დღეში იყო, თუმცა „ლურჯები“ ამას კატეგორიულად უარყოფენ და ამბობენ, რომ მათ მაკლიშს ოთხივე ფეხბურთელი უყიდეს, რომელსაც ხელი დაადო.

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ ხმელთაშუა ზღვიდან დაბრუნებული მაკლიში უკვე „ასტონ ვილას“ პრობლემებზე ფიქრობს: მას გუნდში **სტიუარტ დაუნინგის** დატოვება სდომებია. დაუნინგი 26 წლის მარცხენა გარემარბი გახლავთ.

„ბირმინგემ სიტის“ განაწყენებული ფანები კი თავიანთი ახალი მწვრთნელის ამბავს დარდობენ. ამბობენ, რომ „სენტ ენდრიუს“ სტადიონზე ყველაზე მეტად მაკლიშის შემცვლელად **კრის ჰაფტონს** ან **დეივ ჯონსს** უნდა ელოდნენ.

● არსენალი



სესკ ფაბრეგასი

# ფაბრეგასი: ბარსა საუკეთესოა, მაგრამ მე არსენალთან ვალში ვარ

**სესკ ფაბრეგასი** „არსენალთან“ დაქორწინებულს ჰგავს, მაგრამ მისი დიდი სიყვარული, რომ „ბარსელონაა“, ამას „მეთოფეთა“ 24 წლის კაპიტანი არ მალავს. ფეხბურთი ისეთი რამ გახლავთ, არავინ იცის რომელ წუთში რა მოხდება, მაგრამ ლონდონის გუნდის ესპანელმა გამთამაშებელმა ჟურნალისტებს უთხრა „არსენალთან“ ვალში ვარო და ეს, როგორც ჩანს, იმას ნიშნავს, რომ ის ისევ „ემირეიტ სთედიუმზე“ დარჩება.

აგერ უკვე ორი წელიწადია ფაბრეგასს გული „ბარსასკენ“ მიუწევს. ამის მიზეზი, მშობლიური ქალაქისა და გუნდის სიყვარულის გარდა ის გახლავთ, რომ „არსენალმა“ 2005 წლის შემდეგ, წამლად ერთი პრიზიც კი ველარ მოიგო. ეს, ახალგაზრდა ვარსკვლავს გულში დანასავით ესობა, რაც ყველაზე კარგად მისი ნათქვამიდან გამოჩნდა — ამ იმპოტენციის ატანა აღარ შემიძლიაო. დიახ, ზუსტად ეს სიტყვა წამოცდა. „ბარსელონამ“ კი ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში — 2009 და 2011 წელს.

**პეპ გვარდიოლას** სუპერგუნდი ფაბრეგასის უახლოესი მეგობრებისგან შედგება. მისი ძმაკაცები **ჟერარდ პიკე**, **კარლეს პუიოლი** და **ლეო მესი** მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალზე, დიდების სხივებში ბანაობენ და ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ორჯერ სწორედ „არსენალი“ დაამარცხეს თავისი ფაბრეგასიანად.

„არსენალის“ წევრებისთვის განსაკუთრებით მწარე ახალდამთავრებული სეზონის ბოლო ორი მატჩი იყო, როდესაც ტრიბუნებიდან ხალხი **არსენ ვენგერის** საწინააღმდეგო რალაცებს იძახდა. ჩრდილოლონდონელებმა, რომელთაც თებერვალში ერთბაშად ოთხი ჯილდოს მოგების პრეტენზია ჰქონდათ, საბოლოოდ კვლავ ვერაფერი მოიგეს და პრემიერლიგაშიც მეოთხე ადგილს დასჯერდნენ — კიდევ კარგი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე მაინც მოექცნენ.

*„დღეს „ბარსელონა“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია და მის შემადგენლობაში ყოფნა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ტიტულების მოგების გარანტიაა* — თქვა ფაბრეგასმა — *მე კი იმედგაცრუებული ვარ, რადგან არაფერი მომიგია. არადა, ყოველთვის ტიტულების მოპოვებაზე ვოცნებობდი. გული გიცრუვდება ადამიანს, როდესაც ასეთი თავდადებით იბრძვი, თამაშობ და ვერაფერს აღწევ. საშინელებაა იმის შეგრძნება, რომ ჭიშკრამდე მიხვედი და ზღურბლთან წაიქეცი. თან, რამდენჯერ უნდა განმეორდეს ერთი და იგივე?! ყველა, ვინც ამბობს, რომ მისთვის ტიტულის მოგებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მატყუარაა. მე, პირადად, ამბიციური კაცი ვარ და სწორედაც ტიტულებისთვის ვიბრძვი“.*

თითქოს და, ფაბრეგასის ნათქვამს ერთი წინადადებაღა აკლია — თუ „არსენალი“ „ბარსელონაში“ არ გამყიდის, ავჯანყდებიო. ასაკით მისმა ტოლმა, არგენტინელმა **სერხიო აგერომ** თქვა, რომ მადრიდის „ატლეტიკოში“ დარჩენა აღარ უნდა და მყისვე ატყდა დავიდარაბა. მის საყიდლად ხმა აიმაღლეს „რეალმა“, „ჩელსიმ“, „მანჩესტერ სიტიმ“ და „იუვენტუსმა“, თუმცა ფაბრეგასის თავს ასეთი რამ არ ხდება. შარშან, როდესაც სესკმა „ბარსელონაში“ გადასვლა ისურვა, მაგრამ ტრანსფერი ვერ განხორციელდა, მან თქვა:

*„მე იმას ვერ ვიზამ, რაც კუნმა გააკეთა. მას თავისი გზა აქვს, მე ჩემი. არ გახლავართ ის ადამიანი, რომელიც ისე ილაპარაკებს და მოიქცევა, რომ ყველაფერი მის სასიკეთოდ მოექცევა. შარშან რომ შევცდი ისიც მეყოფა. ახლა, ერთი წლის წინანდელი შეცდომა უნდა გავითვალისწინო. ჩემი სურვილის და გეგმების შესახებ საჯაროდ არ უნდა მელაპარაკა.*

*ყველა ადამიანს თავისი ფასეულობები აქვს. ვისთვის რა არის ძვირფასი. „არსენალში“ რვა წელიწადი გავატარე და ეს გუნდი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მე არ შემიძლია გავჯიქდე და აქაურობა იოლად მივატოვო. ამდენ ემოციას და სიყვარულს წყალში ვერ გადავყრი. ურთიერთობებში ყოველთვის ფრთხილი ვიყავი და ასეთად ვრჩები“.*

ფაბრეგასმა კარგად იცის, რომ თუ „ბარსელონა“ დიდძალ ფულს არ გაიმეტებს, ის „კამპ ნოუზე“ ვერ გადავა. „მეთოფეებმა“ რასაკვირველია, გადააჭარბეს მის გამოსასყიდ თანხად 54 მილიონი ფუნტი რომ დაასახელეს, მაგრამ მიზანი აქვთ ასეთი — ვენგერი იმედოვნებს, რომ ამ თანხის გამგონე ყველა შეშინდება და ფაბრეგასზე ფიქრს თავს დაანებებს. თუნდაც, ვენგერმა დაუკლოს, ბევრს ხომ მაინც ვერ დაუკლებს და ამით არაფერი შეიცვლება: „ბარსელონას“ ამ ზაფხულზე დასახარჯად მხოლოდ 40 მილიონი ფუნტი აქვს.

ასეთმა ვითარებამ მადრიდის „რეალს“ გაუჩინა „არსენალის“ კაპიტნის გადაბირების იმედი. სხვათაშორის, ორი წლის წინ თავად სესკი ამბობდა, ჩემს ქვეყანაში უნდა დავბრუნდეო — მაინც და მაინც „ბარსელონა“ მინდაო არ დაუჩემებია. ჟურნალისტებმა ეს „ეშმაკობა“ გაშიფრეს და ფაბრეგასს პირდაპირ ჰკითხეს **ჟოზე მოურინიოსთან** შესაძლო გადასვლის შესახებ.

*„კონკრეტულად არავის დავასახელებ, მაგრამ როდესაც მომავალზე ვლაპარაკობთ, არასოდეს უნდა თქვა არასოდეს. რა იცი, რა ხდება* — უპასუხა „მეთოფეთა“ კაპიტანმა — *რასაკვირველია, ამა თუ იმ მოვლენას თითოეული ადამიანი თავისებურად აღიქვამს და აფასებს, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ხშირად, რაღაც-რაღაცები ფეხბურთელზე არც არის დამოკიდებული. მეტს ვერაფერს ვიტყვი, იმიტომ, რომ ათასი ჭორის საბაბს გავაჩენ“.*

და ბოლოს: *„არსენ ვენგერთან რამდენიმე კვირაა არ მილაპარაკია, არადა ბოსი ის არის და გადაწყვეტილებებსაც ის იღებს. ამქვეყნად, თუ ვინმემ იცის რა უნდა „არსენალს“, ჩემი გაყიდვა თუ დატოვება, ის გახლავთ და ჯობს ჩემი მომავლის შესახებ მას ელაპარაკოთ ხოლმე“.*

**გვერდი მოამზადა**
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები



მატიო ვალბუენა

### 25 მილიონი ვალბუენაში?

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობა უარს აცხადებს ლიდერების გასხვისებაზე. ამისთვის მან ფეხბურთელებს ზუსტად ის ფასები დაადო, რომელსაც მათში არავინ გადაიხდის. არადა, ინგლისური პრესა რამდენიმე დღის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ, მაგალითად, **მატიო ვალბუენა** შეიძლებოდა პრემიერლიგის ერთ-ერთ გუნდში 10 მილიონ ევროდ გადასულიყო. თუმცა 26 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ სამხრეთელებმა არა 10, არამედ 25 მილიონი ევრო მოითხოვეს. ამ გზით კლუბს მასთან დაკავშირებული სატრანსფერო ორომტრიალის თავიდან აცილება და მომდევნო სეზონისთვის მშვიდად მომზადება სურს.

კლუბი მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელს ყიდის და ეს სია დიდი ხანია ცნობილია. ესენი არიან **ფაბრის აბრიელი** (31 წლის, ნახევარმცველი, საფრანგეთი), **ვიტორინო ჰილტონი** (33 წლის, მცველი, ბრაზილია) და **ედუარ სისე** (33 წლის, ნახევარმცველი, საფრანგეთი).

### ლილი და მენეზი

"რომას" 24 წლის ნახევარმცველმა **ჟერემი მენეზმა**, მიუხედავად იმისა, რომ მარადიულ ქალაქში 2008 წლიდან ცხოვრობს და ასპარეზობს, "ჯალოროსის" გულშემატკივართა გულები ვერაფრით მოიგო. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულზე ეწურება. მხარეებს მის გაგრძელებაზე ჯერჯერობით არც კი უმსჯელიათ. "ლილის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ შექმნილი მდგომარეობით ისარგებლოს და საფრანგეთის ნაკრების მოთამაშე სამშობლოში დააბრუნოს. "რომამ" მენეზის სატრანსფერო ფასი უკვე დაასახელა - ლაპარაკია 12 მილიონ ევროზე, რაც ფეხბურთელის კლასის გათვალისწინებით სულაც არ არის მიუღებელი, თუმცა მცირე დამაბრკოლებელ გარემოებას მაინც წარმოადგენს: "ლილის" ისტორიაში ყველაზე დიდი ტრანსფერი ექვსი მილიონი ევრო დაჯდა. "ძაღლებმა" ეს თანხა **ჟერვინიოში** 2009 წელს გაიღეს. სავარაუდოა, რომ მას მერე, რაც ივუარელი სათამაშოდ "არსენალს" მიაშურებს (ეს მხოლოდ დროის საკითხია), საფრანგეთის ჩემპიონებს მენეზის საყიდელი თანხა გაუჩნდებათ. ფრანგი ჟურნალისტების ვარაუდით, **რუდი გარსია** მენეზს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებს.

### ლეონარდოს პირველი გეგმა

გუშინწინ გვიან ღამით ოფიციალურად დადასტურდა, რომ "ინტერის" ყოფილი თავკაცი **ლეონარდო** სამუშაოდ "პარი სენ-ჟერმენის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა. მას ახალ სამუშაოზე დიდი გეგმები აქვს: "რეალიდან" **კაკას** გადაბირება უნდა. კლუბი ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში გარანტირებულ ადგილს სთავაზობს, რაც ბრაზილიელი მეგავარსკვლავისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს. რახან ლეონარდო ასეთ ამბიციურ გეგმებზე უკვე ალაპარაკდა, ეს ნიშნავს, რომ კლუბის ყატარელი ინვესტორების მხრიდან სრული მხარდაჭერა აქვს. შეგახსენებთ, რომ კაკას მიმართ ინტერესი დაადასტურა ასევე მისმა ყოფილმა კლუბმა "მილანმაც". როგორც იტალიური პრესა წერს, "როსონერიმ" "რეალს" კონკრეტული თანხა - 30 მილიონი ევრო შესთავაზა. როგორც ჩანს, სამეფო კლუბს თანხა ეცოტავა.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ვარსკვლავი. ივან დე ლა პენია

# პატარა ბუდა

**ივან დე ლა პენიაზე, იმავე "პატარა ბუდაზე" უკრაინულმა ფოოტბალლ.უა-მ საკმაოდ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. ვფიქრობთ, ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელზე, ვინც თავის პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოავლინა, მასალა (შემოკლებულ ვარიანტი) ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.**



ფეხის უმძიმესი ტრავმის გამო ივან დე ლა პენიას კარიერა საბოლოოდ დაილუპა. ამის თქმა თამამად შეიძლება. ესპანელმა დაზიანება 2009-10 წლების სეზონში მიიღო და მას მერე მინდორზე სულ რაღაც 9-ჯერ გამოვიდა. მან ყველაფერი გააკეთა, რათა ტკივილებს მორეოდა, მაგრამ ფეხბურთელმა კარიერა მაინც თვალცრემლიანმა დაასრულა. ერთი პერიოდი ის მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ ტალანტად მიიჩნეოდა, ბოლოს კი მთავარ იმედგაგაცრუებად იქცა.

**მარტინ გარსია** ახლა კანტაბრიის ფეხბურთის ფედერაციის მუშაკია. წლების წინ კი სანტანდერის "რასინგის" ბავშვთა აკადემიის მწვრთნელი იყო. მას მშვენივრად ახსოვს, რა ციებცხელებამ მოიცვა მისი რეგიონი 20 წლის წინ: *"სულ უფრო მეტი და მეტი კლუბი მოდიოდა დე ლა პენიას სანახავად. ივანი მაშინ 15 წლის იყო. სპეციალისტები ამბობდნენ, რომ მისი სახით ახალი მარადონა, პელე ან კრუიფი იზრდებოდა. მთავარი ბრძოლა "ბარსელონასა" და "რეალს" შორის გაჩაღდა. ივანი ბოლოს კატალონიაში წავიდა, რადგან "ბარსამ" მის მშობლებს უკეთესი პირობები შესთავაზა".*

კატალონიაში ახალგაზრდას ნამდვილი შოკი ელოდა, რადგან "ბარსას" აკადემია აღზრდის სპარტანული მეთოდებით იყო განთქმული. თუმცა ამის მიუხედავად ივან დე ლა პენია უმალ გახდა თავისი ასაკობრივი გუნდის ლიდერი და ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრებში მიწვევა მიიღო. ამ ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გააღწია, სადაც სენსაციურად დათმო შეხვედრა იტალიასთან. დე ლა პენიამ გადამწყვეტი პენალტი ვერ გაიტანა. მაშინდელ "ფურია როხაში" ივანის გარდა **რაული** და **ხოსება ეჩებერიაც** თამაშობდნენ, ყველაზე ნიჭიერად კი სწორედ "პატარა ბუდა" მიიჩნეოდა. „ლა მასიას" ("ბარსას" აკადემია) გუნდი, სადაც დე ლა პენიას გარდა გამოდიოდნენ **ალბერ სელადესი, ოსკარ** და **როხერ გარსიები**, ასევე **ტონი ველასამანი**, ისტორიაში ყველაზე ძლიერ გამოშვებად მონათლეს. აბსოლუტურად დაუჯერებელი გარემოებების დამთხვევის გამო ვერც ერთი ზემოაღნიშნული ფეხბურთელი დიდი ვარსკვლავი ვერ გახდა, მაგრამ 1995 წელს ეს ბიჭები ესპანური ფეხბურთის "ოქროს თაობას" წარმოადგენდნენ. ამავე წელს "ბლაუგრანას" თავკაცმა **იოჰან კრუიფმა** გადაწყვიტა, ფსონი აკადემიის აღზრდილებზე გაეკეთებინა. „პატარა ბუდას" მთავარი როლი ერგო და ავანსებს ის ნამდვილად ამართლებდა. ყველა ტურნირში ერთად მან 42 შეხვედრაში ჩაატარა, 9 გოლი გაიტანა და უამრავი საგოლე გადაცემა მიიითვალა. ახალგაზრდულმა გუნდმა სეზონი ყინჩად დაიწყო, თუმცა ძალები ვერ გათვალა და აპრილში ყველა ტურნირის მოგების იმედი დაკარგა, სადაც კი გამოდიოდა. შედეგად ლეგენდარული ჰოლანდიელი მაესტრო კატალონიიდან წავიდა.

კრუიფის ადგილას სერ **ბობი რობსონი** მივიდა, ადამიანი, ვისაც "პატარა ბუდასი" სჯეროდა. მეორე სეზონი ივანს ისეთი შთამბეჭდავი აღარ გამოუვიდა, რადგან კატალონიელთა რიგებში ვარსკვლავები უფრო მეტნი იყვნენ და შესაბამისად კონკურენციაც გაიზარდა. საერთო ფონზე დე ლა პენია მაინც არ დაკარგულა. 1996 და 1997 წლებში ის ესპანეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს. თითქოს დიდი ფეხბურთისკენ ყველა კარი ღია იყო... თუმცა ყველაფერი ბანალურად განვითარდა და ეს დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა. "ბარსაში" ავტორიტარი **ლუის ვან გაალი** დაინიშნა. მან დე ლა პენია სკამზე დასვა, განაცხადა რა, რომ ის არ იყო გუნდური სტილის ფეხბურთელი და თანაც დაცვაში თამაში არ ეხერხებოდა.

1998 წელს "ლაციომ" 22 წლის ფეხბურთელში 14,5 მილიონი ევრო გადაიხადა. რომაელებს მოეჩვენათ, რომ მათ სამომავლოდ ლიდერი შეიძინეს... ეროვნული მენტალიტეტის გამო, რატომღაც, ბევრი ესპანელი ფეხბურთელი უცხოეთში თამაშს ვერ ახერხებს. ასე დაემართა დე ლა პენიასაც, მით უმეტეს, რომ მან რომში ჩასვლიდან ძალიან მალე მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. საბოლოოდ მან "ლაციოში" 1998-99-ის სეზონში სულ რაღაც 19 თამაში ჩაატარა. მას კალჩოს ერთ-ერთ უმთავრესი იმედგაცრუება უწოდეს. შემდგომი სეზონები არაფრით იყო უკეთესი: "მარსელი" (1999-2000) 19 მატჩი 1 გოლი, "ბარსელონა" (2000-01) 12 მატჩი 0 გოლი და ისევ "ლაციო" (2001-02) 2 შეხვედრა.

ფეხბურთელი, ვისი ტალანტიც ბრილიანტივით ბრწყინავდა, უმალ დაივიწყეს — გულშემატკივრებს არ უყვართ უიღბლოები, ივან დე ლა პენია კი სწორედ ასეთი იყო, წაგებული ადამიანი, ვისაც მომავალი აღარ ჰქონდა. ის სულ რაღაც 26 წლის იყო, მაგრამ მისი ვარსკვლავი უკვე ჩასვენებული იყო და ამას ყველა ხვდებოდა. "ლაციომ" ხელი ჩაიქნია - ფეხბურთელს ბარსელონისკენ გზა დაულოცა, ოღონდ ამჯერად ის არა "ბლაუგრანაში" არამედ მოკრძალებულ "ესპანიოლში" აღმოჩნდა. *"ის მინდორს საოცრად ხედავს, გადაცემას ნებისმიერ მანძილზე ერთნაირად ზუსტად ასრულებს და ორივე ფეხით თანაბრად თამაშობს,"* - ეს ფრაზა მასზე "დონ ბალონმა" 1996 წელს დაწერა. 2002 წელს, როცა ის კატალონიაში დაბრუნდა, ქალაქმა სულ სხვა ვინმე იხილა - ფეხბურთელი ზედმეტად ჩქარობდა და არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა. ის "ესპანიოლის" დონეზეც ველარ ბრწყინავდა.

2009-10-ის სეზონი საბოლოო კოშმარად იქცა. მან უმძიმესი ტრავმა მიიღო, რაც ბოლომდე მოურჩენელ წინა ტრავმებს დაემატა, მაგალითად მენისკს, რის გამოც ზუსტად თავის 35-ე დაბადების დღეზე ფეხბურთელმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. და მაინც, ის დარჩება იმ ფეხბურთელად, რომლისგანაც მინდორზე სასწაულებს ერთნაირად ელოდნენ 15, 20 თუ 35 წლის ასაკში.

**ლევან ბიბილაშვილი**

## შტუტგარტი

# კვისტი გაშვაბდა

### ტრეში კი ალბათ ვოლფსბურგში წავა

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, „შტუტგარტმა" როგორც იქნა, სრულყო დანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, **ვილიამ კვისტის** ტრანსფერი. 26 წლის ფეხბურთელი შვაბურ კლუბში დანიის ჩემპიონ „კოპენჰაგენიდან" გადადის – მან გერმანულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კვისტში, რომელსაც დანიის ნაკრებში 20 მატჩი აქვს ჩატარებული, შვაბებმა 3.3 მილიონი ევრო გადაიხადეს.

*„ეს ტრანსფერი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ვილიამ კვისტს დიდი ხანია, ვაკვირდებით და მიხარია, რომ მისი გადმობირება შევძელით. მას „კოპენჰაგენთან" ერთად, ჩემპიონთა ლიგაში თამაში გაისადაც შეეძლო, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ჩვენს სასარგებლოდ მიიღო. იმედია, ვილიამი „შტუტგარტთან" ერთად მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს,"* - ეს VFB-ს სპორტული დირექტორის, **ფრედი ბობიჩის** სიტყვებია.

სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „შტუტგარტს" ერთ-ერთი ლიდერი, გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან ტრეში** დატოვებს. ამ უკანასკნელს შვაბებთან კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება და ახლახან ახალ, ხუთწლიან ხელშეკრულებაზე უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ შტუტგარტელები მას აუცილებლად გაყიდიან. გაირკვა, რომ ტრეშის ყიდვა „ვოლფსბურგს" სურს და მზადაა, 23 წლის ფეხბურთელში „შტუტგარტს" 10 მილიონი გადაუხადოს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ფრაიბურგი

# ახალი სისე ბრაისგაუში

### ფრაიბურგელებმა გარა დემბელე გადაიბირეს

„ფრაიბურგმა" მომავალი სეზონისთვის ახალი თავდამსხმელი იყიდა: ბრაისგაუელებმა მალელი ფორვარდი **გარა დემბელე** დაითანხმეს, რომელიც „ფრაიბურგში" სოფიის „ლევსკიდან" გადავა. ბულგარეთში მან უკვე დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები: გასული სეზონის 36 ოფიციალურ მატჩში დემბელემ 34 გოლი გაიტანა. აქედან 26 გოლი ბულგარეთის ჩემპიონატში შეაგდო, ხოლო 8 ევროპის ლიგაში.

ბრაისგაუელთა სპორტული დირექტორი **დირკ დუფნერი** ტრანსფერით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ 25 წლის მალელი თავდამსხმელი თავს ბუნდესლიგაშიც გამოიჩენს. დემბელე **ბეგ ფერატის** (ბაზელიდან), **ივიცა ბანოვიჩისა** (დუისბურგიდან) და **დანიელ ბატცის** (ნიურნბერგიდან) შემდეგ, „ფრაიბურგისთვის" რიგით მეოთხე ახალწვეულია.

მოგეხსენებათ, „ფრაიბურგს" გასულ სეზონში ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ჰყავდა. ვგულისხმობთ თავდამსხმელ **პაპის დემბა სისეს**, რომელმაც 22 გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა. ჯერჯერობით შეუძლებელია იმის გადაჭრით თქმა, რომ დემბელე სწორედ სისეს მეწყვილე გახდება, რაც „ფრაიბურგისთვის" ძალიან კარგი იქნებოდა. დიდი შანსია, რომ ახალწვეულმა სისე შეცვალოს, რადგან ამ უკანასკნელს უაღრესად წარმატებული სეზონის შემდეგ ძალიან ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა.

**გოტფრიდ ლენცი**

## კვირის ფრაზები

### ბედნიერი სესკი

**სესკ ფაბრეგასმა** არსენ ვენგერის საყურადღებოდ თქვა, „არსენალში" ბედნიერი ვარო. მსოფლიოს ჩემპიონით, 24 წლის ესპანელი ფაბრეგასით კვლავ არის დაინტერესებული წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, კატალონიის „ბარსელონა", სატრანსფერო ღირებულება კი 35 მილიონი ევროა. თავად ნახევარმცველმა განაცხადა: „მე „არსენალის" ფეხბურთელი ვარ. „მეთოფეთა" გუნდში რვა დაუვიწყარი წელიწადი გავატარე და ამჟამად სრულიად ბედნიერი ვარ". კითხვაზე, რას ფიქრობს „ბარსას" ბოლო სპეკულაციაზე მის მიმართ, სესკმა ასეთი პასუხი გასცა: „ახლა ფეხბურთზე არ ვფიქრობ, მთელი ჩემი ფიქრები ჩემს შვებულებას ეთმობა".

### არ მინდა სიტიში!

**კრიშტიანო რონალდომ** თქვა, რომ ის არ გადადის „მანჩესტერ სიტიში". შეგახსენებთ, რომ ისტლენდელები პორტუგალიელ ვარსკვლავში 150 მილიონ ფუნტ სტერლინგს იხდიდნენ, მაგრამ როგორც „დეილი მეილმა" გამოხრიკა, ფეხბურთელს ესეც არ ეყო. 26 წლის შემტევი ამბობს: „ეს, კარგ იუმორით აღსავსე შემოთავაზება გახლდათ, მაგრამ გადაწყვეტილია: მე არ მივდივარ „სიტიში"! შეგიძლიათ ეს სიტყვები დიქტოფონითაც ჩაიწეროთ. ფული ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის. ფული ყველაფერი რომ ყოფილიყო ჩემთვის, ახლავე გადავიდოდი". წლევანდელ სეზონში მან ყველაში ერთად 54 გოლი გაიტანა და პრიმერა დივიზიონში ყველა დროის რეკორდი დაამყარა, **უგო სანჩესის** რეკორდი გაიმეორა — გაიტანა რა 38 მატჩში 40 გოლი. რადიო „კოპესთან" საუბარში რონალდომ დასძინა: „მე სიამოვნებით გავაფორმებდი კონტრაქტს მადრიდელებთან 10 წლით და საერთოდ სამუდამოდ მადრიდში დავრჩებოდი."

### შვილი რომ ყოფილიყო...



ნეიმარი

**ნეიმარის** აგენტმა **ვაგნერ რიბეირომ** პრესასთან საინტერესო კომენტარი გააკეთა „ნეიმარი ჩემი ვაჟი რომ ყოფილიყო, ის უკვე „რეალის" ფეხბურთელი იქნებოდა, — საუბრობს რიბეირო „მარკასთან" ინტერვიუში — მადრიდის „რეალი" მსოფლიოში საუკეთესო გუნდია და მისი ტოლსწორი არავინაა". აგენტი თვლის, რომ ნეიმარს ევროპაში გადაბარგება მხოლოდ სარგებელს მოუტანს: „ნეიმარი ჯერჯერობით მხოლოდ იმიტომ არ არის საუკეთესო, რომ ევროპაში არ თამაშობს".

### ვამაყობ

ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველ **მუმუ სისოკოთი** მადრიდის „რეალია" დაინტერესებული, მაგრამ როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელი არ აპირებს ტურინის დატოვებას. „არანაირი წინადადება არ მიმიღია მადრიდის „რეალისგან" — ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც ვფლობ, პრესიდან შევიტყვე. ისე კი, რასაკვირველია, ძალზე სასიამოვნოა, როდესაც ასეთი დიადი გუნდი ინტერესდება შენი სამსახურით. მაგრამ როგორც კონტრაქტშია მითითებული, ბოლო ორი წელიწადი „ბებერ სინიორაში" უნდა გავატარო. მე ვარ „იუვენტუსის" ფეხბურთელი, რითაც ვამაყობ".

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები


მიხაელ ბალაკი გერმანიის ნაკრებში აღარ ითამაშებს

# უკვე ოფიციალურად: ბალაკი დამთავრდა!

## მიხაელს ასიანობამდე 2 მატჩი დააკლდა...

ის, რაც ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო და რაზეც აქამდეც არაერთხელ დაგვიწერია, ახლა უკვე ოფიციალურად დადასტურებული ამბავია: **მიხაელ ბალაკის** სანაკრებო კარიერა დამთავრდა, ბუნდესგუნდის ყოფილი კაპიტანი ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს. ეს ცნობა გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** დაადასტურა.

ამით მთავრდება რამდენიმე თვის განმავლობაში გაწელილი დისკუსია იმ ფეხბურთელის შესახებ, რომელიც წლების მანძილზე გერმანული ფეხბურთის სუპერვარსკვლავი და ეროვნული გუნდის თავი იყო – ბალაკს ბუნდესგუნდში 98 მატჩში აქვს ჩატარებული, უკანასკნელად კი, ნაკრების ფორმა 2010 წლის 3 მარტს, არგენტინასთან ამხანაგურ შეხვედრაში (0:1) მოირგო. გეხსომებათ, იმ თამაშის შემდეგ მიხაელმა ინგლისის თასის ფინალში (მაშინ „ჩელსის" ღირსებას იცავდა) მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზე ველარ იასპარეზა.

„ბოლო დროს არაერთი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე გამოჩნდა, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ. მუნდიალის შემდეგ გუნდის განვითარება ძალიან პოზიტიურად მიდის. სწორედ ეს იყო საუბრის მთავარი თემა მიხაელ ბალაკთან ბოლო შეხვედრის დროსაც, რომელიც მარტის მიწურულს შედგა. მას მერე ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ ტელეფონით და ვფიქრობ, რომ მოვიდა დრო, როცა კონკრეტული გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. სამწუხაროდ, გერმანიის ნაკრებში მიხაელ ბალაკის ადგილი აღარ არის. მასთან სატელეფონო საუბრების დროს ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მიხაელი მომხდარს გაგებით ეკიდება, - ასეთია ლიოვის ოფიციალური განმარტება, რომელიც იქვე დასძენს, - ბალაკი ბოლო ათწლეულის საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელია. წლების მანძილზე ის ბუნდესნაკრების უმთავრესი ფიგურა და შეუცვლელი ლიდერი იყო. 2002 წლის მუნდიალიდან მოყოლებული, გერმანია წარმატებით ასპარეზობს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე, რაშიც მიხაელის დამსახურება უდიდესია. ბალაკის სანაკრებო კარიერის სახით, გერმანიის ეროვნულ გუნდში დიდი ერა სრულდება."

ლიოვი ბალაკს გამოსათხოვარ მატჩს სთავაზობს: „ცხადია, ძალიან გვინდა, რომ ბალაკი ნაკრებიდან ისე გავაცილოთ, როგორც იმსახურებს. მინდა, რომ მან 10 აგვისტოს, ბრაზილიასთან დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში ბუნდესგუნდის ფორმა კიდევ ერთხელ, 99-ედ და უკანასკნელად მოირგოს – ნიშნად მადლიერებისა იმის გამო, რაც მან გერმანული ფეხბურთისთვის გააკეთა," - ამბობს იოგი.

თუმცა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ბალაკი გამოსათხოვარ მატჩზე უარის თქმას აპირებს. ლიოვი ამბობს, ეს მიხაელმა დიდი ხანია იცის, მაგრამ პასუხი ჯერ არ უცნობებია და იმედი მაქვს, რომ ბრაზილიასთან ითამაშებსო. სპორტული საინფორმაციო სააგენტო SID იტყობინება, რომ 34 წლის მიხაელი ნაკრებიდან ოფიციალურ გამოთხოვებაზე უარს იტყვის. შეგახსენებთ, რომ ბალაკს ბუნდესგუნდში დებიუტი 22 წლის ასაკში, **ერიხ რიბეკის** მთავარი მწვრთნელობისას ჰქონდა...

● დორტმუნდის ბორუსია



# განაწყენებული ზიდანი მიდის

მოჰამედ ზიდანი უკმაყოფილოა და წასვლაზე ფიქრობს

დორტმუნდის „ბორუსიამ" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და გერმანიის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული ნომრის (10) მქონე ფეხბურთელს ამ ზღაპრულ წარმატებაში ფაქტობრივად არანაირი როლი არ უთამაშია. 29 წლის ეგვიპტელ თავდამსხმელ **მოჰამედ ზიდანს** ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა და BVB-სთვის ფაქტობრივად უსარგებლო მოთამაშე იყო, თუმცა ეს მისი საკმაოდ მძიმე ტრავმის ბრალიცაა, რომელიც, მართალია, მალევე მოიშუშა, მაგრამ ფორმის აღდგენა და სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება კი ვერაფრით მოახერხა – გამოჯანმრთელების შემდეგ ზიდანი იდეალურად ფუნქციონირებად გუნდში ველარ ჩაჯდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეგვიპტელს ძირითადში ადგილი არც მომდევნო სეზონში ექნება გარანტირებული, რის გამოც კმაყოფილი ნამდვილად არ არის და პირდაპირ ამბობს, თამაში მინდა, ისეთ ასაკში ვარ, რომ დასაკარგი დრო აღარ მაქვსო. თუმცა ზიდანი იქვე ხაზს უსვამს იმასაც, რომ „დორტმუნდის" „ათიანობა" მაგრად ეამაყება.

ამრიგად, საკითხავია, დარჩება თუ არა ზიდანი „ბორუსიაში", სადაც მას კონტრაქტის ვადა გაისად ეწურება? ფაქტია, რომ 22 წლის ხორვატი შემტევი ნახევარმცველის, **ივან პერიშიჩის** ტრანსფერის შემდეგ, რომელიც „ბორუსიას" 5.5 მილიონი დაუჯდა, ზიდანის შანსები, ითამაშოს ძირითად შემადგენლობაში, კიდევ უფრო შემცირდა. მოჰამედით დაინტერესებას ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეგვიპტური კლუბი, „ალ კაირო" იჩენს...

თუკი ზიდანის საკითხი ჯერ კიდევ ღიაა, 28 წლის ფორვარდ **დიმიტარ რანგელოვის** საკითხი გადაწყვეტილია: „დორტმუნდში" მისი ადგილი აღარ არის. ბულგარელი რომელიც „ბორუსიაში" 2009 წელს „კოტბუსიდან" ერთ მილიონ ევროდ გადავიდა და BVB-სთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული, ამ სეზონში თელ ავივის „მაქაბიში" გახლდათ განათხოვრებული. დორტმუნდელები მზად არიან, რანგელოვი ისევ გაანათხოვრონ, ან სულაც გაყიდონ.

● ბუნდესლიგა. შეჯამება: ჯოკერ-გოლები

# ალაგ ალაგ, უი!!!

## საუკეთესო ჯოკერი მაინცელია


„მაინცის" სუპერ-ჯოკერი სამი ალაგუი

დასრულდა თუ არა სეზონი, „კიკერმა" ბუნდესლიგა 2010/2011-ის სტატისტიკისა და შედეგების შეჯამება დაიწყო და ტრადიციული ბალანსიც გამოაქვეყნა, თუმცა აქამდე თქვენი ყურადღება სეზონის შემაჯამებელ ციფრებზე და ანალიზებზე არ გაგვიმახვილებია, რადგან სასაუბრო და განსახილველი სხვაც ბევრი იყო. ახლა კი, როცა შედარებით „მკვდარი სეზონია" და სატრანსფერო ორომტრიალიც არ გახურებულა ისე, როგორც ეს ივლის-აგვისტოშია ხოლმე, თამამად შეგვიძლია, დრო და ადგილი ამა თუ იმ საინტერესო ფაქტებს დავუთმოთ.

დღეს რუბრიკის მთავარი თემა ე.წ. „ჯოკერ-გოლებია". ანუ, ის მოთამაშეები, რომლებმაც შეცვლაზე ითამაშეს და გოლები გაიტანეს.

„მაინცმა" ეს სეზონი არა მარტო სენსაციურად კარგად ჩაატარა და გუნდებს შორის სეზონის მთავარი აღმოჩენა გახდა, არამედ, მაინცელებს თავიანთ რიგებში ბუნდესლიგის საუკეთესო „ჯოკერიც" ჰყავთ: ეს არის თავდამსხმელი **სამი ალაგუი**, რომელსაც გუნდის მთავარი მწვრთნელი **თომას ტუხელი** ძირითად შემადგენლობაში საკმაოდ იშვიათად ათამაშებდა, მაგრამ როცა შეცვლაზე შეჰყავდა, ეს ფეხბურთელი იმედებს თითქმის ყოველთვის უმართლებდა. შეცვლაზე შესვლისას, თანაც მეორე ტაიმში და უმეტესად მე-60 წუთის შემდეგ, თავდამსხმელისთვის გოლის გატანა ძალიან ძნელია. ალაგუი ტუხელმა მეორე ტაიმში 10-ჯერ შეუშვა მოედანზე და ფორვარდმა ათიდან ხუთ შემთხვევაში გოლის გატანა შეძლო. საუკეთესო ბალანსი კი ამ მხრივ სულ სხვა მოთამაშეს, კერძოდ „კაიზერსლაუტერნის" გარემარბ **ივო ილიჩევიჩს** აქვს, რომელიც უმეტესად სასტარტოში თამაშობდა ხოლმე, შეცვლაზე კი მხოლოდ ორჯერ იასპარეზა და ორივეჯერ „ჯოკერ-გოლი" გაიტანა.

სამი ალაგუი „მაინცში" ზუსტად ერთი წლის წინ, „ფიურტიდან" გადავიდა, ამ გუნდში კი შეუცვლელი ფიგურა და ლიდერი გახლდათ. ახლა კი, 25 წლის ფორვარდმა თავისი შესაძლებლობები პირველ ბუნდესლიგაშიც დაამტკიცა. სეზონის საუკეთესო მატჩი კი ალაგუიმ უდავოდ მიონხენგლადბახში ჩაატარა, სადაც მოედანზე 75-ე წუთზე შეუშვეს – იმ დროს „მაინცი" 0:1-ს აგებდა და სამიმ ორი გოლი გაიტანა, „მაინცმა" კი მოიგო.

შეცვლაზე შესვლის შემდეგ მან შესანიშნავად ითამაშა „ფრაიბურგთანაც", როცა მოედანზე შესვლიდან ექვს წუთში ანგარიში გაათანაბრა და მაინცელებს ქულა გადაურჩინა. თუმცა ტუხელი ალაგუის მხოლოდ შეცვლებზე როდი ათამაშებდა. ის, რომ სამი „მაინცისთვის" ჯოკერზე მეტია, კიდევ ხუთმა გოლმა დაამტკიცა, რომლებიც მან ძირითად შემადგენლობაში თამაშის დროს გაიტანა.

**საუკეთესო ჯოკერები**

| ფეხ. | ჯოკერ-გოლები/თ. შეც. |
|---|---|
| სამი ალაგუი (მაინცი) | 5/10 |
| მარტინ ჰარნიკი (შტუტგარტი) | 4/15 |
| რობერტ ლევანდოვსკი (ბორუსია დ) | 4/18 |
| ანდრე შიურლე (მაინცი) | 3/7 |
| მაიკ ჰანკე (ჰანოვერი/ბორუსია მ) | 3/11 |
| რობერტ მაკი (ნიურნბერგი) | 3/16 |
| შტეფან რაიზინგერი (ფრაიბურგი) | 3/19 |
| გილფი სიგურდსონი (ჰოფენჰაიმი) | 3/19 |
| ივო ილიჩევიჩი (კაიზერსლაუტერნი) | 2/2 |
| მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი) | 2/4 |
| სიდნი სემი (ლევერკუზენი) | 2/4 |
| უგო ალმეიდა (ვერდერი) | 2/6 |
| პატრიკ ჰელმესი (ლევერ./ვოლფს.) | 2/6 |
| ჯერალდ ასამოა (ზანქტ პაული) | 2/6 |
| სიმონ როლფესი (ლევერკუზენი) | 2/7 |
| ლუის ჰოლტბი (მაინცი) | 2/7 |
| პეტარ შლიშკოვიჩი (მაინცი) | 2/8 |
| კრისტიან გენტნერი (შტუტგარტი) | 2/8 |
| ერვინ ჰოფერი (კაიზერსლაუტერნი) | 2/13 |
| აშკან დეჯაგა (ვოლფსბურგი) | 2/13 |
| იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (ბორუსია დ) | 2/14 |
| ერენ დერდიოკი (ლევერკუზენი) | 2/14 |
| ფლორიან ბრუნსი (ზანქტ პაული) | 2/19 |

*შენიშვნა: დანარჩენებმა შეცვლაზე თამაშისას ერთ გოლზე მეტის გატანა ვერ მოახერხეს*

ჯოკერ-გოლები კლუბების მიხედვით

| გუნდი | ჯოკერ-გოლები |
|---|---|
| მაინცი | 15 |
| ლევერკუზენი | 10 |
| ბორუსია (დ) | 8 |
| შტუტგარტი | 8 |
| ჰამბურგი | 7 |
| კაიზერსლაუტერნი | 7 |
| ზანქტ პაული | 7 |
| ჰოფენჰაიმი | 5 |
| ნიურნბერგი | 5 |
| ვოლფსბურგი | 5 |
| ფრაიბურგი | 4 |
| შალკე | 4 |
| ვერდერი | 3 |
| ჰანოვერი | 3 |
| აინტრახტი | 2 |
| კიოლნი | 1 |
| ბორუსია (მ) | 1 |
| ბაიერნი | 1 |

● ჰოფენჰაიმი

# იბიშევიჩის კითხვის ნიშანი

## მხოლოდ ძველი დამსახურებები არ კმარა, ვედო შეიძლება გაუშვან...

ორი წლის წინ „ჰოფენჰაიმის" ბოსნიელი თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩი** ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი და როგორც ჰოფენჰაიმის, ისე მახლობელი სოფლების საფეხბურთო გმირი იყო. მაშინ „ჰოფე" პირველ ბუნდესლიგაში ახალი გადასული იყო და ყველასათვის მოულოდნელად, შემოდგომის ჩემპიონი გახდა, დღეისათვის 26 წლის ფორვარდი კი 17 მატჩში გატანილი 18 გოლით პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი იყო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, „ჰოფენჰაიმი" რეალობას დაუბრუნდა მართალია, ელიტიდან არ გავარდნილა, თუმცა არც სერიოზული წარმატებისთვის მიუღწევია. და ვედოც აღარ არის ისეთი სუპერგოლეადორი, როგორიც უნდა ყოფილიყო. გასული სეზონი კი მან საკმაოდ სუსტად ჩაატარა, რის გამოც მისი მომავალი ამ ეტაპზე გაურკვეველია.

დასრულდა თუ არა სეზონი, იბიშევიჩი აშშ-ში გაემგზავრა, სადაც მშობლები მოინახულა და ცოტა დაისვენა, მერე კი ევროპაში დაბრუნდა, ბოსნიის ნაკრებთან ერთად ორ ოფიციალურ მატჩში ითამაშა (რუმინეთთან 0:3 და ალბანეთთან 2:0), რის შემდეგაც ისევ შვებულებაში წავიდა. ახლა კი, სანამ „ჰოფენჰაიმი" ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს, იბიშევიჩს ორი კვირა აქვს იმისათვის, რომ იფიქროს და გადაწყვიტოს, როგორ გაგრძელდება მისი კარიერა.

2008/2009 წლების სეზონის პირველი ნახევრის გმირს გასულ სეზონში უმეტესად არ უმართლებდა – ბურთს ხშირად უილბლოდ კარგავდა, ძელსა და ხარიხას ახვედრებდა, იმის გამო, რომ თანაგუნდელები ნაკლებად ეხმარებოდნენ, უმეტესად დრიბლინგებით ცდილობდა ფონს გასვლას, რაც არ გამოსდიოდა, რადგან იბიშევიჩი არ არის დრიბლიორი და ასე შემდეგ.

„პირველ რიგში საკუთარი თავისგან ველოდი მეტს," - ამბობს ვედო და მისი შედეგებით „ჰოფეს" მენეჯერი **ერნსტ ტანერიც** იმედგაცრუებულია. თვითონ განსაჯეთ: მას მერე, რაც „ჰოფენჰაიმის" ღირსებას იცავს, იბიშევიჩი წელს პირველად ვერ გახდა კლუბის საუკეთესო გოლეადორი. მან მხოლოდ 8 გოლის გატანა შეძლო, **გილფი სიგურდსონმა** კი ერთით მეტი შეაგდო. შესაბამისად, ვედადი „ჰოფენჰაიმში" შეუცვლელი ფიგურა აღარ არის და თანაც, მისი სამსახურით თურქული კლუბები, „ტრაბზონსპორი" და „ბეშიქთაში" დაინტერესდნენ. „ბილდის" ინფორმაციით, იბიშევიჩზე


ვედად იბიშევიჩი ქვეყნურად შედეგიანი აღარ არის

ინგლისური „სანდერლენდიც" სერიოზულად ფიქრობს.

„მე ვარ ის ფეხბურთელი, რომელმაც „ჰოფენჰაიმის" ბუნდესლიგურ ისტორიაში პირველი, მეასე და ასორმოცდამეათე გოლები გაიტანა. რა გასაკვირია, რომ ეს გუნდი განსაკუთრებით მიყვარს. „ჰოფენჰაიმთან" სულ სხვა, ემოციური კავშირი მაქვს," - ამბობს იბიშევიჩი, რომელსაც „სოფლელებთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული. მიუხედავად ამისა, ბოსნიელი თავდამსხმელი ვერ დებს იმის პირობას, რომ აუცილებლად „ჰოფენჰაიმში" დარჩება – თანაც, არც კლუბის ხელმძღვანელები „იკლავენ თავს". იბიშევიჩი პირველ რიგში ახალი სეზონისთვის მზადების დაწყებას ელოდება და უნდა, გაარკვიოს, რას ფიქრობს მასზე ახალი მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი**. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ჰოფენჰაიმმა" 22 წლის ცენტრალური თავდამსხმელი **სვენ შიპლოკი** იყიდა, რომელიც იბიშევიჩის უშუალო კონკურენტია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ევროპის ჩემპიონატი. U 21. II ტურის მიმოხილვა

# ესპანური საქმე: მატას პასი, ადრიანის დარტყმა

## დანიაში ევროპა გახურდა

დანიის 4 ქალაქში გრძელდება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. მეორე ტურში ესპანეთის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ ტურნირის ფავორიტია, ჩეხთა 2:0 ძლევით. ტურნირის მეორე დუბლი ახალგაზრდული „როხას" ცენტრფორვარდ **ადრიან ლოპესის** ანგარიშზეა. B ჯგუფს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „სიკვდილის ჯგუფი", თუმცა ფაქტი ისაა, რომ ბოლო ტურის წინაც კი ოთხივე ინარჩუნებს წინსვლის შანსს. მიზანთან ყველაზე ახლოს კი ის გუნდია, რომელსაც საკვალიფიკაციო ტურნირში ტოლ-სწორად ეომა **ოთარ გაბელიას** გუნდი - შვეიცარია, რომელიც A ჯგუფში 6 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

### A ჯგუფი

**შვეიცარია-ისლანდია 2:0**

**შვეიცარია (4-1-4-1):** ზომერი - კოხი, კლოზე, როსინი, ბერარდი - ლუშტენბერგერი - შაჩირი, ჯაკა (68. აბრაში), ფრაი (66. კოსტანცო), ემეგარა - გავრანოვიჩი (84. ბენ ხალიფა).

**ისლანდია (4-1-4-1):** ბიორნსონი - იონსონი, ეიოლფსონი, ფიოლუსონი, ვალგარდსონი - კრისტიანსონი - გისლასონი, ვიდარსონი (60. ბიარნასონი), გ. სიგურდსონი, ფინბოგასონი (46. სიგურდარსონი) - სიგტორსონი.

**გოლები:** 1:0 ფრაი (1), 2:0 ემეგარა (40)



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:
**ინოსენტ ემეგარა (შვეიცარია)**

**პიერლუიჯი ტამი** (შვეიცარიის მწვრთნელი): „დიდებულია, ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა ამას - 2 თამაშიდან 6 ქულა გვაქვს. პირველივე წუთზე გოლმა გაცილებით გაგვიიოლა ამოცანა. შემდეგ კი ცოტა ავნერვიულდი, რადგან შანსებს ვანიავებდით. ვფიქრობ, ტაიმის ბოლოს დამსახურებულად გადავწყვიტეთ მატჩის ბედ-იღბალი.

პირველი ტურის შემდეგ ბევრს ლაპარაკობდნენ შაჩირის ფენომენზე. დღეს ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გუნდურად ვართ ძლიერები: ბრწყინვალედ ითამაშეს ფრაიმ, ემეგარამ და გავრანჩიჩმა, რომელსაც ტრავმის გამო ბევრი გაუცდა. არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერ არაფრისთვის არ მიგვიღწევია".

**ეიოლფურ სვერისონი** (ისლანდიის მწვრთნელი): „პირველმა გოლმა ბიჭები შოკში ჩააგდო. საერთოდაც, ასე სუსტად, როგორც დღეს პირველ ტაიმში, არასოდეს გვითამაშია".

**დანია-ბელარუსი 2:1**

**დანია (4-3-3):** ანდერსენი - ვასი, მ. იორგენსენი, ბიელანდი, ბოილესენი - იენსენი (77. პოვლსენი), ერიქსენი, ოლბაკი - დალსგაარდი (62. კადრი), ნ. ნიელსენი, ნ. იორგენსენი (81. ფენგერი).

**ბელარუსი (4-4-2):** გუტორი - ვერეტილო, ფილიპენკო, პოლიტევიჩი, პოლიაკოვი - ბაგა, ბუკატკინი (46. რეკიში), სივაკოვი, პერეპეჩკო (76. ნეხაიჩიკი) - დრაგუნი, ვორონკოვი (58. სკავიში).

**გოლები:** 0:1 ბაგა (20), 1:1 ერიქსენი (22), 2:1 ნ. იორგენსენი (71)



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:
**კრისტიან ერიქსენი (დანია)**

**კელდ ბორდინგაარდი** (დანიის მწვრთნელი): „ბელარუსისგან კონტრშეტევებზე თამაშს ველოდი, რადგან ისინი ამ კომპონენტში ძალიან მაგრები არიან. ჩემი შიში გამართლა და თავიდან სწორედ ამის გამო დაწინაურდა მეტოქე. თუმცა ჩვენ მიზანდასახულად ვითამაშეთ და შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემი გუნდიდან ნიკოლაი იორგენსენს გამოვარჩევდი".

**გეორგი კონდრატიევი** (ბელარუსის მწვრთნელი): „სამწუხაროდ, ძალიან ბევრი სულელური შეცდომა დავუშვით. გოლი რომ გავიტანეთ, ამან ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა და ყველაზე მეტად ეს ვერ გამიგია. ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ, შანსი ჯერ კიდევ კარგი გვაქვს".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**ბოლო ტური**

18 ივნისი: **ისლანდია-დანია, შვეიცარია-ბელარუსი.**

### B ჯგუფი

**ამ ქვეჯგუფში ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება - ნახევარფინალში გასვლის შანსი ჯერ არავის დაუკარგავს, თუმცა ესპანელებმა დაამტკიცეს, რომ ფავორიტები არიან, მას შემდეგ, რაც I ტურის ტრიუმფატორ ჩეხებს მოუგეს, ხოლო მეორე შეხვედრა ამ ორი გუნდის სასიხარულოდ, ფრედ დასრულდა.**

**ჩეხეთი-ესპანეთი 0:2**

**ჩეხეთი (4-1-4-1):** ვაცლიკი - ჩელუსტკა, სუხი, მაზუხი, ლესიაკსი - გეცოვი - დოჩკალი, ვაჩა, მორავეკი (63. კადლეცი), ჰლუშეკი (77. ჩერნი) - პეხარტი (46. კოზაკი).

**ესპანეთი (4-3-3):** დე ხეა - მონტოია, ბოტია, ა. დომინგესი, დიდაკ ვილა - ტ. ალკანტარა, ხ. მარტინესი, ანდერი - მატა (89. ნსუე), ა. ლოპესი (74. პარეხო), მუნიაინი (83. კაპელი).

**გოლები:** 0:1 ა. ლოპესი (27), 0:2 ა. ლოპესი (47)



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:
**ადრიან ლოპესი (ესპანეთი)**

23 წლის ასტურიელი ადრიან ლოპესი ცოდოა სეგუნდადივიზიონში სათამაშოდ. არადა, მისი გუნდი, „დეპორტივო" გავარდა ახალგაზრდა ცენტრფორვარდის 8 გოლის მიუხედავად. ჩეხებთან მატჩში ადრიანმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანა დაახლოებით ერთნაირ სტილში, როცა კარგად გაიხსნა და საჯარიმოში გამჭოლი პასი მიიღო.

ამით **იაკობ დოვალის გუნდის** 11-მატჩიანი (საკვალიფიკაციო ტურნირის ჩათვლით) წაუგებელი სერია დასრულდა. ჩეხები დამარცხდნენ ლოგიკურად, ყველა საფეხბურთო კანონის მიხედვით - ახალგაზრდული „როხა" ბურთს თამაშის 2/3-ედზე აკონტროლებდა. ბოლო ტურის წინ ლუის მილიას გუნდი 4 ქულით პირველია და მე-2 ადგილზე მყოფ ჩეხეთს ქულით უსწრებს.

ადრიანი დავაფასეთ და არ შეიძლება 23 წლის ბურგოსელი **ხუან მანუელ მატა** დავივიწყოთ. ესპანელთა ცენტრფორვარდს ორივეჯერ „ვალენსიას" ლიდერმა გაუკეთა გამჭოლი საგოლე პასი.

ინგლისელებთან მატჩის შემდეგ **ლუის მილიამ** შემადგენლობაში კორექტივები შეიტანა - სასტარტოში ბილბაოს „ატლეტიკის" 18 წლის თილისმა **იკერ მუნიაინი** დააყენა. და სწორედ ბასკმა შექმნა პირველი საგოლე მომენტი, როცა მომავალი თანაგუნდელი **ანდერ ერერა** მოძებნა, ვინც მეკარის სიახლოვეს ხუან მატა შენიშნა. ვალენსიელის დარტყმული ერთბაშად ორმა მოიგერია, მეკარე **ტომაშ ვაცლიკმა** და მცველმა **იან ლესიაკსმა.** ამის შემდეგ დადგა მომენტი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ - 27-ე წუთზე მატამ გამთამაშებლის პოზიციიდან საჯარიმოში ადრიან ლოპესი მოძებნა და ფორვარდმა ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ ვაცლიკმა მატას საოცარი დარტყმა აუღო და ტაიმის ბოლომდე ერთი სახიფათო მომენტილა მოხდა - **დე ხეას** კარში საკვალიფიკაციო ტურნირის ბომბარდირი (9 გოლით) **ტომაშ პეხარტი** ურტყამდა, მაგრამ ააცილა.

თითქოსდა, ესპანელთა პირველი მატჩის სცენარი მეორდებოდა, როცა „როხა" აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ამჯერად იბერიელებს „ჰეფი ენდი" ჰქონდათ, რაც ისევ და ისევ მატა-ლოპესის დუეტის დამსახურებაა, რომელთაც მეორე ტაიმის დასაწყისში ანალოგიური კომბინაცია გაითამაშეს - 2:0. ჩეხები მარცხს იოლად არ შეეგუენ, თუმცა მათგან ყველაზე აქტიური მარჯვენა მცველი **ანდრეი ჩელუსტკა** იყო და არა შემტევები.

სხვათა შორის, თამაში ვიბორგში ჩატარდა, ქალაქში, სადაც ტრადიციულად დანიის მეფეებს გვრიგვინს ადგამდნენ...

**იაკუბ დოვალი** (ჩეხეთის მწვრთნელი): „ესპანეთის ნაკრები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ჩვენი პირველი მეტოქე უკრაინა. ჩვენ შემტევი ფეხბურთის თამაში ვცადეთ, მაგრამ ესპანელთა ტექნიკურობამ ამის საშუალება არ მოგვცა. ორივე გოლი ძალიან კრიტიკულ მომენტში გავუშვით. როცა ესპანეთთან 0:2-ს აგებ, საკუთარ თავს უნდა გამოუტყდე, შანსი აღარ გაქვს.

პირველი ტურის შემდეგ კარგ პოზიციაში ვიყავით, ასე რომ, გავრისკეთ და შევუტიეთ. გოლის გატანის შანსები ჩვენც გვქონდა - ტაიმის მიწურულს პეხარტს უნდა გაეტანა, თამაშის ბოლოს კი ჩელუსტკა ურტყამდა ძალზე სახიფათოდ.

წინ ძალიან მძიმე ბოლო ტური გველის - ინგლისის ნაკრები ფიზიკურად ყველაზე ძლიერია ჯგუფში. მათ ჰყავთ ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც რეგულარულად უწევთ პრემიერლიგაში თამაში. მაგრამ ჩვენი ბედი ისევ ჩვენს ხელთაა - თუკი მოვიგებთ, ნახევარფინალში გავალთ".

**ლუის მილია** (ესპანეთის მწვრთნელი): „საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ - კვირას რომ მეორე გოლი დროულად გაგვეტანა, 3 ქულას ხელიდან აღარ გავუშვებდით. ახლა კი კმაყოფილი ვარ, ჯერ ერთი, რომ უკეთ ვითამაშეთ და მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, მეორეც, საჭირო გოლები დროულად გავიტანეთ.

ესპანური ფეხბურთის უპირატესობაც ეს არის - ჩვენ აქცენტს ტექნიკურ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ, როცა ბურთის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არ მინდა ვინმე გამოვყო დღევანდელ მატჩში, ჩვენ გუნდური თამაშის წყალობით მოვიგეთ.

მთავარია, ეს გუნდური სულისკვეთება შევინარჩუნოთ და უკრაინასთან მატჩშიც მოგებაზე ვიფიქროთ".



ადრიან ლოპესს (მარჯვნივ) პირველი ხუან მატა ულოცავს



შვეიცარია გუნდური თამაშით გამოირჩევა



ინგლისელი ჯეკ როდველის გარღვევა

**უკრაინა-ინგლისი 0:0**

**უკრაინა (4-2-3-1):** კანიბალოცკი - ბუტკო, რაკიცკი, კრივცოვი, სელინი - ჩესნაკოვი, გოლოდიუკი - ბილიი, გარმაში, კონოპლიანკა (65. იარმოლენკო) - კრავეცი (70. ზოზულია).

**ინგლისი (4-3-3):** ფილდინგი - უოლკერი, სმოლინგი, ჯონსი, ბერტრანდი - ჰენდერსონი, მანსიენი (89. მუამბა), როდველი (57. ლენსბერი) - სტარიჯი, უელბეკი, როუზი (57. სინკლერი).



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:
**დენის გარმაში (უკრაინა)**

უკრაინელები და ინგლისელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს და სატურნირო მდგომარეობაც ერთობ გაირთულეს. ამ ორი გუნდიდან მიზანთან უფრო ახლოს ბრიტანული იყო...

უკრაინელებისთვის კიდევ ერთი მარცხი ტურნირიდან გავარდნას ნიშნავდა. **პაველ იაკოვენკომ** პირველ ტურთან შედარებით სასტარტო შემადგენლობაში ხუთი ცვლილება შეიტანა. დაწინაურებულთა შორის **დენის გარმაში,** რომელმაც ორი წლის წინათ დიდი წვლილი შეიტანა ინგლისელთა დამარცხებაში 19-წლამდელთა დონეზე (გოლი გაიტანა). მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ გარმაში მატჩის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სულ სამი რეალური საგოლე მომენტი მოვნიშნეთ - პირველ ტაიმში **დანიელ სტარიჯმა** ყუმბარისებურად გაისროლა უკრაინელთა კარისკენ, ბურთი ხარიხამ აისხლიტა. მეორეში კი ესპანელებთან მატჩის გმირი **დენი უელბეკი** შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ ხეირიანად დარტყმა არ აცალეს და ბურთი კარს ააცილა, უელბეკი პენალტს ითხოვდა, თუმცა წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სულ ბოლოს კი უკრაინელებს მოგება შეეძლოთ - გარმაშმა დიდებული პასით „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალწვეული **ფილ ჯონსი** ხახამშრალი დატოვა, **რომან ზოზულიას** დარტყმულს კი მეკარე **ფილდინგი** ფეხით შეწვდა ბოლო წამს. **თემურ ფარცვანიას,** რომელიც ჩეხებთან მატჩში მეორე ტაიმში გამოჩნდა, ამჯერად არ უთამაშია.

**პაველ იაკოვენკო** (უკრაინის მწვრთნელი): „გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ შევძელით. ახლა ჩვენთვის ყველაფერი მარტივად და რთულადაა - უნდა მოვიგოთ ბოლო ტურის მატჩი, მაგრამ მეტოქე გვყავს ძალიან ძლიერი - ესპანეთის ნაკრები. ჩვენ მოსაგებად ვითამაშეთ. ამიტომაც, ამ თამაშის შედეგს ლოგიკურს ვერ ვუწოდებ. ბიჭებს მადლობა კარგი თამაშისთვის. ეს ჯგუფი ძალიან ძლიერი გამოდგა, ოთხივე გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ჩვენთვის შანსი კიდევ დარჩა და ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ".

**სტიუარტ პირსი** (ინგლისის მწვრთნელი): „ფიზიკურად ძალიან ძნელი მატჩი იყო ბიჭებისთვის. უკრაინა და ჩვენ თავს კარგად ვიცავდით. ახლა, ბოლო ტურში მხოლოდ მოგება გვინდა ნახევარფინალში გასასვლელად.

ორი თამაშის ჯამში, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, სულ ერთი ბურთი გავუშვით. არადა, ორ ძლიერ მეტოქეს შევხვდით, რამდენიმე საგოლე მომენტიც შევქმენით. იმედი მაქვს, რომ ჩვენს კიდევ შეგვიძლია, მოვუმატოთ. ახლა ყველაფერი ჩვენ ხელშია - ჩეხებთან გადამწყვეტი ორთაბრძოლა გველის".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 3. ინგლისი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. უკრაინა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**ბოლო ტური**

19 ივნისი: **ინგლისი-ჩეხეთი, უკრაინა-ესპანეთი.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერი

# დიდი ამბები შავ-ლურჯთა ბანაკში

## ეტოო მიდისო...



ლეონარდო და ეტოო

ერთ-ერთ წინა ნომერში დავწერეთ იმის შესახებ თუ როგორ შეაქო **მასიმო მორატიმ ლეონარდო** და განაცხადა, რომ მასთან ერთად „ინტერი" დიდ წარმატებებს მიაღწევს. გუშინ გავრცელებული ცნობები კი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა - „კორიერე დელო სპორტმა" პრაქტიკულად გადაწყვეტილ ამბად გამოაცხადა ის, რომ უახლოეს დღეებში ლეო კონტრაქტს გაწყვიტავს მილანურ გრანდთან და ფრანგულ პსჟ-ს ჩაუდგება სათავეში. ავტორიტეტული გამოცემა გვიმტკიცებს, რომ ბრაზილიელი სპეციალისტი უკვე ჩავიდა საფრანგეთის დედაქალაქში და კლუბის მესვეურებს ხელშეკრულების დეტალებზე შეუთანხმდა. არის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც ლეონარდო არა მთავარი მწვრთნელი, არამედ პსჟ-ს სპორტული დირექტორი გახდება. ჟურნალისტები კიდევ ერთხელ შეეხმიანენ მასიმო მორატის და მისგან შემდეგი კომენტარი მოისმინეს:

*„არაერთხელ მაქვს ნათქვამი, რომ ლეონარდოს მუშაობით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და მასთან თანამშრომლობის გაგრძელება მსურს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრაზილიელი აუცილებლად დარჩება გუნდში და კონტრაქტს ბოლომდე ამოწურავს. ყველა ადამიანს აქვს არჩევანის უფლება და თუ მართლა პსჟ-ში სურს კარიერის გაგრძელება, ხელს ნამდვილად არ შევუშლით. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ინფორმირებული არ ვარ რას აკეთებს, სად არის და ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს - ჯერ კიდევ გუშინწინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ისვენებდა და ახალი სეზონისთვის ემზადებოდა. გაწბილებული ვარ თუ არა? - ხომ გითხარით, ჯერ არ ვიცი რა ხდება და პირველ რიგში, ვითარებაში უნდა გავერკვე".*

რადგან თვით მორატიმ ვერ უარყო გავრცელებული ცნობა, ე.ი. საქმე მართლაც სერიოზულად არის და ლეო პრაქტიკულად წასულია „ინტერიდან". თვითონ ბრაზილიელი ჯერ არ ჩანს და ეს გარემოება ეჭვებს კიდევ უფრო აღვივებს. თუმცა, რალა ეჭვებს - მაგალითად, „კორიერე" ლეოს წასვლას უკვე გადაწყვეტილ ამბად მიიჩნევს, ამ გამოცემას კი ბევრი სხვა ჟურნალისტიც ეთანხმება.

გუშინ საღამოს, „ინტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო ცნობა გავრცელდა, რომლის თანახმადაც **სამუელ ეტოოც** ემზადება მილანიდან ასაბარგებლად. ერთ-ერთ ვებგვერდზე სტატია ასე იყო დასათაურებული: „ეტოოც?" - სათაური ბევრისმთქმელია და მასში ლეონარდოს წასვლის საკითხიც არის ჩადებული. რაც შეეხება კამერუნელს, მან ვრცელი კომენტარი მისცა ჟურნალისტს და შემდეგი განაცხადა:

*„მილანში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. „ინტერში" ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა, თუმცა აქ ყოფნის სურვილი არ გამნელებია, ეს კი ძალიან კარგის მანიშნებელია. მიუხედავად ამისა, არ ვარ დარწმუნებული, რომ მომდევნო სეზონშიც „ინტერის" ფეხბურთელი ვიქნები. ორი კვირა კარგად დასვენება მჭირდება, შემდეგ კი ცივ გონებაზე გავაანალიზებ არსებულ ვითარებას და გადაწყვეტილებასაც მივიღებ. რა არის გადასაწყვეტი? - ჩემი მომავალი. არ დავმალავ, რამდენიმე მეტად საინტერესო შემოთავაზება მაქვს, რომლებსაც აუცილებლად განვიხილავ და მინდა ეს „ინტერის" მესვეურებმაც იცოდნენ. უკვე 30 წლის ვარ და შესაძლოა სპორტულ მოტივაციაზე წინ ფინანსური ინტერესები დავაყენო".*

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ეტოოს არაბული გუნდები ეპატიჟებიან, ერთ-ერთი კი „ალ აჰლი" გახლავთ, სადაც **ფაბიო კანავარო** ასპარეზობს. თუ ეტოო ფინანსურ ინტერესებს სპორტულ მოტივაციაზე წინ დააყენებს, ალბათ უკეთეს კლუბს ვერც იპოვის. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება. მორატი კი მხრებს იჩეჩავს და საგონებელშია ჩავარდნილი - მან ეტოოს შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი:

*„ალბათ არავის ეწყინება თუ ვიტყვი, რომ სამუელ ეტოო „ინტერის" საუკეთესო ფეხბურთელია. გასული სეზონი სტაბილურად უმაღლეს დონეზე ჩაატარა და გუნდის ლიდერად მოგვევლინა. ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კამერუნელი ისეთივე მნიშვნელობის ფეხბურთელია ჩვენთვის, როგორიც ლიონელ მესია „ბარსელონასთვის". ჩემი ნებით, ეტოოს არასდროს გავყიდი და თუ თვითონ მოისურვებს წასვლას, მაშინ ყველანაირად შევეცდები, რომ განზრახვაზე ხელი ავაღებინო. უახლოეს დღეებში აუცილებლად დაველაპარაკები და ყველაფერს გავარკვევ".*

უკვე გაცნობეთ იმის შესახებ, რომ სხვა გუნდში გადაბარგება არც **ვესლი სნეიდერმა** გამორიცხა, რამაც მორატი ძალიან გაანაწყენა. როგორც ჩანს, ჰოლანდიელსაც აქვს საინტერესო შეთავაზება და ამად არის, რომ ასეთ ბურუსით მოცულ განცხადებებს აკეთებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ინტერის" პრეზიდენტს კლუბში არსებულ ვითარებაზე სრული წარმოდგენა არ აქვს, ასე კი შეიძლება სადავეებიც კი გაექცეს ხელიდან - სადავეები თუ არა, ფეხბურთელები ნამდვილად გაექცევიან.

*P.S. წუხელ გვიან გაირკვა, რომ ლეონარდო „პარი სენ ჟერმენის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა.*

● სასჯელი

# მოჯი კალჩოდან მოკვეთეს

ფედერკალჩოს ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ლუჩანო მოჯის** სამუდამოდ აეკრძალა იტალიურ ფეხბურთში საქმიანობა. დიახ, ასეთი მკაცრი განაჩენი დისციპლინარებმა ბევრი სჯა-ბაასის გარეშე მიიღეს და მოჯის წერილობით აცნობეს. საქმე იმაშია, რომ ლუჩანო სერია B-ს მატჩების შედეგებზე გავლენის მოხდენაში ამხილეს, დაუმტკიცდა დანაშაული და გამომდინარე იქიდან, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო, ასეთი მკაცრი სასჯელი გამოუწერეს.

ფედერკალჩოს პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტეს** მოჯის ფეხბურთიდან მოკვეთაზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: *„კალჩოპოლის შემდეგ მოჯი საკმაოდ მკაცრად დაისაჯა, თუმცა, როგორც ჩანს, მისი გამოსწორება შეუძლებელია. ამიტომ, სადისციპლინო კომიტეტმა ყველაზე მკაცრი განაჩენი გამოიტანა და მოჯი მოკვეთილ იქნა იტალიური ფეხბურთიდან. კალჩო ერთხელ და სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს კორუფციისგან, გარიგებული მატჩებისგან და სხვა არაერთი სიბინძურისგან. ჩემი აზრით, მოჯის მოკვეთა სწორედ აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია".*



ლუჩანო მოჯი

● სატრანსფერო ამბავი



აკვილანი გაურკვევლობაშია

# რა ბედი ელის აკვილანის?

**ალბერტო აკვილანი** „ლივერპულის" საკუთრებაა, თუმცა გასული სეზონი იჯარის წესით „იუვენტუსში" გაატარა. ვერ ვიტყვით, რომ ჩრდილში იყო მოქცეული და სათადარიგო სკამზე იჯდა, თუმცა ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ციდან ვარსკვლავები მოწყვიტა. საიჯარო ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, სურვილის შემთხვევაში ტურინელებს ფეხბურთელის 16 მილიონ ევროდ გამოსყიდვა შეუძლიათ. გამომდინარე იქიდან, რომ ალბერტომ ვერ იბრწყინა და თანაც, „იუვეს" **ანდრეა პირლო** დაემატა, ტურინელებმა აღნიშნული თანხის გადახდაზე უარი განაცხადეს. აკვილანის დაბრუნებით არც „ლივერპულია" დაინტერესებული და გამომდინარე აქედან, ფეხბურთელი ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული. რა ბედი ელის 26 წლის საყრდენ ნახევარმცველს, დღეს რთული სათქმელია. ფეხბურთელის პირადი აგენტი **ფრანკო ძავალია** ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„კონტრაქტის მიხედვით, ალბერტოს სატრანსფერო ფასს 16 მილიონი ევრო შეადგენს, რაც „იუვენტუსის" მესვეურებს ეძვირათ. დარწმუნებული ვარ, რომ აკვილანის ამ ფასად გამოუჩნდება მყიდველი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თავად ფეხბურთელს ტურინში სურს დარჩენა, მოლაპარაკების პროცესი გრძელდება. მაქვს სიახლე, რომლის მიხედვითაც მხოლოდ „იუვენტუსს", შეუძლია აკვილანის გამოსყიდვა 9 მილიონ ევროდ, ეს კი სერიოზული შეღავათია. უახლოეს დღეებში „ვეკია სენიორას" სპორტულ დირექტორთან ვგეგმავ შეხვედრას და მჯერა, რომ ყველა დეტალს შევათანხმებთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ
განახლებული კურორტი საირმე!
ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.
3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით-ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.
ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.
უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# სუპერფინალის სია გაირკვა



8-10 ივლისს ბაქო „ოქროს დიდი პრიზის" სუპერფინალურ ტურნირს უმასპინძლებს, რომელიც, როგორც ყველაფერი იმ ქვეყანაში, ჰეიდარ ალიევის სახელობისაა. უკვე დამთავრებულმა „ოქროს დიდი პრიზის" შესარჩევმა შეჯიბრებებმა, რასაც „თავისუფალში" კრასნოიარსკმა და თბილისმა, ბერძნულ-რომაულში კი ასევე ჩვენმა დედაქალაქმა და უნგრულმა სომბათჰეიმ უმასპინძლეს, უკვე გამოავლინა ბაქოური შეჯიბრების მონაწილენი. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს ფალავნებს კრასნოიარსკსა და უნგრეთში არ უჭიდავიათ, ამ თითო შეჯიბრებითაც კი ყოველ წონაში სამ-სამი კაცის გამოყვანის უფლება მიიღეს. „თავისუფალთა" შორის **გიორგი ედიშერაშვილი, ტრისტან ჩირგაძე, გივი დავიდოვი** (სამივე - 55), **მალხაზ ზარქუა, მალხაზ ქურდიანი, დავით ბერძნიშვილი** (60), **შალვა მუზიაშვილი, კობა კაკალაძე, გიორგი ცუცქირიძე** (66), **გოჩა ლომთათიძე, გიორგი მარსაგიშვილი, რევაზ ივანიშვილი** (74), **აჩიკო ქიტიაშვილი, ირაკლი მარსაგიშვილი, ბექა ჭელიძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე, ლევან სეთურიძე, დავით ქერაშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი, ლევან ბერიანიძე, გიორგი საკანდელიძე** (120), ბერძენ-რომაელთაგან კი **ლაშა გოგიტაძე, გენადი ქუთათელაძე, ზურაბ მაჭარაშვილი** (სამივე - 55), **ირაკლი ჭოჭუა, ქემალ ხარაბაძე, სულხან წულუკიძე** (60), **მარადი აბულაძე, ლაშა ლოლაშვილი, მუხრან მაჭუტაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია, მანუჩარ ცხადაია, გიორგი ცირეკიძე** (74), **რევაზ ნადარეიშვილი, მათე სოფაძე, დავით ჩაკვეტაძე** (84), **ირაკლი ქაჯაია, იაკობ ქაჯაია, ვასილ იმერლიშვილი** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი, რამინ შაქარიშვილი, სერგო გოგისვანიძე** (120) იჭიდავებენ. არაა გამორიცხული, მასპინძლებმა ჩვენი ტიტულოვანი ფალავნები პერსონალურად მიიწვიონ და ეს სია კიდევ გაიზარდოს. ალბათ, შეამჩნევდით, რომ ჩამონათვალში არც ბერძნულ-რომაულში ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხია** (60), არც „თავისუფალთა" შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **გიორგი მარსაგიშვილი** (84). ასევე „თავისუფლებში" მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძე** (96) და მსოფლიოს ვერცხლის, ხოლო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** (66) - მიზეზთა გამო, მათ არც უჭიდავიათ შესარჩევი შეჯიბრებები და ამიტომ ვერც კვოტები მიიღეს. ორგანიზატორები ასეთ გამოჩენილ ფალავნებს ხშირად იწვევენ, განსაკუთრებით - მსოფლიოსა და ევროპის ბოლო ჩემპიონატების მედალოსნებს, მაგრამ ლაშხი რომ მიიწვიონ, მაინც არ წავა იქ - სტარტისთვის ზუსტად იმ პერიოდში ესპანეთში იჭიდავებს. ეს მწვრთნელთა სტრატეგიული ჩანაფიქრია - მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც სალიცენზიო სტატუსისაა, მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი აზერბაიჯანელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჰასან ალიევიც იქნება, ისეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ კი მასთან მისსავე სამშობლოში შეხვედრა არ სურთ. მით უფრო, ლაშხმა ალიევს წლეულს ევროპაზე მოუგო და ბაქოში მასპინძლები, რომლებმაც უკვე უზომო გავლენა მოიპოვეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაზე, ყველაფერს გააკეთებენ თავიანთი ფალავნის გასამარჯვებლად, ეს კი უარყოფითად იმოქმედებს ლაშხის ფსიქოლოგიაზე, ხოლო ალიევისაზე, პირიქით - დადებითად. თან ბაქოში ჭიდაობის მთელი ელიტა იქნება შეკრებილი და ჩვენს მწვრთნელებს დიდად არც ის სურთ, ლაშხის მომზადება, მისი სპორტული ფორმა ასე ყველას თვალწინ გამოამზეურონ.

აქვე შევნიშნავთ, რომ „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი შეჯიბრებაა ჭიდაობის სამყაროში - ჩემპიონი ჯილდოდ 10 000 დოლარს მიიღებს, მომდევნო ადგილებზე გასულები, შესაბამისად, 5 000 და 2 000-2 000 დოლარს.

ჩვენი გუნდებისთვის ეს ტურნირი მსოფლიოს პირველობისთვის მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ორივე ნაკრები 16-16 ფალავანით გუშინ სომხეთში გაემგზავრა, სადაც მაღალმთიან კურორტ წახკაძორში საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლიან. ეს ადგილი ჩვენებისთვის კარგადაა ნაცნობი ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროიდან, როცა იქ საკავშირო მნიშვნელობის სპორტული ბაზა იყო და ახლანდელი მწვრთნელები სპორტსმენთა რანგში ლამის მუდმივად იქ გადიოდნენ წვრთნას, ახლა კი მან წარმატებით ჩაანაცვლა ბაკურიანი. ვერ გეტყვით, რითი ჯობია იქაურობა ბაკურიანს, მწვრთნელები ამბობენ, რომ იქ ინფრასტრუქტურა უფრო უკეთაა განვითარებული ანუ ვარჯიშისთვის უკეთესი პირობებია. მთავარი მართლაც უკეთ მომზადებაა, მაგრამ ცუდია, ადგილობრივმა კურორტმა შინაური მომხმარებელი რომ დაკარგა და ფული საქართველოდან იქით გაედინება, როცა კურორტის, ზოგადად ტურისტული ინდუსტრიის სწორი მენეჯმენტის პირობებში აქეთ შეიძლება მოვიზიდოთ.

მწვრთნელებმა ამჟამად წახკაძორში ყველა წონაში ორ-ორი ლიდერი წაიყვანეს. ამასთან დაამატეს ის ფალავნებიც, რომლებმაც თბილისური შეჯიბრება გამოტოვეს (ცხადია, ვისაც ტრავმა ვარჯიშის საშუალებას აძლევდა). გუნდები სომხეთში თვის ბოლომდე დარჩებიან, იქიდან დაბრუნებულები კი ერთ კვირაში ბაქოში წავლენ. ამ ტურნირის შემდეგ ისევ შეკრებების პერიოდი დგება. ბერძენ-რომაელები მას კვლავაც უცხოეთში, ამჯერად მინსკში, „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან, „თავისუფლები" - დუშეთში. უცხოეთში, კონკრეტულად კი თურქეთში წასვლას ესენიც გეგმავდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც შინ დარჩენა არჩიეს. დაახლოებით ამ პერიოდში ორივე გუნდი პოლონეთში იჭიდავებს საერთაშორისო ტურნირებში, მერე კი საქართველოში დაბრუნდებიან და ბოლო შეკრებას დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან, 12-18 სექტემბერს კი სტამბოლში მსოფლიოს პირველობა ტარდება. იქ ყოველ წონაში ექვს-ექვსი საგზური გაიცემა, ხელმოცარულებს კი შანსი სალიცენზიო შეჯიბრებებში მიეცემათ. ორ ასეთ ტურნირს საერთაშორისო ფედერაცია ატარებს, ორსაც - ევროპული, ოღონდ იმათში ბევრად ნაკლები საგზური გათამაშდება. თუმცა ესეც კია - ქვეყანა, რომელსაც კონკრეტულ წონაში უკვე ექნება საგზური, იქ მონაწილეს ვერ გამოიყვანს. პრაქტიკულად, იმ სალიცენზიო შეჯიბრებეში ლიდერები არ იჭიდავებენ. თუმცა საგზურების მოპოვება არც მსოფლიოს ჩემპიონატზე იქნება იოლი - ახლანდელი წესით, საამისოდ საჭიროა, ბრინჯაოს მედლისთვის მაინც იჭიდაო, ხოლო გუნდიდან ეს ყველამ შეძლოს, დაგვეთანხმებით, ცოტა არარეალურია.

**ირაკლი თავაძე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ხმალი, 5. ანგისა, 6. სიომა, 9. საქა, 10. მხედარი, 11. ბაია, 14. „მილანი", 15. რენძიუ, 17. სიმონი, 18. ჯარიმა, 19. იაძე, 20. ეტლი, 25. რავა, 26. ხოფერია, 27. ლისი, 31. ისინდი, 32. ატაცი, 33. „ავაზა".

**შვეულად:** 1. შაში, 2. ფიფა, 4. ციგა, 5. მცხეთის ყოფილი საფეხბურთო გუნდი, 7. ათჭიდი, 8. ფორა, 12. ანანიძე, 13. „მეშახტე", 14. მესხი, 16. უნარი, 21. ტაიჭი, 22. ქორქია, 23. სინი, 24. მსაჯი, 28. ფანი, 29. სეტი, 30. „ირაო".

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".**

ქართული ჭიდაობა

# ჩემპიონატი დამთავრდა ზეიმები გრძელდება

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს 2011 წლის პირად ჩემპიონატს წინ 4 ზონალური ასპარეზობა უსწრებდა, რომლის გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა (სულ 95-მა მოჭიდავემ) დილომში ძიუდოს კომპლექსში ფინალურ ასპარეზობაზე მოიყარეს თავი.

გასულ წლებთან შედარებით შვიდის ნაცვლად წლეულს ექვს წონით კატეგორიაში გაიმართა ქვეყნის ჩემპიონატი. თუმცა შეჯიბრება ორ დღეს გაგრძელდა და ეს სავსებით ნორმალურია. ერთ დღეში მომთავრებულს კი თავისი ხარვეზები ყოველთვის ახლავს...

ექვსი ჩემპიონიდან ორმა **ტრისტან ფეიქრიშვილმა** და **გოჩა ხუციშვილმა** პირველად იზეიმეს საქართველოს ჩემპიონობა. დანარჩენი ოთხი კი სხვადასხვა დროს ფლობდა ოქროს მედლებს. აქედან სამმა მათგანმა — **ზვიად ბაზანდარაშვილმა, თედო აბელაშვილმა** და **ვახტანგ ზოიძემ** შარშანდელი ჩემპიონობა კვლავ შეინარჩუნეს...

ჩემპიონებიდან და პრიზიორებიდან სპეციალისტებისთვის ყველა მოჭიდავე მეტნაკლებად ცნობილია. მაგრამ სასიამოვნოდ გაგვაოცა ფინალისტმა **ანდრო ბერუაშვილმა** (66 კგ), რომელმაც ვერცხლი მოიპოვა. ის სამაჩაბლოდან დევნილია და ნამდვილი ქართული ჭიდაობა გვიჩვენა დილმის ხალიჩაზე...

საქართველოს ჩემპიონატის ფინალში 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძმები **გოჩა** და **ხვიჩა ხუციშვილები** შეერკინენ ერთმანეთს. გამარჯვება გოჩას დარჩა, რომელსაც მისმა ორწლისნახევრის ვაჟმა დავითმაც მიულოცა.

ჩემპიონ-პრიზიორებს სხვა ატრიბუტებთან ერთად ქართული ჭიდაობის ფედერაციამ შესაბამისად 300-250 და 200 ლარი გადასცა ჯილდოდ.

რეგიონებიდან კვლავ კარგად მუშაობს გორელი ამაგდარი მწვრთნელი **გივი ზაუტაშვილი.** აგრეთვე მისი ახალგაზრდა თანაქალაქელი კოლეგა **ქართლოს პავლიაშვილი.**

ქართული ჭიდაობის საერთო პრობლემა კი არახალია, ძველია. ქართულ ჭიდაობას ცალკე, იშვიათად ან საერთოდ არ ასწავლიან. ძიუდოში და სამბოში გაწვრთნილი ბიჭებით გავდივართ იოლად. ტრადიციები კი უმდიდრესი გვაქვს და მუდმივი განახლება სჭირდება...

წლევანდელმა ჩემპიონატმა ცივილიზებულად ჩაიარა. ვნებათაღელვა რომ არ იყოს, ქართული ჭიდაობას, თითქოს რაღაც აკლდება. აქაც იყო ზღვარგადაუსვლელი ემოციები და ბევრი კარგი ორთაბრძოლა...

ჩემპიონატი დამთავრდა და ახლა მოზრდილებს მოსწავლეები შეცვლიან. მალე მოსწავლეთა ფესტივალის ფინალური ტურნირი გაიმართება 3 წონით კატეგორიაში, ამას დიდების გუნდური პირველობები და ზაფხულის ქართული ჭიდაობების ზეიმები შეცვლის. ბოლოს კი აბსოლუტური ფალავნობა დააგვირგვინებს 2011 წლის „ქართულის" სეზონს.

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. პაატა მერაბაშვილი (სამაჩაბლო), 2. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 3. ოთარ კაიდარაშვილი (გორი)

**66 კგ.** 1. ტრისტან ფეიქრიშვილი (თბილისი), 2. ანდრო ბერუაშვილი (სამაჩაბლო), 3. გიორგი შოშიაშვილი (თბილისი)

**73 კგ.** 1. ზვიად ბაზანდარაშვილი (გორი), 2. ჯაბა ბინაძე (აფხაზეთი), 3. ანზორ ხმიადაშვილი (გორი)

**81 კგ.** 1. გოჩა ხუციშვილი, 2. ხვიჩა ხუციშვილი (ორივე-თბილისი), 3. იოსებ ჩილინდრიშვილი (გორი).

**90 კგ.** 1. თედო აბელაშვილი, 2. გიორგი ნოზაძე (ორივე-თბილისი), 3. ჯუმბერ გიგაური (გორი)

**+90 კგ.** 1. ვახტანგ ზოიძე (აჭარა), 2. პაატა ლვინიაშვილი (გორი), 3. მირიან გოჯილაშვილი (ახმეტა)

**გაბრიელ ბარჯაძე**



ნიჩბოსნობა

# ჩვენები და სომხები



ბაზალეთის ტბაზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ღია ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი **მურად ჩხეიძე**) კანოესა და საბაიდარო ნიჩბოსნობაში. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, დუშეთის, მცხეთისა და სომხეთის წარმომადგენლები ორ ასაკობრივ ჯგუფში 500 და 200 მეტრზე ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

**უფროსები. 500 მ. ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა.** 1. ზაზა ჯიშკარიანი (ქუთაისი), 2. ლევან ვაზაგაშვილი (მცხეთა), 3. ლაშა კვაჭაძე (ფოთი). **ერთადგილიანი კანოე.** 1. ვარლამ ნადირაძე (მცხეთა), 2. ნიკა კურცია (რუსთავი), 3. აკო ჩაჩავა (ფოთი). **ორადგილიანი ბაიდარა.** 1. ზურაბ ქორქია და ზურაბ დოლიძე (ფოთი), 2. გიორგი მანაგაძე და ვასილ მანაგაძე (ქუთაისი), 3. ლევან სოსელია და სტანისლავ პესტოვი (მცხეთა). **ორადგილიანი კანოე.** 1. ვასილ პესტოვი და ნიკოლოზ პესტოვი (მცხეთა), 2. ბესიკ ჩაჩანიძე და გია გელდიაშვილი (რუსთავი), 3. ელდარ ბაბაიანი და ედგარ ბაბაიანი (სომხეთი). **გოგონები. ორადგილიანი ბაიდარა.** 1. თეონა შაბურიშვილი და მადონა ყარსიმაშვილი (დუშეთი), 2. ქეთი გამყრელიძე და მარიამ არბულიშვილი (მცხეთა), 3. სალომე ყაველაშვილი და ეკა მონასელიძე (თბილისი).

**უმცროსი ასაკი. 200 მეტრი. ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა.** 1. ბადრი ყველაშვილი (თბილისი), 2. გიორგი მარტოლეკი (მცხეთა). 3. შალვა ტაბატაძე (ქუთაისი). **ერთადგილიანი კანოე.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. ბესო ჩაჩანიძე (რუსთავი), 3. ალეკო კუპრეიშვილი (ფოთი). **ორადგილიანი ბაიდარა.** 1. გიორგი გოგელაშვილი და ემზარ კიკალიშვილი (ქუთაისი), 2. აიკ გასპარიანი და ვაგან სტეპანიანი (სომხეთი), 3. ნიკო ბოდაველი და გიორგი ელბაქიძე (დუშეთი). **გოგონები. ერთადგილიანი ბაიდარა.** 1. ეკა შაბურიშვილი (დუშეთი), 2. ანა გვილავა (მცხეთა), 3. სალომე ყაველაშვილი (თბილისი).

**გუნდური ადგილები:** 1. მცხეთა (118), 2. დუშეთი (86), 3. თბილისი (70 ქულა).

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ლიდერები პოზიციებს არ თმობენ


დავით ბენიძე

გუშინ 20-წლიან მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე, რომელსაც ქუთაისი მასპინძლობს, მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა. ვაჟებში ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა **დავით ბენიძემ,** რომელიც შავი ფიგურებით **ბექა ახალაძეს** დაუზავდა. მეორე ადგილზე მყოფმა **ირაკლი ჯანიაშვილმა** თეთრებით **ტატო ქოჩაკიძესთან** წააგო და ახლა მასთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს, მეორე ადგილზე კი ლეონტი ხუბუნაიას მძლეველმა **დავით ლომსაძემ** გადაინაცვლა. ვაჟთა ტურნირის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: დაზავდნენ - მამუკა ქოჩაკიძე-ნინო ხომერიკი, მერაბ ცომაია-გიორგი სიბაშვილი, არჩილ სვანიძე-ნოე თუთისანი, ნიკოლოზ ბერძენაძე-ლევან ნემსაძე; დათო კაპანაძე-გიორგი ცხადაძე 0:1.

დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ბენიძე (5)-ცომაია (3,5), ლომსაძე (4,5)-ტ. ქოჩაკიძე (4), ჯანიაშვილი (4)-მ. ქოჩაკიძე (3,5), ხომერიკი (3,5)-ახალაძე (3,5), ცხადაძე (3)-ხუბუნაია (3), სიბაშვილი (3)-სვანიძე (2,5), შარიქაძე (1,5)-ნემსაძე (2), კაპანაძე (2)-ბერძენაძე (2), თუთისანი (2,5) ისვენებს.

გოგონებს ორი ლიდერი ჰყავთ - **ქეთი წანალაშვილი** და **მერი არაბიძე.** გუშინ ქეთიმ **ანა შამათავას** აჯობა, მერიმ კი **დეა ჩაკვეტაძე** დაამარცხა. დანარჩენი პარტიები: ადა ქაქუთია-სალომე ხაჟომია 0,5:0,5, სოფო ხუციძე-თათია კოხრეიძე 1:0, მარიამ ჭოლაძე-მარიამ წულაია 1:0, თათია კიკვიძე-თეკლა ფარჯიანი 0:1, მარიამ მჟავია-ანა თედოშვილი 0:1.

მე-7 ტურში ითამაშებენ: წანალაშვილი (5)-ქაქუთია (3,5), არაბიძე (5)-ჭოლაძე (3), შამათავა (4)-ხაჟომია (4), ხუციძე (3,5)-კიკვიძე (0,5), ფარჯიანი (3)-ჩაკვეტაძე (2,5), კოხრეიძე (2)-თედოშვილი (2,5), წულაია (2)-მჟავია (1,5).

**ვაჟა დანელია**

# ნინოს ფავორიტი ერგო

გუშინ ჯერმუკში დაიწყო კარენ ასრიანის მე-4 საერთაშორისო მემორიალი, რომელშიც მთავარი პრიზისთვის 6 ქვეყნის 70 წარმომადგენელი იბრძვის, მათ შორის ექვსი ჩვენებურიცაა. წარმატებით აიღო სტარტი **კონსტანტინე შანავამ.** ქართველმა დიდოსტატმა მასპინძელი ტიგრან ჰარუთინიანი დაამარცხა. ასევე, წარმატებით ითამაშეს **შოთა აზალაძემ, ნინო ბაციაშვილმა** და **სოფიო გვეტაძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, ხაჩატურ ერანიანს, რობერტ აკოფიანსა და მიქაელ მკრტიჩიანს (სამივე-სომხეთი) სძლიეს. **დავით მალალაშვილი** რაფაელ ბაკუნცს (სომხეთი) დაუზავდა, ხოლო **ბაჩანა მორჩიაშვილი** შავი ფიგურებით მასპინძელ ნორაირ ტოროსიანს დანებდა, არადა, ქართველი საერთაშორისო ოსტატი მეტოქეს რეიტინგში ზუსტად 300 პუნქტით უსწრებს. დღეს მეორე ტურის პარტიები გაიმართება. ჩვენს გოგონებს წილისყრამ ძალიან ძლიერი მეტოქეები შეახვედრა: ბაციაშვილი (2399) ტურნირის რეიტინგფავორიტ არმან პაშიკიანს (2643) დაუპირისპირდება თეთრებით, გვეტაძე (2330) შავებით არტურ ჩიბუხჩიანს (2500) ეთამაშება. ჩვენებურთაგან დანარჩენები ასე დაწყვილდნენ: პოუია იდანი (2372)-შანავა (2539), აზალაძე (2423)-ტოროსიანი (2094), მალალაშვილი (2469)-არმენ ანტინიანი (2198), მორჩიაშვილი (2394)-ხაჩატურ ერანიანი (2115).

**ვაჟა დანელია**

# 8 და 12-წლიანებში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 8 და 12 წლის გოგო-ბიჭები (სულ 152 მონაწილე) იბრძვიან საქართველოს ჩემპიონობისა და თანატოლთა შორის მსოფლიოს და ევროპის პირველობების საგზურების მოსაპოვებლად.

რვა წლის მოჭადრაკე გოგონათა პაექრობაში სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ თამარ ესაძე, ნია დონლვანი, სოფო გოგინავა დაწინაურდნენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ელენე ძონენიძე და თეკლა ვადაქარია ჩამორჩებიან. ბიჭებში ოთხი სამოსანია: ვახო ესვანჯია, აკაკი ჩაჩავა, ილია ჯანჯალია და საბა ლომსაძე, ხოლო დავით გაბუნიამ და ნიკოლოზ კაჭარავამ 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს.

12-წლიანებმა მხოლოდ ორ-ორი ტური მოილიეს. 2-2 ქულით ნინო ჯალალონია, მარიამ ჯავახიშვილი, ნინო დახუნდარიძე, ანი ჭანტურია და თამარ ფაშქურიძე მეწინავეობენ, ხოლო თეა ჭოლაძეს, მარიამ ჩომახიძეს, ელენე კოსტავას, ანასტასია სიდამონიძეს და მარიამ ბალდავაძეს 0,5-0.5 ქულით ნაკლები აქვთ. ბიჭებშიც ხუთ მოჭადრაკეს აქვს ქულათა მაქსიმუმი. ესენი არიან: კოკა ბუკია, გიგი აბსარიძე, ალექსანდრ პანასენკო და ალექსანდრე ურდულაშვილი. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით 16 მოჭადრაკე ჩამორჩება.

ორივე ასაკში შვეიცარიული სისტემით 9-9 ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

ლელო

## ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

პროფესიული კრივი

# ხურციძე ათეულშია



პროფესიულ კრივს რამდენიმე ორგანიზაცია განაგებს. ზოგი მათგანი ერთობ პრესტიჟულია, ზოგიც - ნაკლებად. ამიტომაც თითოეულ წონაში მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონია და კიდევ უფრო მეტი პრეტენდენტი. ასეთ შემთხვევაში გვეხმარება PP4P („პაუნდ ფორ პაუნდ")-ის მიერ შემუშავებული ერთიანი რეიტინგი, რომელიც შედარებით ობიექტურად ასახავს ძალთა თანაფარდობას თანამედროვე მსოფლიო კრივში.

ჩვენ მსოფლიოს ერთი ჩემპიონი გვყავს, 32 წლის ქუთაისელი მოკრივე **ავთანდილ ხურციძე.** ქართველმა ჩემპიონის ქამარი კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ვერსიით თბილისში მოიპოვა - 13 მარტს „ჩაქუჩამ" ქულებით აჯობა პოლონელ **მარიუშ სენდროვსკის.** ხურციძემ, ამას წინათ, კიევში წარმატებით დაიცვა ქამარი - პირველ რაუნდში რინგზე დააგდო კოლუმბიელი **დიონისიო მირანდა.**

ახალ რეიტინგამდე ხურციძის პოზიცია საშუალოწონოსანთა ათასზე მეტი მოკრივის არმიაში მე-17 იყო. ტიტულის დაცვამ ქართველი კიდევ უფრო წინ წაწია და ის ათეულში შევიდა. უფრო ზუსტად, კი მე-10 ადგილზეა. ჩვენებურს, რომელსაც 29-დან 25 ორთაბრძოლა აქვს მოგებული, 315 ქულა აქვს.

PP4P-ის ტოპ-10 საშუალო წონაში ასე გამოიყურება: 1. **სერხიო მარტინესი** (არგენტინა) - 955 ქულა; 2. **ფელიქს შტურმი** (გერმანია) - 674; 3. **დენიელ გილი** (ავსტრალია) - 536; 4. **ჰასან ნდამი** (საფრანგეთი) - 439; 5. **დმიტრი პიროგი** (რუსეთი) - 386; 6. **ენდი ლი** (ირლანდია) - 383; 7. **მარკო რუბიო** (მექსიკა) - 372; 8. **სებასტიან სილვესტერი** (გერმანია) - 364; 9. **ხულიო სესარ ჩავესი** (მექსიკა) - 329; 10. **ავთანდილ ხურციძე** (საქართველო) - 315. ამ წონაში პროფესიონალებში 17 ქართველია, ხურციძის შემდეგ მეორე **შალვა ჯომარდაშვილია** (54 ქულა), რომელიც ზუსტად მეასე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალხტომა

# მინსკში მოემზადებიან

წლეულს ივლისის მეორე დეკადიდან ჩინეთი საწყლოსნო სახეობებში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე საქართველოდან წყალმხტომელებიც იასპარეზებენ. ესენი არიან - **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი.** ისინი სინქრონულ ხტომებში 19 ივლისს, ინდივიდუალურში კი 21-22 ივლისს მოსინჯავენ ძალებს. პირველობისთვის კარგა ხანია, მონდომებით ემზადებიან. ამას წინათ ბოლცანოში (იტალია) მათ მსოფლიოს გრანპრიზე სინქრონულ ხტომებში მე-5 ადგილი დაიკავეს.

გვესაუბრება საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, წყალმხტომელთა მწვრთნელი **ირაკლი ბართაია:**

- ბოლცანო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კლაუს დი ბიასის მშობლიური ქალაქია. სახელოვანი სპორტსმენის პატივსაცემად აქ ყოველწლიურად იმართება მნიშვნელოვანი შეჯიბრებები, მათ შორის - მსოფლიოს გრანპრი. შარშან მსგავს ტურნირზე მე-6 ადგილი დავიკავეთ, წლეულს კი ერთი საფეხურით წინ წავიწიეთ და 30 სარეიტინგო ქულაც დავიმსახურეთ. რაც მთავარია, ჩვენს მუდმივ კონკურენტებს - მექსიკელ და კანადელ წყალმხტომელებს ვაჯობეთ, თუმცა ჯერჯერობით რეიტინგში მაინც გვისწრებენ, რადგან უფრო გამოცდილები არიან. ბოლო მონაცემებით, სინქრონულ ხტომებში მე-10 ადგილზე ვართ და ჩვენ წინ მდგომ იტალიელ ძმებს - მარკონებს მხოლოდ 0,33 ქულით ჩამოვრჩებით. ბოლცანოს გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, საშეჯიბრო გამოცდილების გასამდიდრებლად კიდევ მსოფლიოს ორ გრანპრისა და ევროპის ჩემპიონატზე მოვსინჯეთ ძალები. შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა ჩვენს ბიჭებს მეტი შეუძლიათ როგორც სინქრონულში, ისე იდივიდუალურ ხტომებში. მაგალითად, ჭოლა ჭანტურიამ შარშან ჩინეთში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში 406 ქულა დაიმსახურა. უმთავრესად 380 ქულის ფარგლებში ტრიალებს. ასეთი ქულებით ჩემპიონატზე, სადაც 70-მდე სპორტსმენი იასპარეზებს, ნახევარფინალში, ანუ 18 საუკეთესოში შეუძლია მოხვედრა. ეს კი ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვების რეალურ შანსს იძლევა. მთავარია, ჭანტურიამ და კორახაშვილმა თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინონ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომით 23 ივნისს მინსკში გავემგზავრებით და მასპინძლებთან ერთად იქაურ ოლიმპიურ ბაზაზე ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გავივლით. ჩინეთში 11 ივლისს ჩავალთ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ 12-22 აგვისტოს მსოფლიო უნივერსიადა გველის. ორივე შეჯიბრებაზე ვეცდებით, ქომაგები არ გავანბილოთ.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



# ტატიშვილის მოთელვა უიმბლდონზე

21 წლის **ანა ტატიშვილი** (120) კარიერაში პირველად ითამაშებს უიმბლდონის ტურნირის ძირითად ბადეში. ჩვენებური დღეს შეიტყობს მომავალი მეტოქის ვინაობას, თუმცა ის უკვე ჩაერთო ლონდონის კორტებზე ბატალიებში - ანამ წყვილთა ბადეში ითამაშა, თუმცა ხელი მოეცარა. წყვილებში ტატიშვილი საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაერთო და ჰოლანდიელ **არანჩა რუსს** (104) შეუამხანაგდა. მათ მე-4 ნომრად განთესილ ამერიკელებთან (**ლინდსეი ლი-უოტერსი, მეგან მაულტონ-ლევი**) წააგეს ორ სეტში - 3:6, 3:6.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ყოჩაღობს პირველ ნომრად განთესილი **მაკა ჩახნაშვილი** (221). მაკამ მერვედფინალში „უაილდ ქარდით" მიწვეული თურქი **მელის სეზერი** (690) დაამარცხა - 7:5, 6:4. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე რუმინელი **ლაურა-იოანა ანდრეია** (475).

ხარკოვის ტურნირში (25 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** (299) კი უკვე ნახევარფინალშია. მერდვედფინალში მან მასპინძელ **მარიანა ზაკარლიუკს** (860) მოუგო - 6:2, 7:5. ამავე რაუნდში გათამაშებას **ეკა გორგოძე** (543) გამოეთიშა, რომელმაც „უაილდ ქარდით" მიწვეულ უკრაინელ **ოლგა იანჩუკთან** (1146) წააგო - 6:1, 6:7 (5), 5:7. მეოთხედფინალში შაფათავამ მე-6 ნომრად განთესილ უკრაინელ **ვალენტინა ივახნენკოს** (379) მოუგო - 6:4, 3:6, 6:2. ნახევარფინალში ჩვენებურს 19 წლის რუსი **იანა ბუჩინა** (485) ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრობასკეტი — დარჩა 75 დღე

# უკრაინა საუკეთესოებით



რუსების შემდეგ შემადგენლობა ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთმა ბინადარმა უკრაინამ დაასახელა. ამერიკელმა მწვრთნელმა **მაიკ ფრატელომ** შეკრებაზე 21 კალათბურთელს უხმო, რომელთაგან ევროპის ჩემპიონატზე 14 გაემგზავრება.

გუნდში დაბრუნდა „კიევში" **მანუჩარ მარკოიშვილის** თანაგუნდელი, ამჟამად იტალიური „კრემონას" ფორვადრი **არტურ დროზდოვი**, რომელიც **სერგეი ლიშჩუკთან** ერთად ყველაზე გამოცდილი უკრაინელია.

ჩვენს მეტოქეს არც ცენტრებში უჭირს: გამოძახებულნი არიან დონეცკელი **ვიაჩესლავ კრავცოვი** და „იუტა ჯაზის" მეფარე **კირილ ფესენკო**.

### გთავაზობთ 21-კაციან ჩამონათვალს

**უკანახაზელები:** დმიტრი ზაბირჩენკო (ბუდეველნიკი), დენის ლუკაშოვი (ბუდეველნიკი), ალექსანდრ ლიპოვი (კიევი), ნიკოლაი ვილხოვეცკი (დნეპრი), ალექსანდრ კოლშენკო (აზოვმაში), სერგეი გლადირი (მანრესა, ესპანეთი).

**ფორვარდები:** მაქსიმ პუსტოზვონოვი (აზოვმაში), დანილ კოზლოვი (დნეპრი), კონსტანტინ გლაზირინი (დნეპრი), მაქსიმ კორნიენკო (დნეპრი), ანდრეი აგაფონოვი (ბუდეველნიკი), დმიტრი გლებოვი (დონეცკი), სერგეი ლიშჩუკი (ვალენსია, ესპანეთი), არტურ დროზდოვი (კრემონა, იტალია), ალექსეი ონუფრიევი (ნიკოლაევი), ოლეგ სალტოვეცი (ბკ კიევი).

**ცენტრები:** იგორ ზაიცევი (კრივბასი), ოლექსეი პეჩიროვი (არმანი ჯინსი, იტალია), კირილ ფესენკო (იუტა ჯაზი, NBA, აშშ), კირილ ნატიაჟკო (არიზონა, NCAA, აშშ), ვიაჩესლავ კრავცოვი (დონეცკი).

იტალიის ჩემპიონატი. ფინალი

# მანუს ასი პასი

## საკვანძო დაფარება, სამქულიანი?!

**მანუჩარ მარკოიშვილის** გადაბირება შარშან სიენას „მონტეპასკის" სურდა, მაგრამ ქართველმა „კანტუში" დარჩენა ამჯობინა. მაშინ შეიძლება, მანუჩარის გადაწყვეტილება ბევრისთვის გაუგებარი იყო, მაგრამ დღეს აშკარაა - მან სწორი ნაბიჯი გადადგა: დარჩა იმ მწვრთნელთან (**ანდრეა ტრინჩიერი**), რომელიც მას ბოლომდე ენდობოდა და რომელმაც ისეთი გუნდი შეკრა, „მონტეპასკის" ფინალურ სერიაში ღირსეულ წინაალმდეგობას რომ უწევს. შეიძლება სერიის მესამე მატჩის შემდეგ სიენელთა მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ინანა კიდეც, რომ მარკოიშვილი თავისთან არ წაიყვანა, თუმცა ფაქტია - შეხვედრის ბოლოს მანუჩარი იყო მთავარი ფიგურა, რომელმაც „მონტეპასკის" ძლევა განაპირობა. „კანტუმ" 80:71 იმარჯვა და სერიაში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 1:2.

მატჩის სანყის 30 წუთში მანუჩარის ანგარიშზე მხოლოდ ორი ქულა იყო, მოედანზე კი 13 წუთი ჰქონდა გატარებული. ეს მწვრთნელის ჩანაფიქრი გამოდგა: რადგან მეოთხე პერიოდამდე „კანტუს" ძალიან არ გასჭირვებია, მარკოიშვილს დასვენების საშუალება მისცა, რათა ბოლო წუთებისთვის ენერგია შერჩენოდა.

ტრინჩიერის ჩანაფიქრმა გაამართლა: მანუმ მეოთხე პერიოდში 5 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება, 1 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. იტალიურ გამოცემა „ბასკეტნეტში" ვკითხულობთ: „ბოლო წუთებზე დაცვაში შესანიშნავად გაისარჯნენ მანუჩარ მარკოიშვილი და **მაიკ გრინი**. მწვრთნელმა ანდრეა ტრინჩიერიმ მარკოიშვილის დაფარება მატჩის საკვანძო ეპიზოდად მონათლა."

ქართველი უკანახაზელი მეოთხე პერიოდში ურუგვაელი **ნიკოლას მაძარინოს** ნაცვლად 35-ე წუთზე შევიდა. იმ მომენტისთვის კანტუელები 62:57-ს იგებდნენ. **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** ორქულიანით სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა, მომდევნო ეპიზოდში კი **ბო მაკალების** იერიში მარკოიშვილმა ეფექტური დაფარებით შეაჩერა. მწვრთნელმა ზემოთ სწორედ ეს დაფარება მიიჩნია გადამწყვეტ მომენტად. ალბათ იმიტომ, რომ „კანტუს" კალათბურთელებმა მეტედ ირწმუნეს - „მონტეპასკის" შეჩერება ისევე შესაძლებელი იყო, როგორც იმ მომენტში მაკალებისა. მომდევნო შეტევებში სიენელებს ფარქვეშ არაფერი გამოსდიოდათ და პერიმეტრიდან სცადეს ხეირის ნახვა. **მოსმა** და **კარარეტომ** სამქულიანები გამოიყენეს, თუმცა მანამდე გრინსა და მანუს 4 ქულა ჰქონდათ ჩაგდებული და 37-ე წუთისთვის „კანტუ" მინიმალურ უპირატესობას ინარჩუნებდა - 66:65. ჩვენი აზრით, დაფარებაზე მეტად მნიშვნელოვანი მანუჩარის შორეული გასროლა იყო: 38-ე წუთზე სამქულიანით სხვაობა 4 ქულამდე გაზარდა (69:65), რასაც **ვლადიმირ მიკოვის** სამიანი მოჰყვა და მასპინძლებმა 7-ქულიანი ფორა მოიპოვეს. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. ბოლო ორ წუთში მანუმ და კომპანიამ ბოლომდე იბრძოლეს და 80:71 გამარჯვება დაიმსახურეს.

მარკოიშვილმა (18 წუთი ითამაშა) მატჩი 7 ქულით, 4-4 მოხსნა-ჩაჭრით, 1 დაფარებით და 2 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. ბოლო წუთებზე შესრულებული პასი მანუსთვის სერია A-ში მეასე იყო. მასზე ექვსჯერ დააჯრიმდნენ. ქართველმა სულ ექვსჯერ ისროლა: 2-2 ორქულიანიდან და სამიანიდან თითო ჩააგდო, ხოლო 2 საჯარიმოდან ერთიც არ აუცილებია. „კანტუს" მხრიდან ბომბარდირთა დავაში ვლადიმირ მიკოვი, ნიკოლას მაძარინო და მაიკ გრინი ჩამწკრივდნენ: პირველმა 14 ქულა ჩააგდო, მეორემ - 15, მესამემ - 16.

ისევე როგორც წინა შეხვედრებში მატჩის ბომბარდირობა „მონტეპასკის" ლიტველმა მეფარემ, კშიშტოფ ლავრინოვიჩმა არავის დაუთმო.

*- დაბალანსებული მატჩი იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ კანტუში გამარჯვება იოლი არ არის. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ გუნდმა სერიოზული პროგრესი განიცადა. კანტუელთა მთავარი პლუსი გადამწყვეტ მომენტში დამაჯერებელი თამაშია - სწორედ ასეთ დროს თავი კარგად ვერ დავიცავით და საკუთარ კალათში არაერთი ქულა მივიღეთ,* - თქვა „მონტეპასკის" თავკაცმა სიმონე პიანიჯანიმ.

ანდრეა ტრინჩიერიმ აღნიშნა:

*- ენერგია მატჩის პირველი წუთებიდან ბოლომდე კარგად გამოვიზოგეთ. შეიძლება ტიტული ვერ მოვიგოთ, მაგრამ ეს გამარჯვება არასოდეს დაგვავიწყდება - ორწლიანი მუშაობის შედეგად მივაღწიეთ ისეთ კონდიციებს, რამაც იტალიური გრანდის „მონტეპასკის" ძლევა განაპირობა. ბურთი 22-ჯერ დავკარგეთ, მაგრამ ეს შედეგზე არ აისახა, იმიტომ, რომ ძალიან მოვინდომეთ. ახლა მთავარია, მომდევნო მატჩამდე ძალის აღდგენა მოვასწროთ.*

„კანტუ"-"მონტეპასკის" ფინალური სერიის მეოთხე მატჩი 17 ივნისს გაიმართება.



ქართველები ევროთასებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 5 ივლისი, ბალტიისპირეთი, ქადარია

5 ივლისს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ევროტურნირების, მათ შორის ევროჩელენჯის წილისყრა გაიმართება. მსგავსი ღონისძიებისადმი ქართველებს ბოლო წლებში დიდი ინტერესი არ გვქონია, რადგან ორი სეზონის საერთაშორისო არენაზე ერთი ქართული გუნდიც არ გასულა. ამჯერად კი ინტერესით უნდა დაველოდოთ წილისყრის შედეგებს, რადგან ევროჩელენჯის 2011-12 წლების გათამაშებაში ორი ქართული გუნდი იასპარეზებს: ქვეყნის ჩემპიონი „არმია" და ნახევარფინალისტი „სოხუმი". არმიელებმა გუშინ თურქული შეკრება მოილიეს. შეკრების საკითხი სოხუმელებმაც გაარკვიეს. გუნდის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა **თენგიზ პაჭკორიამ** გვითხრა:

*- 15 ივნისს რიგიდან დამიკავშირდა „სოხუმის" და ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგაცკისი, რომელმაც შემატყობინა, რომ „სოხუმი" საწვრთნელ შეკრებას ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში გაივლის. იქ გუნდი ჩაატარებს რამდენიმე სპარინგ-მატჩს ევროლიგაში და ევროთასზე მოასპარეზე კლუბებთან. შეკრების ჩატარების ზუსტი თარილი მას მერე დადგინდება, როცა გაირკვევა საქართველოს ჩემპიონატის და ევროჩელენჯის გათამაშების დაწყების თარილი, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ამ შეკრებას „სოხუმი" გაივლის იმის შემდეგ, როცა ლიტვაში დამთავრდება ევროპის ჩემპიონატი.*

თენგიზ პაჭკორიამ იქვე აღნიშნა:

*- აინარს ბაგაცკისი და „სოხუმის" მფლობელი, უცხოეთში მყოფი მინდია გულუა აპირებენ გუნდში მოიწვიონ რამდენიმე გამოცდილი ქართველი კალათბურთელი და 5 ლეგიონერი, მათ შორის ამერიკელები. ბაგაცკისის თქმით, ბევრ ქართველ და უცხოელ კალათბურთელს სურს „სოხუმში" თამაში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას საკითხის ღრმა შესწავლის შემდეგ მიიღებენ.*

გუშინ, კიდევ ერთი სიახლე შევიტყვეთ: გუნდთან ორწლიანი კონტარქტი გააფორმა ახალგაზრდა **ვახტანგ ქადარიამ**. მან ბოლო ორი სეზონი ამერიკის კოლეჯების ლიგაში გაატარა, მანამდე თბილისის „დინამოსა" და „სოხუმში" ასპარეზობდა.

18-წლამდელთა ჩემპიონატი

# სოხუმი ფინალშია და ელის

**ნაკრები/95-სოხუმი 67:76**

**5:14, 14:22, 26:33, 22:17**

**ნაკრები/95:** ბოლქვაძე (8ქ, 8მ, 2დ), ამირხანაშვილი (4ქ), ლილუაშვილი (17ქ, 6მ, 6პ, 4ჩ), ჯაყელი (5ქ), აბულაძე (7ქ, 5მ), ლომთაძე, დარახველიძე (14ქ, 14მ, 3პ), პულუზაშვილი (12ქ, 9მ), ლურწკაია, ჭიხვარია, ბაქრაძე, კენჭიაშვილი.

**სოხუმი:** ჩოჩია (8ქ, 6მ, 4პ), გაფრინდაშვილი, დოლიძე (6ქ), ძიძიგური (9ქ), რ. როგავა (4ქ, 10მ, 8ჩ), დ. როგავა, გოლეთიანი (15ქ), მესხი (9ქ, 8მ, 3ჩ, 2დ), ორმოცაძე (7ქ, 6მ), ბულიავა (18ქ, 11მ, 5პ)

**სერია მოიგო „სოხუმმა" - 2:0**

**ავერსი-ქუთაისი 79:64**

**10:17, 21:16, 27:16, 21:15**

**ავერსი:** მიქელაძე (27ქ, 5მ, 4პ, 7ჩ), ნადირაძე (9ქ, 2დ), რამიშვილი (9ქ, 6მ, 4პ, 5ჩ), ბაქრაძე (3ქ, 5მ), იაკობიძე (1ქ), თევზაძე (2ქ), გაბისონია (5მ), ფეიქრიშვილი (4ქ), თუთიაშვილი, კვანტალიანი (24ქ, 17მ, 3ჩ), ხეთაგური.

**ქუთაისი:** გრძელიძე (3ქ, 4პ, 7ჩ), ტყაბლაძე (13ქ), ბერეკაშვილი, ფხაკაძე (17ქ, 9მ), ცირეკიძე (13ქ, 12მ, 4პ, 4დ), დვალიშვილი (14ქ, 21მ, 3პ, 2დ), გოგოძე (4ქ), კუხიანიძე.

**სერიაში ანგარიშია 1:1.**

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატში ფინალური სერია მოახლოვდა. დარჩა ერთადერთი ნახევარფინალური მატჩი, რომელიც მეორე ფინალისტის ვინაობას გამოარკვევს - „ქუთაისისა" და „ავერსის" სერიაში 1:1-ია. მესამე მატჩის გამარჯვებული შეაბიჯებს ფინალში, სადაც „სოხუმი" ელის.

თავის მხრივ, სოხუმელებმა ნახევარფინალში საქართველოს 1995 წელს დაბადებულთა (კადეტთა) ნაკრებს 2:0მოუგეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ანწყვეტილი გორგოძის გაჩერება ადვილი არაა

**ჯონი ვილკინსონი, ტომ პელემერი, ჯიმი ჰესკელი, პოლ სასკი** (ოთხივე-ინგლისი), **ჰუგო საუთვილი, რორი ლამონტი** (ორივე-შოტლანდია), **მარიო ლედესმა, პატრისიო ალბასეტე, მარტინ სკელსო, ფელიპე კონტეპომი, ხუამ მარტინ ფერნანდეს ლობე** (ხუთივე-არგენტინა), **ფრანსუა სტეინი, ფრანსუა ფან დერ მერვე, ჯო ფან ნიკერკი** (სამივე-სამხრეთ აფრიკა), **მირკო ბერგამასკო** (იტალია), **ჯიმი კუდმორი** (კანადა), **კარლ ჰეიმანი, ბრუკ ჯეიმზი** (ორივე-ახალი ზელანდია), **რუპენი კაუკაუ** (ფიჯი) - ამ მორაგბეებს ორი რამ აერთიანებთ: პირველი, ისინი მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან და მეორე, ყველა მათგანი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ასპარეზობს.

საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს" მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე**, აი სწორედ ამ ბრწყინვალე ვარსკვლავებზე მაღლა დააყენა ახლახან ყოველდღიურმა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა". ეს უდიდესი აღიარებაა, რაც, ფაქტობრივად, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბეობის ტოლფასია. ვინაიდან, ზემოთ ჩამოთვლილ მორაგბეებზე უკეთესი ფრანგი მორაგბე ძნელად თუ მოიძებნება.

მამუკა გორგოძის დიდი აღიარების კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად გთავაზობთ ამონარიდებს ფრანგული სპორტული მედიის ფურცლებიდან. აი, რას ამბობდნენ მასზე თანაგუნდელები, მოწინააღმდეგეები და სპეციალისტები საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ „ტულუზთან".

*„გასულ შაბათს პლეი ოფის ნახევარფინალში „მეტრო რასინგთან" გამარჯვების შემდეგ, რომელშიც მამუკა გორგოძემ ჩვეულად, შესანიშნავად ითამაშა, მას თავისი აზრი მედიის წინაშე არ გამოუთქვამს. საერთოდ ის იშვიათად ლაპარაკობს თავის შესახებ.*

*იმ თამაშში „მონპელიეს" მესამეხაზელმა კვლავ გააცოცხლა მასზე შექმნილი ლეგენდა. გორგოძემ ყველაფერი ილონა მისი გუნდის ფინალში გასასვლელად. გ ზად გადაყრილი მოწინააღმდეგის ყველა მორაგბე ბარბაცით გაუშვა. ამ დღეს განსაკუთრებით დაზარალებულმა ჯონათან ვიშნევსკიმ თქვა:*

***- მასთან შეტაკება შთამბეჭდავია. ის თანდათან სულ უფრო საშიში ხდება. გუნდისთვის რთულ მომენტში, თანაგუნდელები ბურთს მას აძლევენ და თვითონ უკან მისდევენ. როცა ამ თამაშის ვიდეოფირი ვნახეთ, ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენ მას აშკარად ჩამოვრჩებოდით.***

*ვიშნევსკი და „მეტრო რასინგი" მისი თამაშის მხილველი მოედანზე გახდნენ, ტელეეკრანებთან მიმსხდარი მაყურებელი გორგოძეს პირდაფჩენილი უცქერდა.*

საერთაშორისი კლასის არბიტრი **კრისტოფ ბერდო** ასე იხსენებს ქართველი მორაგბის პირველ მატჩებს.

**- ის სცდებოდა ყველანაირ საზღვრებს. დღეს ის სულ სხვანაირად აზროვნებს, მას სურს გაუსწროს გუნდს. მე ვეუბნები, რომ მოედანზე ეს მართლაც კარგია. მიყვარს ასეთი სტილის მოთამაშეები, რომლებიც მუდამ ცდილობენ საკუთარი თავი ბოლომდე გამოავლინონ.**

საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **კლოდ სორელი** მამუკა გორგოძეს 17 წლის ასაკიდან იცნობს.

**- მაშინ ის უკვე მონსტრივით იყო. მახსოვს, ერთხელ კავკასიის მთებში წავედით ლაშქრობაში. ჩვენ ჩვეულებრივ დავდიოდით. ის კი სირბილით მიდიოდა. მივადექით ტბის ნაპირს. წყალი ისეთი ცივი იყო, რომ ვერ შევძელით გაცურვა. და მან რა ჰქნა? ტბაში თავით გადაეშვა და იბანავა.**

ყოველივე ეს, ცხადია, ციდან არ ჩამოვარდნილა. ის, რომ გორგოძე არაბუნებრივი ძალით გამოირჩევა, ეს გიჟური შრომის შედეგია. სორელი ამბობს:

- მონპელიეში საწვრთნელ ცენტრში, სავარჯიშო დარბაზი ოთახების ქვემოთ არის განთავსებული. მამუკა ისე ვარჯიშობდა, რომ სხვებს დასვენებაში ხელს უშლიდა. მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: იყოს საუკეთესო. გორგოძეს მებრძოლ სულთან ერთად აქვს დიდი ანთროპომეტრია, მაგრამ ეს მუხლმოუხრელი შრომის შედეგია.

ნაკრების მწვრთნელმა **დიდიე ბესიმ** გვითხრა:

**- როცა ის დაშავებული იყო, ჩვენ იძულებული გავხდით დაგვება, რადგან მზად იყო ტრავმირებულსაც ევარჯიშა.**

„მეტრო რასინგთან" მატჩის შემდეგ მამუკა გორგოძემ თქვა:

**- ეს ყველაზე დიდი წუთებია ჩემს კარიერაში. ახლა ჩვენ წინ ნამდვილი მთები დგას, ჩვენ წინ „ტულუზია". თუმცა ასეთ ძლიერ გუნდთან თამაში დიდი სიამოვნებაა. გარწმუნებთ, ასი პროცენტით დავიხარჯებით. მართალია, „სტად დე ფრანსზე" არასდროს მითამაშია, ამ სტადიონს არ ვიცნობ, მაგრამ მაქვს ფინალში თამაშის დიდი ჟინი და სხვას არაფერს მნიშვნელობა არ აქვს.**

ანწყვეტილი გორგოძის გაჩერება კი არც ისე ადვილია, მას ჩვევა აქვს, ყველაფერი გადააყიraოს, რაც გზად შეხვდება და მიზნის მიღწევაში ხელს უშლის".





■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში მოასპარეზე უცხოელთა შორის საუკეთესო მორაგბე მამუკა გორგოძე ამჟამად თბილისში იმყოფება და მასთან საუბრისას ახლახან დამთავრებული სეზონის პერიპეტიები გავიხსენეთ.

**- წლევანდელი სეზონი როგორც „მონპელიესთვის", ისე თქვენთვისაც საუკეთესო იყო. გუნდი პირველად თავის ისტორიაში ფინალში გავიდა. თქვენ საუკეთესო უცხოელ მოთამაშედ დაგასახელეს. გაიხსენეთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი.**

- სეზონისთვის მზადებას სხვებზე ადრე, მაისის ბოლოს შევუდექით. ლაშქრობაში წავედით მთებში. ეს ამბავი კარგად მახსენდება, რადგან ისე სწრაფად მივდიოდი, თვითონ გიდებიც კი დავღალე. ერთი სიტყვით, ფიზიკურად ძალიან კარგად მოვემზადეთ. თავიდან მარტო ერიკ ბეშუ გვავარჯიშებდა, მერე, მოგვიანებით ფაბიენ გალტიეც შემოგვიერთდა. ჩემპიონატში სტარტი წარმატებული ავიღეთ, ყველას ეგონა, რომ ჩვენი ასეთი კარგი თამაში და შედეგი დროებითი მოვლენა იყო. მართალი გითხრათ, ჩვენც ასე ვფიქრობდით, მაგრამ ყველაფერი კარგად აეწყო და აგერ ფინალამდე ვიარეთ, რაშიც მწვრთნელის წვლილი ძალიან დიდია.

**- რა ილონა ასეთი ფაბიენ გალტიემ, როგორ მოახერხა ორ თვეში გუნდი ისე მოემზადებინა, რომ სულ სხვაგვარად, ბევრად ძლიერად აათამაშა?**

- ის ძალიან ძლიერი სპეციალისტია. მან სწორ გზაზე დაგვაყენა და გუნდი, რომელიც დივიზიონში დასარჩენად იბრძოდა, ჩემპიონატის ფავორიტად გარდაქმნა. გალტიეს აღმოაჩნდა ფსიქოლოგის შესანიშნავი თვისებები. გუნდში ბრწყინვალე ატმოსფეროა, მორაგბეები ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ, საწვრთნელი და დასასვენებელი პირობები საუკეთესოა, მწვრთნელთა შტაბი უმაღლესი დონისაა, ეს ყველაფერი კი წარმატების მიღწევის საწინდარია.

**- წლეულს ძირითადად მესამე ხაზში, შვიდი ნომრის პოზიციაზე ითამაშეთ. რამდენიმე თვის წინ ერიკ ბეშუ ფრანგულ პრესაში წერდა, რომ თქვენ მაინც რვა ნომერი ხართ. რას აპირებთ, რომელ პოზიციაზე ითამაშებთ მომავალში?**

- შვიდი ნომრის პოზიციაზე თამაში თავიდან არ მინდოდა. მერე გალტიე მესაუბრა, რომ ამ პოზიციაზე თამაში ჩემთვის კარგი იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ რვა ნომერს შეტევისას ბურთი სულ აქვს, მაგრამ დაცვაში შვიდი ნომრისგან განსხვავებით მეორე ხაზში დგას, უკნიდან აკონტროლებს. ერთი სიტყვით, ახლა ასეთი ტენდენციაა, გუნდები ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი და ღონიერი შვიდი ნომრის პოზიციაზე მოთამაშე მორაგბეები ჰყავდეთ.

ისე კი, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, წლეულს შვიდი ნომრის გარდა, მეორე ხაზშიც (№5) მომიწია თამაშმა და რვა ნომრის პოზიციაზეც. ასე რომ, სადაც მეტყვიან, იქ ვითამაშებ.

**- მოდით, ფინალამდე პარიზულ „მეტრო რასინგთან" გამართული ნახევარფინალი გავიხსენოთ. ალბათ, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ მეტოქის დამარცხებას და ფინალში გასვლას შეძლებდით...**

- მე ასე არ ვიტყოდი. ბევრად რთული და დაუჯერებელი მანამდე, ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში სტუმრად „კასტრის" დამარცხება მეჩვენებოდა. „მეტრო რასინგს" რეგულარულ გათამაშებაში საშინაო მატჩში ყველაფერში ვაჯობეთ, სტუმრად კი ჩვენი მარცხი მსაჯის სინდისზე იყოს. ასე რომ, ძალიან კარგი, მაღალი დონის მორაგბეებით, თანაბრად დაკომპლექტებული გუნდის მიუხედავად, გამარჯვებაში მაინც დარწმუნებული ვიყავი.

**- ჩემპიონობამდე კი სულ რაღაც ცხრა წუთი დაგაკლდათ...**

- მიმაჩნია, რომ „ტულუზი" ევროპის საუკეთესო გუნდია. ყველა, ჩემი მეგობრებიც კი, მინიმუმ 30 ქულით ნაგებას გვიწინასწარმეტყველებდა. სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" 91 პროცენტით ტულუზელთა გამარჯვება იწინასწარმეტყველა. მიუხედავად ამისა, 71 წუთის განმავლობაში ვიგებდით. თუმცა, თუ რეალურად შევხედავთ საგნებს, „ტულუზი" გამარჯვებას იმსახურებდა. ჩვენ არ ვიცით ფინალის მოგება, ისინი კი უკვე თექვსმეტგზის ჩემპიონები არიან.

ცხადია, მეორე ადგილით კმაყოფილი არ უნდა იყო, მაგრამ ისიც ნაღდ, კაცურ ბრძოლაში მოვიპოვეთ. მონპელიეში დაბრუნებულებს, მიუხედავად იმისა, რომ სარაგბო ქალაქი არ არის, ხალხი დროშებითა და ტრანსპარანტებით ხელში, ცენტრალურ მოედანზე დაგვხვდა. ჩვენთვის ჩემპიონები თქვენ ხართო - გვეუბნებოდნენ.

**- თქვენს გარდა „მონპელიეში" კიდევ ოთხი ქართველია...**

- დიახ, პირველხაზელმა გიორგი ჟღენტმა საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ფაქტობრივად, სულ ძირითად შემადგენლობაში იყო და გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა. გოდერძი შველიძეს თამაში ხშირად არ უწევდა, თუმცა მას კიდევ ერთი სეზონი აქვს წინ. „მონპელიეს" ახალგაზრდულ გუნდშია კიდევ ერთი პირველხაზელი მიხეილ ნარიაშვილი. ის ამ გუნდთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. საკმაოდ კარგი, მშრომელი ბიჭია და ერთ-ორ წელიწადში, ალბათ, ძირითად გუნდშიც შეძლებს თამაშს.

**- კარს მსოფლიო თასის გათამაშება მოგვადგა. მალე საქართველოს ეროვნული ნაკრები მზადებას დაიწყებს. როგორ ფიქრობთ, რა გველის ახალ ზელანდიაში?**

- ძნელი სათქმელია, ვერაფერს გეტყვით. ნაკრებში დიდი ხანი გამიცდა და ბოლო ორი თამაშით წარმოდგენას ვერ შევიქმნი. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენგანი ბოლომდე, თავდადებით იბრძოლებს.

ჯგუფში აუტსაიდერები ვართ. რუმინეთის ნაკრებთან თამაში ძალიან ძნელი იქნება, სხვებზე არაფერს ვამბობ. ასე რომ, წინ დიდი ბრძოლები გველის.

ევროთასები

## ორ-ორი ერთ ჯგუფში

ახლახან ევროთასების კიდევ ერთი ტურნირის „ემლინ ჩელენჯ კაპის" წილისყრა გაიმართა. ამ შეჯიბრებაში ახალი სეზონიდან ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი, **დავით ქუბრიაშვილის „ტულონი", გურამ კავთიძის „ლიონი", ბექა შეყლაშვილის „აჟენი"** და **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის „ბრივი"** ჩაებმება. ამათგან „აჟენი" და „ბრივი" E ჯგუფში ერთად მოხვდნენ, ხოლო „ლიონი" და „ტულონი" B ჯგუფში იასპარეზებენ.

**A ჯგუფი:** სტად ფრანსე (საფ), ვორსტერი (ინგ), პარმა (იტ), ბუქარესტი (რუმ)
**B ჯგუფი:** ტულონი (საფ), ნიუკასლი (ინგ), პადოვა (იტ), ლიონი (საფ)
**C ჯგუფი:** ვოსფსი (ინ), ბაიონი (საფ), როვიგო (იტ), ბორდო (საფ)
**D ჯგუფი:** პერპინიანი (საფ), ნიუპორტი (უელ), ექსეტერი (ჩიფსი), პრატო (იტ)
**E ჯგუფი:** სეილ შარქსი (ინ), ბრივი (საფ), აჟენი (საფ), ლა ვილა (იტ)

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ბრუნო სენა

# ჰაიდფელდს სენა შეცვლის?

## მიხაელ შუმახერი არ ჩქარობს მერსედესთან კონტრაქტის გაფორმებას

ფრანგული საჯინიბოს „ლოტუს-რენოს“ ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე უარყო გუნდში არსებული ფინანსური პრობლემების შესახებ გავრცელებული ჭორები, მაგრამ გერმანულმა პრესამ ისევ წამოწია ეს თემა. ჟურნალი Auto Motor und Sport წერს გუნდის მფლობელის **ჟერარ ლოპესის** ბრაზილიაში ვიზიტის შესახებ. იქ მან მოლაპარაკებები გამართა ადგილობრივი პილოტის - **ბრუნო სენას** პოტენციურ სპონსორებთან. თუ გარიგება შედგა, „ლოტუს-რენოს“ შემადგენლობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

ცნობილია, რომ **ნიკ ჰაიდფელდს** სპონსორული მხარდაჭერა არ გააჩნია, მაგრამ გამოცდილ გერმანელს რუს **ვიტალი პეტროვთან** ერთად შეუძლია გუნდს მაღალი ადგილი მოუტანოს კონსტრუქტორთა თასის ჩათვლაში. მაგრამ თუ ბრუნოს სპონსორებს გუნდში სოლიდური თანხის გადარიცხვა შეუძლიათ, ასეთი ტრანსფერი სავსებით რეალურია. ამჟამად ბრაზილიელს „ლოტუს-რენოს“ სარეზერვო პილოტის სტატუსი გააჩნია.

■ ■ ■

ამასობაში, „მერსედეს გრანპრის“ ლეგენდარული ვეტერანი **მიხაელ შუმახერი** არ ჩქარობს თავის გუნდთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკების დაწყებას. „წითელი ბარონი“ ამისთვის „საჭირო დროს“ ელოდება.

*„ბევრი ჭორი მაქვს გაგებული საკუთარი მომავლის შესახებ, ასევე მოსმენილი მაქვს ჩემი კომენტარების არაერთი ინტერპრეტაცია,* - ამბობს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი. - *კიდევ სამი სეზონი უნდა ვიმუშაო „მერსედესში“. ვფიქრობ, უნდა დავაკვირდეთ ჩემს შედეგებს და მათი განხილვის შემდეგ დავგეგმოთ ჩემი მომავალი“.*

*„ჯერჯერობით არ ვაწარმოებ მოლაპარაკებებს ამჟამინდელი ხელშეკრულების გაგრძელებაზე. საჭირო დროს საჯინიბოს ხელმძღვანელთან ერთად განვიხილავთ ჩემს კონტრაქტს“,* - დაასრულა კომენტარი შუმახერმა.

კრივი

# გამარჯვება მოტეხილი ხელით

უცნაური ამბავი შეემთხვა ბოლო ბრძოლის დროს არგენტინელ მოკრივეს **ომარ ნარვაესს**. მან ისეთი ძალით დაარტყა მეტოქეს - კოლუმბიელ **უილიამ ურინას** თავში, რომ ხელი მოიტეხა. ეს ინფორმაცია ვებგვერდმა BoxingScene.com-მა გაავრცელა.

ნარვაესსა და ურინას შორის ბრძოლა ორი დღის წინ ბუენოს აირესში გაიმართა და არგენტინელის გამარჯვებით დასრულდა. არ ზუსტდება, რომელ რაუნდში მოიტეხა ხელი ნარვაესმა და ტრავმით რამდენი ხანი იმყოფებოდა რინგზე.

ბრძოლის შემდეგ სამედიცინო გამოკვლევამ დაადასტურა, რომ არგენტინელმა მართლაც მოიტეხა ხელი. ახლა მას 40 დღის განმავლობაში მოუწევს თაბაშირის ტარება. როგორც ნარვაესმა განაცხადა, ამ დაზიანების გამო ბრძოლის მსვლელობისას ტაქტიკის შეცვლა მოუწია.

კოლუმბიელთან ჩხუბში ნარვაესი WBO-ის ტიტულს იცავდა 52.2 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ სამივე მსაჯმა ერთნაირი ანგარიშით მოაგებინა არგენტინელს - 117:110.

სულ პროფესიულ რინგზე 35 წლის ნარვაესს 37 ბრძოლა აქვს გამართული, მოიგო 35 (19 ნოკაუტით) და ორჯერ ფრედ დაასრულა შეხვედრა. WBO-ის ტიტულს ის 2010 წლის მაისიდან ფლობს. 2002-09 წლებში არგენტინელი ამავე ვერსიის ჩემპიონი იყო, ოღონდ 50.8 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.



ომარ ნარვაესი

კალათბურთი. ინტერვიუ დუაიტ ჰოვარდთან

# ოდესღაც მეჯიქს გამხდარი მოვეჩვენე

**მსოფლიოს საუკეთესო ცენტრი, „ორლანდო მეჯიქის“ ლიდერი დუაიტ ჰოვარდი ჟურნალ „სლემისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლაპარაკობს საკუთარ წარმატებებზე, თავის კარიერაში მეჯიქ ჯონსონის წვლილზე, ქველმოქმედებაზე, კალათბურთის როლზე მოზარდის ცხოვრებაში და ბევრ სხვა საინტერესო თემაზე.**

**- დღეისთვის მსოფლიოს საუკეთესო ცენტრი ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ფაქტი? ამის გამო ზეწოლას ხომ არ გრძნობთ?**

- სულაც არა. ჩემი ამოცანაა - მუდმივი სრულყოფა და არ დავკმაყოფილდე მიღწეულით. დიახ, მე მსოფლიოს საუკეთესო ცენტრი ვარ. შესაბამისად, შემდეგი მიზანია - საუკეთესო მოთამაშის ტიტული . ამ სეზონში ახლოს ვიყავი ამასთან, პრეტენზიას ვაცხადებდი MVP-ის ტიტულზე. არ დავმალავ, საზოგადოების აღიარება ბევრს ნიშნავს ჩემთვის. იმისთვის ვთამაშობ, რომ საუკეთესო ვიყო.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ NBA-ში გადასვლა მეჯიქ ჯონსონთან პირადი შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტეთ...**

- დიახ, ეს რეალური ისტორიაა. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის გუნდში ვთამაშობდი და შესანიშნავი სტატისტიკა მქონდა. მაგრამ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მეჯიქმა მითხრა: „ბიჭუნა, ძალიან გამხდარი ხარ. NBA-სთვის ძალა არ გყოფნის“. ამის შემდეგ უფრო დიდხანს ვრჩებოდი სატრენაჟორო დარბაზში. ახლა, როგორც ხედავთ, არც გამხდარი ვარ და არც სუსტი (211 სანტიმეტრი სიმაღლის ჰოვარდი 120 კილოგრამს იწონის).

**- ვინ იყო ბავშვობაში თქვენი კერპი?**

- მეჯიქ ჯონსონი. და ბუნებრივია, მაიკლ ჯორდანი. ისინი მხოლოდ უდიადესი მოთამაშეები არ ყოფილან. მათ მთელი თაობების ცხოვრება შეცვალეს. ის, რასაც მოედანზე აკეთებდნენ, ნამდვილი გარღვევა იყო! მათ ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ბიჭებს ცხოვრებაში დამკვიდრების შანსი მისცეს. თუ სერიოზულად იმუშავებ, აბსოლუტურად ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ჯორდანი და ჯონსონი - ნამდვილი მოტივატორები იყვნენ. ისინი ხალხს გმირობისკენ უბიძგებდნენ. და არა მხოლოდ კალათბურთში. მათი მაგალითი გვაიძულებდა მე და ჩემს თანატოლებს სწორად გვეცხოვრა: ყოველთვის გაღიმებული ვყოფილიყავით, იოლად გადაგვეტანა სირთულეები, არ მოგვეწყინა, ოპტიმიზმით შეგვეხედა მომავლისთვის. უმეტესწილად, მათი წყალობით მივაქციე უფრო მეტი ყურადღება ქველმოქმედებას. NBA-ის სხვა მოთამაშეებთან ერთად ვატარებთ მასტერკლასებს, სხვადასხვა სოციალურ აქციას. ვცდილობთ ავუხსნათ შემდეგ თაობას უბრალო, მაგრამ ფუნდამენტალური საკითხები - რწმენა, სიყვარული, ოპტიმიზმი...

**- თქვენამდე ნომერ პირველ ცენტრად შაკილ ო’ნილი ითვლებოდა, რომელმაც ოფიციალურად დაასრულა კარიერა. რა ფიქრობთ მის გადაწყვეტილებაზე?**

- რა თქმა უნდა, შაკი ძალიან დაგვაკლდება. ის ბრწყინვალე მოთამაშე და ადამიანია. უდიადესი კარიერა ჰქონდა. მრავალი წლის განმავლობაში რეალურად დომინირებდა ფარქვეშ ბრძოლაში. და ბევრი რამ გააკეთა NBA-ის პოპულარიზაციისთვის. იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში შევძლებ მის ღირსეულად შეცვლას. და მივაღწევ იმ სიმაღლეებს, სადამდეც ის ავიდა. მაგრამ ამისთვის კოლოსალური შრომაა საჭირო - მე ეს კარგად მესმის.

**- თავად იგონებთ თქვენს ფანტასტიკურ ჩატენვებს, თუ ვინმე გეხმარებათ?**

- მხოლოდ მე თვითონ. საერთოდ, იმპროვიზაცია მიყვარს. ჯერ გონებაში ვაწყობ ყველაფერს და მხოლოდ შემდეგ გადამაქვს ცხოვრებაში. ნამდვილად ორიგინალური და დასამახსოვრებელი დანკის მოგონება უფრო რთულია, ვიდრე მისი რეალიზება. თითქოს ერთიც და მეორეც კარგად გამომდის.

**- რა ასაკში იყავით, როცა პირველი ჩატენვა შეასრულეთ?**

- 14 წლის. და მას შემდეგ ვცდილობ, სულ უფრო ხშირად გავაკეთო ეს. კალათბურთის თამაში სამი წლის ასაკში დავიწყე. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი - მინიმუმ სამი-ოთხი საათი დღეში. ბედმა გამიღიმა, რადგან საკალათბურთო ოჯახში გავიზარდე. მამა სკოლაში მწვრთნელად მუშაობდა - ამ გუნდში მე ვთამაშობდი. იქ ძალიან კარგი საკალათბურთო ტრადიციები იყო. დედაც კოლეჯის ნაკრებში თამაშობდა. ასე რომ, მემკვიდრეობის მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო. სხვათა შორის, ბავშვობაში ძალიან სწრაფი და მოძრავი ვიყავი. ალბათ, ტყუილად არ მაკრიტიკებდა მეჯიქი სიგამხდრის გამო. სამაგიეროდ, შემეძლო ნებისმიერ პოზიციაზე მეთამაშა - თუნდაც მცველად.

**- აპირებთ ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას?**

- რა თქმა უნდა. საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაში - დიდი პატივია. ძალიან ამაყი ვიყავი პეკინში მოპოვებული გამარჯვების გამო. და ისევ მინდა განვიცადო მსგავსი შეგრძნება. მთავარია, ჯანმრთელობამ არ მიღალატოს.

**- ვინ იქნება ამერიკის ნაკრების მთავარი კონკურენტი?**

- რა თქმა უნდა, ესპანეთი. ეს გუნდი ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი შემადგენლობით ძალიან ძლიერია. ესპანელებთან რამდენიმე რთული მატჩი გვქონდა.

**- კეთილი და მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. მაშინ რატომ იღებთ ასეთი დიდი რაოდენობით ტექნიკურ ფოლებს?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი! შესაძლოა, მოედანზე ვიცვლები, უფრო აგრესიული ვხდები. თანაც მომწონს თამაშის პროცესი. მინდა კალათბურთისგან სიამოვნება მივიღო. მსაჯები კი ხანდახან ყველაფერს აფუჭებენ. იმედია, მომავალში შემცირდება ტექნიკური ჯარიმები.

**- შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი ცხოვრების საუკეთესო მომენტი?**

- ასეთი ძალიან ბევრია. კმაყოფილი ვარ საკუთარი ცხოვრებით. კალათბურთის წყალობით ბავშვობის ოცნებების რეალიზების შესაძლებლობა მომეცა. მაგალითად, ძალიან მიყვარს მოგზაურობა. და ახლა არა მარტო შემიძლია ვიმოგზაურო სხვა ქვეყნებში, არამედ იქ კალათბურთის პოპულარიზაციას მივყო ხელი. ეს დიდი საქმეა. ძალიან მომწონს ახალ კულტურასთან ზიარება, ახალი ქალაქებისა და ქვეყნების გაცნობა. ბოლო დროს მოგზაურობის ფართო გეოგრაფია მქონდა - ჩინეთი, გერმანია, აფრიკა... ყველგან საინტერესო იყო.

დუაიტ ჰოვარდი




ამბები

## მაიამის ისევ სპოელსტრა გაწვრთნის

როგორც გაზეთი The Boston Globe „მაიამი ჰიტთან“ დაახლოებულ სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, **ერიკ სპოელსტრა** დარჩება ფლორიდული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

*„აქვს თუ არა „ჰიტის“ დღევანდელ შემადგენლობას ყველაფერი იმისთვის, რომ ჩემპიონატი მოიგოს? ჩემი აზრით, კლუბის პრეზიდენტი პეტ რაილი კარგად უნდა დაფიქრდეს ამაზე. მე მიმაჩნდა, რომ ყველანაირი რესურსი გაგვაჩნდა. თუ ყურადღებით შევისწავლით ფინალური სერიის მატჩებს, თითქოს ეს მართლაც ასეა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში „მავერიქსმა“ ოთხჯერ ჩვენზე კარგად ითამაშა“,* - ამბობს სპოელტრა გაზეთისთვის მიცემულ კომენტარში.

## ბოსტონს ჩენდლერი მოუნდა

„ბოსტონ სელტიქსის“ ხელმძღვანელობა „დალას მავერიქსიდან“ **ტაისონ ჩენდლერის** გადაბირებას აპირებს. **დოკ რივერსის** გუნდიდან **კენდრიკ პერკინსისა** და **შაკილ ო’ნილის** წასვლის შემდეგ „კელტების“ რიგებში აქტუალურად დგას კარგი ცენტრალური თავდამსხმელის საკითხი. ჩენდლერი კი სწორედ ის კანდიდატურაა, რომელიც „სელტიქსს“ სჭირდება, - მიაჩნია კლუბის შეფობას.

ამ ზაფხულს ტაისონი თავისუფალი აგენტი გახდება. შეგახსენებთ იმასაც, რომ ცოტა ხნის წინ ჩენდლერმა და „დალასმა“ თანამშრომლობის გაგრძელების ორმხრივი სურვილი გამოთქვეს, რაც „ბოსტონის“ გეგმებს ართულებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი

# დათვების ტრიუმფი 39 წლის შემდეგ


თასი ზდენო ხარამ ჩაიბარა

„ბოსტონმა“ ფინალური სერიის მეშვიდე მატჩში ბრწყინვალე თამაშის წყალობით 39-წლიანი შესვენების შემდეგ მოიპოვა სტენლის თასი. კანადური კლუბები კი ზედიზედ 18 წელია უტიტულოდ რჩებიან. „დათვების“ მეკარემ **ტიმ ტომასმა** პლეი ოფში მეხუთე, ფინალში კი მეორე „შათაუტი“ შეასრულა და სტენლის თასის გათამაშების MVP გახდა.

ფინალურ სერიებში მეშვიდე მატჩი იშვიათობაა. სტენლის თასის 100-წლიან ისტორიაში გულშემატკივარმა მეთექვსმეტედ იხილა მსგავსი რამ. 12 შემთხვევაში გამარჯვებას მასპინძლები აღწევდნენ და მხოლოდ ოთხჯერ დაარღვიეს ეს ტრადიცია სტუმრებმა. ამასთან, კანადურმა კლუბებმა, რომლებმაც ოთხჯერ უმასპინძლეს მეშვიდე მატჩს, ოთხივეჯერ გამარჯვებულებმა დატოვეს მოედანი. და კიდევ, არც ერთ კლუბს პლეი ოფის მსვლელობისას სამჯერ არ მოუგია მეშვიდე მატჩი (შეგახსენებთ, რომ „ბოსტონმა“ წელს 4:3 მოუგო „ტამპა ბეისა“ და „მონრეალს“).

ასე რომ, პრაქტიკულად მთელი სტატისტიკა და სტენლის თასის ისტორია „დათვების“ წინააღმდეგ იყო. არაფერი მოასწავებდა მათ წარმატებას. ყველა ფაქტორი „ვანკუვერის“ სასარგებლოდ ლაპარაკობდა. მხოლოდ სერიაში შაიბების სხვაობით უგებდა „ბოსტონი“ „ვანკუვერს“ - 19:8.

ორივე გუნდისთვის ეს იყო 107-ე მატჩი სეზონში და წესით, დაღლილობა ორივეს უნდა დატყობოდა. და ეს შეიმჩნეოდა კიდეც თითოეული პერიოდის ბოლოს.

პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა თამაშის სურათი. მცირე ტერიტორიული უპირატესობა „ვანკუვერს“ ჰქონდა, ხოლო „ბრუინზი“ კონტრშეტევებზე აგებულ ფრთხილ თამაშს ამჯობინებდა. და კიდევ, მასპინძლები ბევრს ურტყამდნენ, სტუმრები - ცოტას, მაგრამ სახიფათოდ.

პირველ პერიოდში ბრწყინვალე **ტიმ ტომასმა** მეტოქის ყველა შეტევა მოიგერია, 20-წუთეულის ბოლოს კი კანადელებმა ინიციატივა დათმეს და დაისაჯნენ კიდეც - **მარშანმა** ჩაგდება მოიგო, კარგი პაუზა გააკეთა და შორეულ კუთხეში **პატრის ბერჟერონი** მონახა, რომლის დარტყმას **ლუონგომ** ვერაფერი მოუხერხა.

მეორე პერიოდი მარშანის შესანიშნავი მომენტით დაიწყო, მაგრამ მეკარესთან ერთი ერთზე გასვლა ძელისთვის შაიბის გარტყმით დასრულდა. მალე მასპინძლებმა კარში შეაგდეს ტომასი, მაგრამ შაიბა გარეთ დარჩა.

ცოტა ხანში „ვანკუვერმა“ გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მიიღო - **ბაროუზმა** ტომასი მოატყუა და ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ ბოსტონელთა კაპიტანმა **ზდენო ხარამ** შაიბა საკუთარ თავზე მიიღო. ერთ წუთში კი „ვანკუვერმა“ მეორე გოლი გაუშვა - მარშანმა უკნიდან შემოუარა მეტოქის კარს და ახლო კუთხეში დაარტყა. ლუონგომ ყვანჯის გასრიალება მოასწრო და თითქოს მოიგერია შაიბა, მაგრამ **დანიელ სედინმა** ყვანჯს ფეხი დააბიჯა და ამით შაიბის ინერციით მოძრაობას ხელი ვერ შეუშალა - 2:0.

პერიოდის ბოლოს მომენტს მომენტზე ქმნიდნენ მასპინძლები. **ჰიგინსმა** და დანიელ სედინმა ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენეს. სწორედ ამ დროს დაფიქსირდა მატჩში პირველი გაძევება - „ბოსტონი“ რიცხვნაკლული დარჩა, მაგრამ მსაჯები ამით სტუმრებს უფრო დაეხმარნენ. ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშებისას მასპინძლებმა ვერც შეტევაში ივარგეს და ვერც საკუთარი ზონის დაცვისას - ბერჟერონს ორი მცველი მისდევდა, მაგრამ მაინც შეძლო პრაქტიკულად წაქცეულმა შაიბის კარში შეგდება - 3:0.

ტიმ ტომასის ბრწყინვალე თამაშის ფონზე ინტრიგა პრაქტიკულად მკვდარი იყო. თამაშის გადარჩენის ბოლო შანსი „ვანკუვერმა“ საფინალო სირენამდე რვაწუთნახევრით ადრე მიიღო, როცა მსაჯებმა ორწუთიანი ჯარიმა გამოუწერეს **ლუჩიჩს**. რიცხობრივ უმცირესობაში ტომასმა მოიგერია ერჰოფის ბრწყინვალე გასროლა, მასპინძლების დანარჩენ დარტყმებს კი მცველები გადაელობნენ.

საგოლე მომენტები მრავლად იყო: ბაროუზს შეეძლო თავის გამოჩენა, ბერჟერონმა კინაღამ ჰეთ-თრიკი შეასრულა. გაუმართლა მარშანს, რომელმაც ბოლოს ცარიელ კარში გაიტანა. 4:0 - „დათვების“ ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება. ამ შედეგის სამართლიანობაში ეჭვი არავის შეპარვია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ბოსტონის“ ბრწყინვალე მეკარე **ტიმ ტომასი**. თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ის გახდება პირველი „ფილადელფიას“ მეკარე **ბერნი პარენტის** შემდეგ, ვინც ერთ სეზონში მოიპოვებს სტენლის თასს, პლეი ოფის MVP-ის ტიტულსა და სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზს. პირველი ორი ჯილდო ტომასს უკვე მიღებული აქვს. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ტიმი „ვეზინა ტროფისაც“ მიიღებს, მით უმეტეს, რომ ამ ნომინაციაში მისი მთავარი კონკურენტი რობერტო ლუონგოა, რომელიც ამ სერიაში დამაჯერებლად დაამარცხა.

ტომასის სტატისტიკა მართლაც ფანტასტიკურად გამოიყურება: ფინალურ სერიაში დარტყმების მოგერიების 96,7 პროცენტი, პლეი ოფში - 94.0%, რეგულარულ ჩემპიონატში - 93.8%. საიმედოობის კოეფიციენტი: 1.98 - პლეი ოფში, 2.0 - რეგულარულში.

უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი: XXI საუკუნეში ბოსტონი გახდა პირველი ქალაქი, რომლის კლუბებმაც ოთხივე მთავარ ჩრდილოამერიკულ ლიგაში მოიპოვეს პირველობა. „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი“ (ქალაქი ფოქსბორო დიდი ბოსტონის შემადგენლობაში შედის) სამჯერ გახდა NFL-ის ჩემპიონი (2001, 2003, 2004), „ბოსტონ რედ სოქსმა“ ორჯერ მოიგო MLB-ის ჩემპიონატი (2004, 2007), 2008 წელს კი „ბოსტონ სელტიქსი“ NBA-ის ტრიუმფატორი გახდა.

**ფინალი. VII მატჩი**

**ვანკუვერი-ბოსტონი 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პ. ბერჟერონი-5 (მარშანი-8), 0:2 მარშანი-10 (საიდენბერგი-9, რეკი-9), 0:3 პ. ბერჟერონი-6 (საიდენბერგი-10, გ. კემპბელი-3), 0:4 მარშანი-11.

**სერია: 3-4**

# დარბეული ვანკუვერი


ვანკუვერში დიდი არეულობა იყო

„ბოსტონთან“ ფინალური სერიის მეშვიდე მატჩის წაგების შემდეგ „ვანკუვერის“ გულშემატკივრებმა ქალაქის ქუჩებში გრანდიოზული არეულობა მოაწყვეს. ფანატები გზად ყველაფერს ამსხვრევდნენ, იარაღად კი იყენებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ, მათ შორის პეტარდებსა და ჰოკეის ყვანჯებს. პოლიციამ მომხდარზე რეაგირება აშკარად დააგვიანა. *„ყოველთვის რთულია იწინასწარმეტყველო მოვლენათა ამგვარი განვითარება“*, - განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

შედეგად, სულ რაღაც ერთ საათში 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილს მოგაგონებდათ. ყველა კუთხეში იწვოდა ნაგვის ურნები, ავტომობილები, ბევრი მაღაზიის ვიტრინა ჩამსხვრეული იყო.

სამართლადამცავები ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით ცდილობდნენ განრისხებული ბრბოს დაწყნარებას, მაგრამ ამაოდ. არეულობის გამო გაუქმებული იქნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველა რეისი.

მსგავსი რამ კანადაში პირველად არ ხდება. 1994 წელს „რეინჯერსთან“ მეშვიდე მატჩის წაგების შემდეგ ვანკუვერის ქუჩები ასევე ბრძოლის ველს დაემსგავსა. შედეგად 200 ადამიანი დაზარალდა. ამ ქალაქმა არეულობა 2010 წელს, კანადის ნაკრების მიერ ოლიმპიადის მოგების შემდეგაც ვერ აიცილა თავიდან. შარშან აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში გასვლის შემდეგ სერიოზულად დაზარალდა კვებეკის პროვინციის მთავარი ქალაქი.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ოლესუნდი-რუსენბორგი | 1:3 |
| სარპსბორგი-სტაბეკი | 1:1 |
| სიოგნდალი-ჰაუგესუნდი | 3:1 |
| სტარტი-ფრედრიკსტადი | 3:2 |
| სტრიომსგოდსეტი-მიოლდე | 0:1 |
| ტრომსიო-ლილესტრიომი | 1:0 |
| ვიკინგი-ბრანი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრინი-ალტა | 2:2 |
| ასკერი-სანდეფიორდი | 1:2 |
| ბოდო გლიმტი-კონგსვინგერი | 4:2 |
| ჰამ კამი-რანდაბერგი | 3:0 |
| ჰიონეფოსი-ნილი | 5:3 |
| ლოვ ჰამი-ჰიოდი | 0:1 |
| რანჰაიმი-სანდნესი | 0:1 |
| სტრიომენი-მიონდალენი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰონკა-იარო | 4:1 |
| იუვიასკიულა-მარიეჰამნი | 2:1 |
| მიუპა-ვაასა | 1:0 |
| ტურკუ-ინტერი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ხიმკი-ცსკა | 63:74 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ისტბურნი** | |
| ტიპსარევიჩი-კუკუშკინი | 6:3, 7:6 |
| ო. როხუსი-ბერლოკი | 3:6, 7:6, 7:6 |
| ნიშიკორი-შუტლერი | 6:4, 4:6, 6:2 |
| სეპი-ო. როხუსი | 6:2, 6:7, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-დიმიტროვი | 6:3, 7:6 |
| შტეპანეკი-ნიშიკორი | 2:6, 3:6 |
| ბენეტო-კუნიცინი | 3:6, 2:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| დოდიგი-გაბაშვილი | 2:6, 6:1, 6:2 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| დოკიჩი-ლარსონი | 7:6, 6:4 |
| ვიკმაიერი-ვინჩი | 4:6, 4:6 |
| ოპრანდი-დატე | 7:6, 6:4 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ვ. უილიამსი-ჰანტუხოვა | 2:6, 7:6, 2:6 |
| კვიტოვა-ა. რადვანსკა | 1:6, 6:2, 7:6 |
| ზვონარევა-სტოსური | 6:4, 6:7, 4:6 |
| აზარენკა-ბარტოლი | 2:6, 0:6 |

TV პროგრამა

**17 ივნისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** სუპერ-მატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-უდინეზე.
**12:00** ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი.
**14:00** ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა
**16:00** სუპერ-მატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
**18:00** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია
**19:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა
**22:00** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი.
**23:00** ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი.
**01:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
**10:35** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის და WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
**21:00** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**21:30** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**23:00** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენი-ვიგანი (LIVE).
**04:00** ცურვა. გრან-პრი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
**17:00** ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).

**EUROSPORT**

**14:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. ტურნირი Bigger's Better. მძიმე წონა. ორჰუსი. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XIII ტური. ესენდონი-ჩრდილოეთ მელბურნი (LIVE).

ველოსპორტი

# კონტადორი პოლიციამ დააკავა

უსიამოვნო ისტორიაში გაეხვა ტურ დე ფრანსის სამგზის გამარჯვებული **ალბერტო კონტადორი**. თითქოს დოპინგსკანდალი არ კმაროდა, ახლა თანამედროვეობის საუკეთესო ველომრბოლს სამართალდამცავ ორგანოებთან შეექმნა პრობლემები. კერძოდ, კონტადორი ფარნის გარეშე მოძრაობისთვის დააკავეს.

ალბერტო ალპებში ემზადება მოახლოებული ტურ დე ფრანსისთვის, მაგრამ მისი ბოლო ვარჯიში პოლიციელებმა გალიბიეს უღელტეხილზე შეწყვიტეს. მსგავს სიტუაციებში აუცილებელია ველოსიპედზე დამაგრებული იყოს ფარანი, რადგან ველომრბოლი კარგად უნდა ხედავდეს ტრასის მდგომარეობას.

ალბერტო ცდილობდა დაერწმუნებინა პოლიციის ოფიცერი, რომ მისი თანმხლები მანქანა ისედაც კარგად ანათებდა გზას, მაგრამ პოლიციელი მყარად იდგა თავის პოზიციაზე. ამიტომაც კონტადორს ვარჯიშის შეწყვეტა და მანქანაში ჩაჯდომამ მოუწია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიადი მატჩი

# პანჩო ჩარლის წინააღმდეგ

**უიმბლდონი მხოლოდ იმით არ არის გამორჩეული, რომ უძველესი საჩოგბურთო ტურნირი გახლავთ. ეს არის მთელი კულტურა თავისი მითებით, ლეგენდებითა და გმირებით. სამყარო, სადაც იბადებიან ახალი ვარსკვლავები ან გვემშვიდობებიან ძველები. ადგილი, სადაც სიდიადიდან სასაცილომდე ერთი გათამაშება დგას. სამყარო, სადაც ისტორია იქმნება.**

**უიმბლდონის წინ (და მისი მსვლელობისას) შემოგთავაზებთ სტატიების ციკლს ტურნირის ლეგენდარული მატჩების შესახებ. აუცილებელი არ არის ეს იყოს მაინც და მაინც ფინალური მატჩი ან შეხვედრა ვარსკვლავების მონაწილეობით. იმისთვის, რომ ისტორიაში შეხვიდე, ხანდახან ერთი საგულისხმო მომენტი ან დაძაბული ინტრიგაც საკმარისია. ეს დროებითი რუბრიკა უიმბლდონის სტატისტიკითაც იქნება გაჯერებული. ჩვენი პირველი გმირები კი პანჩო გონსალესი და ჩარლი პასარელი არიან, რომლებმაც ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მატჩი გვაჩუქეს.**

*„ჩარლიტო თითქმის ისევე კარგად თამაშობს, როგორც მე“*, - ამბობდა 1966 წელს **არტურ ეში** ლოს ანჯელესის უნივერსიტეტსა და დევისის თასზე ამერიკის ნაკრებში თავის პარტნიორზე, პუერტორიკოელ **ჩარლი პასარელზე**. ჩარლი წყვილებში თამაშის სპეციალისტი იყო და კარიერის დასაწყისში დიდი პერსპექტივები ჰქონდა. 1967 წელს უიმბლდონზე მან სენსაცია მოახდინა, როცა პირველივე წრეში გამოთიშა ბრძოლას მოქმედი ჩემპიონი **მანოლო სანტანა** და მეოთხე წრემდე მიაღწია. 1968 წელს პუერტორიკოელს არ გაუმართლა - უკვე მეორე წრეში გადაეყარა **კენ როზუოლს**. შემდეგ წელს უიმბლდონის პირველ რაუნდში ჩარლის კიდევ ერთი ლეგენდა ელოდა.

**რიჩარდ გონსალესი** (უფრო პანჩოდ ცნობილი) ერთ-ერთ უდიადეს მოთამაშედ ითვლება ჩოგბურთის ისტორიაში. ფლოტში სამსახურის შემდეგ ამერიკის ღია პირველობა ორჯერ მოიგო (1948, 1949) და პროფესიონალებში გადავიდა, სადაც 50-იანი წლების შუაში კარგა ხნით დაიმკვიდრა ადგილი პლანეტის საუკეთესო მოთამაშის რანგში. პანჩოს კორტზე აბსოლუტურად ყველაფერი ეხერხებოდა, ხოლო მისი მოწოდება მრავალი წლის განმავლობაში ეტალონად მიიჩნეოდა, მაგრამ, ამასთან, დიადი ამერიკელი მეტად ნერვული ადამიანი იყო, მუდმივად კამათობდა მსაჯებთან და ცოფდებოდა წაგების გამო, თუნდაც საუკეთესო მეგობრებთან ბრძოლაში. 1961 წელს, შვიდწლიანი მსოფლიო დომინირების შემდეგ პანჩომ კარიერის დასრულება გადაწყვიტა, მაგრამ ერთი წლის თავზე დაბრუნდა და თამაში გააგრძელა, თუმცა ეს აღარ იყო ძველი დონე. 1963 წელს გონსალესი ამერიკის ნაკრების კაპიტანი იყო, რომელმაც დევისის თასის ფინალამდე მიაღწია. დროთა განმავლობაში პანჩო სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა სამწვრთნელო საქმეს. მისი შეგირდების რიცხვში შედიოდნენ არტურ ეში და... ჩარლი პასარელი. 1968 წელს, 40 წლის ასაკში რიჩარდ გონსალესი ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. თითქოს უკვე შეიძლებოდა დამსახურებულ პენსიაში


პანჩო გონსალესი

გასვლა, მაგრამ იმავე წელს ჩოგბურთში ე. წ. „ღია ერა“ დაიწყო. ამერიკელს კარიერის ბოლოსკენ უიმბლდონის მოგება მოუნდა...

1968 წელს გონსალესმა უბრალოდ ენერგია ვერ აღიდგინა საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ. ამიტომაც უიმბლდონის მესამე წრეში ვეტერანმა ოთხ სეტში წააგო **ალექსანდრ მეტრეველთან**. შემდეგ სეზონში პანჩომ შეგნებულად თქვა უარი პარიზში გამგზავრებაზე და მიზანმიმართულად მოემზადა წლის მთავარი ტურნირისთვის. მას 41 წელი შეუსრულდა, მეტოქე 25 წლის იყო...

■ ■ ■

1969 წლის 24 ივნისს ლონდონში წვიმდა, ამიტომაც გონსალესისა და პასარელის მატჩი მხოლოდ საღამოს ექვს საათზე დაიწყო. მწვრთნელისა და მოსწავლის შეხვედრისთვის ცენტრალური კორტი გამოყვეს, რადგან ამ დუელმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მაყურებელთა მოლოდინი გამართლდა - მეტოქეებმა პირველივე სეტში ბრწყინვალე შოუ დადგეს. პასარელს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული ტაქტიკა - მილების შემდეგ ის ფეხებში ურტყამდა ბადესთან გასულ გონსალესს და შემდეგ შემოვლით დარტყმას ასრულებდა. ტაქტიკა მეტ-ნაკლები წარმატებით მოქმედებდა - გონსალესი ბრწყინვალედ მოქმედებდა ბადესთან. ორსაათიანი ბრძოლა 46-ე გეიმში დასრულდა, როცა პასარელმა მოახერხა ბრეიკის გაკეთება - 24:22. უკვე საღამოს რვა საათი იყო, ცა ღრუბლებით დაიფარა. დაღლილმა გონსალესმა სამჯერ სთხოვა მსაჯს მატჩის შემდეგი დღისთვის გადადება. კოშკურის არბიტრმა **მაიკ გიბსონმა** უარი განაცხადა.

პანჩო გაბრაზდა და მისი თამაში საერთოდ მოიშალა. მატჩი გაგრძელდა და მაყურებელმა, რომელიც მანამდე თბილად შეხვდა ვეტერანს, პანჩოს სტვენა აუტეხა. გონსალესს ბრძოლის არანაირი სურვილი არ ჰქონდა. პასარელმა მოიგო მეორე სეტი - 6:1. გიბსონმა, როგორც იქნა, ოთხშაბათისთვის გადადო მატჩი. გონსალესმა ჩოგანი კორტზე დაახეთქა და სტვენის თანხლებით გასახდელში გაემგზავრა.

ღამე მეტოქეებმა სხვადასხვაგვარად გაატარეს. პასარელი ადრე დაწვა დასაძინებლად, გაღიზიანებულ გონსალესს კი არ ეძინებოდა. ის ღამის ორ საათზე ადგა და დილამდე შაშს ეთამაშებოდა თავის ყოფილ მეუღლეს.

■ ■ ■

ოთხშაბათს მზიანი დილა გათენდა. სანამ პასარელს ეძინა, გონსალესმა ცოტა ივარჯიშა და მალე თამაში გაგრძელდა. სრულიად მოულოდნელად ღამენათევი პანჩო არაფერში ჩამორჩებოდა ახალგაზრდა და დასვენებულ მეტოქეს. 14:14-ზე პასარელმა თავისი მოწოდებისას ორჯერ გაწყვიტა სიმები საკუთარ ჩოგანზე. შესაძლოა, სწორედ ეს გახდა გარდამტეხი მომენტი - პანჩომ მეტოქის მოწოდება აიღო და შემდეგ სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. საინტერესოა, რომ ყოველთვის ნერვული გონსალესი დემონსტრაციულად მშვიდი იყო, იმ დროს, როცა მისი ოპონენტი აშკარად ნერვიულობდა. მეოთხე სეტში გადამწყვეტი მომენტი გახდა პასარელის ორმაგი შეცდომა 3:4-ზე. პანჩომ ბრეიკი გააკეთა, შემდეგ გეიმში კი სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

მეხუთე სეტის მსვლელობისას ცხადი გახდა, რომ ცენტრალურ კორტზე ახალი ისტორია იწერებოდა. ტრიბუნები სავსე იყო, მაყურებელი გასასვლელებშიც კი იდგა, კიდევ 30 ათასი კორტის გარშემო იყო შეკრებილი და ელექტრონულ ტაბლოზე აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა პასარელის ფიზიკური უპირატესობა. გონსალესი ხშირად ცდებოდა, პერიოდულად არ მუშაობდა მისი მთავარი იარაღი - უნაკლო მოწოდება. 4:5-ზე პანჩომ მეტოქეს თავის მოწოდებაზე სამმაგი მატჩბოლი მისცა. *„მეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა“*, - ამბობდა მატჩის შემდეგ გონსალესი. მაგრამ ნერვებმა მის მეტოქესაც უმტყუნა - პასარელმა ზედიზედ სამი შეცდომა დაუშვა და გეიმებში ანგარიში გათანაბრდა. სიტუაცია გონსალესის მომდევნო ჩაწოდებისას განმეორდა - ისევ 0:40 და ისევ სამი მატჩბოლი. პირველი პანჩომ შესანიშნავი „სმეშით“ მოიგერია, მეორეში პასარელს კარგი მიღება გამოუვიდა, მაგრამ გონსალესი მიუხვდა ჩანაფიქრს და ბრწყინვალე კროსით ჰაერიდან მოიგო ქულა. მესამე მატჩბოლი მაშინ მოიგერია, როცა ჩარლიმ ცუდად მიიღო მოწოდება.

7:8-ზე პუერტორიკოელმა კიდევ ერთი მატჩბოლი მიიღო - რიგით მეშვიდე. ამჯერად გონსალესი მოწოდებისთანავე გავიდა ბადესთან, ჩარლიმ მეტოქისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ დარტყმა აუტში გაუშვა. ახალგაზრდა ჩოგბურთელს კიდევ უფრო მეტად დაეტყო ნერვიულობა, მისი ასაკოვანი ოპონენტი კი პირიქით, ყოველგვარი ემოციის გარეშე თამაშობდა. საბოლოოდ, მე-19 გეიმში პანჩომ შეძლო ბრეიკის გაკეთება, რის შემდეგაც საკუთარი გეიმის აღება რჩებოდა. მან ზედიზედ სამი გათამაშება მოიგო და პირველი მატჩბოლი მიიღო. მოკლე გათამაშებისას გონსალესმა ბადესთან გაიტყუა მეტოქე, რის შემდეგაც აკურატულად გადაუგდო ბურთი თავზე. ამჯერად ყველაფერი იდეალურად იყო შესრულებული - ჩარლი გაშეშებული ადევნებდა თვალს, როგორ ეშვებოდა ბურთი პირდაპირ ხაზზე...

არც ერთ ჩოგბურთელს არ დარჩა ძალა ემოციების გამოსახატავად. ბადესთან მათ ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ. 50 ათასი მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს ამ დიადი მატჩის მონაწილეებს.

პასარელმა მხოლოდ გასახდელში გააცნობიერა მომხდარი და ატირდა. რამდენიმე წუთში მასთან გონსალესი შევიდა. მან მოსწავლეს მხრებზე პირსახოცი მოახურა და უბრალოდ უთხრა - *„მაპატიე!“*...

**მატჩის ანგარიში იყო - 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9. ის ხუთ საათზე მეტხანს გრძელდებოდა. 41 წლის შემდეგ უიმბლდონზე ხანგრძლივობის რეკორდი დაამხეს ჯონ ისნერმა და ნიკოლა მაუმ.**

■ ■ ■

იმ ტურნირზე გონსალესმა კიდევ ორი მატჩი მოიგო, მაგრამ მეოთხე წრეში მას სხვა მოსწავლემ გადაუღობა გზა. არტურ ეში აჭარბებდა, როცა ამბობდა, რომ ჩარლიტო მასსავით კარგად თამაშობდა. ოთხ სეტში ახალგაზრდობამ გამოცდილება დაამარცხა. ეში უფრო შორს წავიდა - ნახევარფინალამდე მიაღწია და იქ წააგო ჩოგბურთელთან, რომელთანაც 1969 წელს ყველა მარცხდებოდა. **როდ ლეივერმა** იმ წელს თავისი მეორე სეზონური „დიდი სლემი“ მოიგო.

პანჩოს კარიერა 1973 წლამდე გრძელდებოდა. ერთი წლით ადრე, 43 წლისა და 9 თვის ასაკში მან მოიგო დე-მინეს ტურნირი, რითაც ისტორიაში ATP-ის ტიტულის ყველაზე ასაკოვანი მფლობელი გახდა. ეს რეკორდი დღემდე არავის დაუმხია. მრავალი წელი გონსალესი ლას ვეგასში ცნობილი სასტუმროს - Caesar's Palace-ის საჩოგბურთო ცენტრს ხელმძღვანელობდა, მაგრამ მძიმე ხასიათის გამო ურთიერთობა გაიფუჭა ხელმძღვანელობასთან და იძულებული იყო ცენტრი დაეტოვებინა. 80-იანი წლების ბოლოს პანჩო ლას ვეგასში თავის მორიგ, მეექვსე ცოლთან **რიტასთან** ერთად ცხოვრობდა. პარალელურად ის სპარინგებს მართავდა რიტას ძმასთან, ვინმე **ანდრე აგასისთან**...

რიჩარდ „პანჩო“ გონსალესი 1995 წლის 3 ივლისს კიბოთი გარდაიცვალა. ეს უიმბლდონის მატჩის ყურებისას მოხდა. მან რამდენიმე დღე ვერ გაძლო **პიტ სამპრასის** მორიგ გამარჯვებამდე. თამაშის მანერით სწორედ პიტს მიიჩნევდნენ გონსალესის მემკვიდრედ.

ჩარლი პასარელი ინდიან უელსის მასტერსის დირექტორად მუშაობს, პარალელურად კომენტარს უკეთებს საჩოგბურთო მატჩებს. შეიცვლებოდა თუ არა მისი ბედი იმ მატჩის მოგების შემთხვევაში? პასარელს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს, თუმცა ცხოვრებით კმაყოფილია. თუნდაც იმიტომ, რომ ლეგენდა გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უიმბლდონი. ყველა ფინალი

### კაცები

#### სამოყვარულო ერა

1877 სპენსერ გორი (ბრიტ)-უილიამ მარშალი (ბრიტ) 6:1, 6:2, 6:4
1878 ფრენკ ჰადოუ (ბრიტ)-სპენსერ გორი (ბრიტ) 7:5, 6:1, 9:7
1879 ჯონ ჰარტლი (ბრიტ)-ვერ სენტ ლეგერი (ბრიტ) 6:2, 6:4, 6:2
1880 ჯონ ჰარტლი (ბრიტ)-ჰერბერტ ლოუფორდი (ბრიტ) 6:3, 6:2, 2:6, 6:3
1881 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ჯონ ჰარტლი (ბრიტ) 6:0, 6:1, 6:1
1882 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ერნესტ რენშოუ (ბრიტ) 6:1, 2:6, 4:6, 6:2, 6:2
1883 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ერნესტ რენშოუ (ბრიტ) 2:6, 6:3, 6:3, 4:6, 6:3
1884 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ჰერბერტ ლოუფორდი (ბრიტ) 6:0, 6:4, 9:7
1885 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ჰერბერტ ლოუფორდი (ბრიტ) 7:5, 6:2, 4:6, 7:5
1886 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ჰერბერტ ლოუფორდი (ბრიტ) 6:0, 5:7, 6:3, 6:4
1887 ჰერბერტ ლოუფორდი (ბრიტ)-ერნესტ რენშოუ (ბრიტ) 1:6, 6:3, 3:6, 6:4, 6:4
1888 ერნესტ რენშოუ (ბრიტ)-ჰერბერტ ლოუფორდი (ბრიტ) 6:3, 7:5, 6:0
1889 უილიამ რენშოუ (ბრიტ)-ერნესტ რენშოუ (ბრიტ) 6:4, 6:1, 3:6, 6:0
1890 ვილუბი ჰემილტონი (ბრიტ)-უილიამ რენშოუ (ბრიტ) 6:8, 6:2, 3:6, 6:1, 6:1
1891 ვილფრედ ბადელი (ბრიტ)-ჯოშუა პიმი (ბრიტ) 6:4, 1:6, 7:5, 6:0
1892 ვილფრედ ბადელი (ბრიტ)-ჯოშუა პიმი (ბრიტ) 4:6, 6:3, 6:3, 6:2
1893 ჯოშუა პიმი (ბრიტ)-ვილფრედ ბადელი (ბრიტ) 3:6, 6:1, 6:3, 6:2
1894 ჯოშუა პიმი (ბრიტ)-ვილფრედ ბადელი (ბრიტ) 10:8, 6:2, 8:6
1895 ვილფრედ ბადელი (ბრიტ)-ვილდერფორს ივსი (ბრიტ) 4:6, 2:6, 8:6, 6:2, 6:3
1896 ჰაროლდ მაჰონი (ბრიტ)-ვილფრედ ბადელი (ბრიტ) 6:2, 6:8, 5:7, 8:6, 6:3
1897 რეჯინალდ დოჰერტი (ბრიტ)-ჰაროლდ მაჰონი (ბრიტ) 6:4, 6:4, 6:3
1898 რეჯინალდ დოჰერტი (ბრიტ)-ლოურენს დოჰერტი (ბრიტ) 6:3, 6:3, 2:6, 5:7, 6:1
1899 რეჯინალდ დოჰერტი (ბრიტ)-არტურ გორი (ბრიტ) 1:6, 4:6, 6:3, 6:3, 6:3
1900 რეჯინალდ დოჰერტი (ბრიტ)-სიდნი სმიტი (ბრიტ) 6:8, 6:3, 6:1, 6:2
1901 არტურ გორი (ბრიტ)-რეჯინალდ დოჰერტი (ბრიტ) 4:6, 7:5, 6:4, 6:4
1902 ლოურენს დოჰერტი (ბრიტ)-არტურ გორი (ბრიტ) 6:4, 6:3, 3:6, 6:0
1903 ლოურენს დოჰერტი (ბრიტ)-ფრენკ რაისლი (ბრიტ) 7:5, 6:3, 6:0
1904 ლოურენს დოჰერტი (ბრიტ)-ფრენკ რაისლი (ბრიტ) 6:1, 7:5, 8:6
1905 ლოურენს დოჰერტი (ბრიტ)-ნორმან ბრუქსი (ავსტრა) 8:6, 6:2, 6:4
1906 ლოურენს დოჰერტი (ბრიტ)-ფრენკ რაისლი (ბრიტ) 6:4, 4:6, 6:2, 6:3
1907 ნორმან ბრუქსი (ავსტრა)-არტურ გორი (ბრიტ) 6:4, 6:2, 6:2
1908 არტურ გორი (ბრიტ)-ჰერბერტ ბარეტი (ბრიტ) 6:3, 6:2, 4:6, 3:6, 6:4
1909 არტურ გორი (ბრიტ)-ჯოშია რიტჩი (ბრიტ) 6:8, 1:6, 6:2, 6:2, 6:2
1910 ენტონი უილდინგი (ზელ)-არტურ გორი (ბრიტ) 6:4, 7:5, 4:6, 6:2
1911 ენტონი უილდინგი (ზელ)-ჰერბერტ ბარეტი (ბრიტ) 6:4, 4:6, 2:6, 6:2, უარი
1912 ენტონი უილდინგი (ზელ)-არტურ გორი (ბრიტ) 6:4, 6:4, 4:6, 6:4
1913 ენტონი უილდინგი (ზელ)-მორის მაკლაფლინი (აშშ) 8:6, 6:3, 10:8
1914 ნორმან ბრუქსი (ავსტრა)-ენტონი უილდინგი (ზელ) 6:4, 6:4, 7:5
1919 ჯერალდ პატერსონი (ავსტრა)-ნორმან ბრუქსი (ავსტრა) 6:3, 7:5, 6:2
1920 ბილ ტილდენი (აშშ)-ჯერალდ პატერსონი (ავსტრა) 2:6, 6:3, 6:2, 6:4
1921 ბილ ტილდენი (აშშ)-ბრაიან ნორტონი (ს. აფრ) 4:6, 2:6, 6:1, 6:0, 7:5
1922 ჯერალდ პატერსონი (ავსტრა)-რენდოლფი ლისეტი (ს. აფრ) 6:3, 6:4, 6:2
1923 ბილ ჯონსონი (აშშ)-ფრენსის ჰანტერი (აშშ) 6:0, 6:3, 6:1
1924 ჟან ბოროტრა (საფ)-რენე ლაკოსტი (საფ) 6:1, 3:6, 6:1, 3:6, 6:4
1925 რენე ლაკოსტი (საფ)-ჟან ბოროტრა (საფ) 6:3, 6:3, 4:6, 8:6
1926 ჟან ბოროტრა (საფ)-ჰოვარდ კინსი (აშშ) 8:6, 6:1, 6:3
1927 ანრი კოშე (საფ)-ჟან ბოროტრა (საფ) 4:6, 4:6, 6:3, 6:4, 7:5
1928 რენე ლაკოსტი (საფ)-ანრი კოშე (საფ) 6:1, 4:6, 6:4, 6:2
1929 ანრი კოშე (საფ)-ჟან ბოროტრა (საფ) 6:4, 6:3, 6:4
1930 ბილ ტილდენი (აშშ)-ვილმერ ელისონი (აშშ) 6:3, 9:7, 6:4
1931 სიდნი ვუდი (აშშ)-ფრენ შილდსი (აშშ) უარი
1932 ელსვორტ ვაინსი (აშშ)-ბანი ოსტინი (ბრიტ) 6:2, 6:2, 6:0
1933 ჯეკ კროუფორდი (ავსტრა)-ელსვორტ ვაინსი (აშშ) 4:6, 11:9, 6:2, 2:6, 6:4
1934 ფრედ პერი (ბრიტ)-ჯეკ კროუფორდი (ავსტრა) 6:3, 6:0, 7:5
1935 ფრედ პერი (ბრიტ)-გოტფრიდ ფონ გამი (გერ) 6:2, 6:4, 6:4
1936 ფრედ პერი (ბრიტ) გოტფრიდ ფონ გამი (გერ) 6:1, 6:1, 6:0
1937 დონ ბაჯი (აშშ)-გოტფრიდ ფონ გამი (გერ) 6:3, 6:4, 6:2
1938 დონ ბაჯი (აშშ)-ბანი ოსტინი (ბრიტ) 6:1, 6:0, 6:3
1939 ბობი რიგსი (აშშ)-ელვუდ კუკი (აშშ) 2:6, 8:6, 3:6, 6:3, 6:2
1946 ივონ პეტრა (საფ)-ჯეფ ბრაუნი (ავსტრა) 6:2, 6:4, 7:9, 5:7, 6:4
1947 ჯეკ კრემერი (აშშ)-ტომ ბრაუნი (აშშ) 6:1, 6:3, 6:2
1948 ბობ ფალკენბურგი (აშშ)-ჯონ ბრომვიჩი (ავსტრა) 7:5, 0:6, 6:2, 3:6, 7:5
1949 ტედ შრიოდერი (აშშ)-იაროსლავ დრობნი (ჩეხ) 3:6, 6:0, 6:3, 4:6, 6:4
1950 ბაჯ პეტი (ავსტრა)-ფრენკ სედგმენი (ავსტრა) 6:1, 8:10, 6:2, 6:3
1951 დიკ სევიტი (აშშ)-კენ მაკგროგერი (ავსტრა) 6:4, 6:4, 6:4
1952 ფრენკ სედგმენი (ავსტრა)-იაროსლავ დრობნი (ეგვ) 4:6, 6:2, 6:3, 6:2
1953 ვის სეისასი (აშშ)-კურტ ნილსენი (დან) 9:7, 6:3, 6:4
1954 იაროსლავ დრობნი (ეგვ)-კენ როზუოლი (ავსტრა) 13:11, 4:6, 6:2, 9:7
1955 ტონი ტრაბერტი (აშშ)-კურტ ნილსენი (დან) 6:3, 7:5, 6:1
1956 ლიუ ჰოდი (ავსტრა)-კენ როზუოლი (ავსტრა) 6:2, 4:6, 7:5, 6:4
1957 ლიუ ჰოდი (ავსტრა)-ეშლი კუპერი (ავსტრა) 6:2, 6:1, 6:2
1958 ეშლი კუპერი (ავსტრა)-ნილ ფრეზერი (ავსტრა) 3:6, 6:3, 6:4, 13:11
1959 ალეჯს ოლმედო-როდ ლეივერი (ავსტრა) 6:4, 6:3, 6:4
1960 ნილ ფრეზერი (ავსტრა)-როდ ლეივერი (ავსტრა) 6:4, 3:6, 9:7, 7:5
1961 როდ ლეივერი (ავსტრა)-ჩაკ მაკინლი (აშშ) 6:3, 6:1, 6:4
1962 როდ ლეივერი (ავსტრა)-მარტინ მალიგანი (ავსტრა) 6:2, 6:2, 6:1
1963 ჩაკ მაკინლი (აშშ)-ფრედ სტოლი (ავსტრა) 9:7, 6:1, 6:4
1964 როი ემერსონი (ავსტრა) ფრედ სტოლი (ავსტრა) 6:4, 12:10, 4:6, 6:3
1965 როი ემერსონი (ავსტრა) ფრედ სტოლი (ავსტრა) 6:2, 6:4, 6:4
1966 მანუელ სანტანა (ესპ)-დენის რელსტონი (აშშ) 6:4, 11:9, 6:4
1967 ჯონ ნიუკომბი (ავსტრა)-ვილჰელმ ბუნგერტი (გფრ) 6:3, 6:1, 6:1

#### ღია ერა

1968 როდ ლეივერი (ავსტრა)-ტონი როუჩი (ავსტრა) 6:3, 6:4, 6:2
1969 როდ ლეივერი (ავსტრა)-ჯონ ნიუკომბი (ავსტრა) 6:4, 5:7, 6:4, 6:4
1970 ჯონ ნიუკომბი (ავსტრა)-კენ როზუოლი (ავსტრა) 5:7, 6:3, 6:2, 3:6, 6:1
1971 ჯონ ნიუკომბი (ავსტრა)-სტენ სმიტი (აშშ) 6:3, 5:7, 2:6, 6:4, 6:4
1972 სტენ სმიტი (აშშ)-ილიე ნასტასე (რუმ) 4:6, 6:3, 6:3, 4:6, 7:5
1973 იან კოდეში (ჩეხ)-ალექსანდრ მეტრეველი (სსრკ) 6:1, 9:8(7:5), 6:3
1974 ჯიმი კონორსი (აშშ)-კენ როზუოლი (ავსტრა) 6:1, 6:1, 6:4
1975 არტურ ეში (აშშ)-ჯიმი კონორსი (აშშ) 6:1, 6:1, 5:7, 6:4
1976 ბიორნ ბორგი (შვედ)-ილიე ნასტასე (რუმ) 6:4, 6:2, 9:7
1977 ბიორნ ბორგი (შვედ)-ჯიმი კონორსი (აშშ) 3:6, 6:2, 6:1, 5:7, 6:4
1978 ბიორნ ბორგი (შვედ)-ჯიმი კონორსი (აშშ) 6:2, 6:2, 6:3
1979 ბიორნ ბორგი (შვედ)-როსკო ტანერი (აშშ) 6:7(4:7), 6:1, 3:6, 6:3, 6:4
1980 ბიორნ ბორგი (შვედ)-ჯონ მაკინროი (აშშ) 1:6, 7:5, 6:3, 6:7(16:18), 8:6
1981 ჯონ მაკინროი (აშშ)-ბიორნ ბორგი (შვედ) 4:6, 7:6(7:1), 7:6(7:4), 6:4
1982 ჯიმი კონორსი (აშშ)-ჯონ მაკინროი (აშშ) 3:6, 6:3, 6:7(2:7), 7:6(7:5), 6:4
1983 ჯონ მაკინროი (აშშ)-კრის ლუისი (ზელ) 6:2, 6:2, 6:2
1984 ჯონ მაკინროი (აშშ)-ჯიმი კონორსი (აშშ) 6:1, 6:1, 6:2
1985 ბორის ბეკერი (გფრ)-კევინ კარენი (აშშ) 6:3, 6:7(4:7), 7:6(7:3), 6:4
1986 ბორის ბეკერი (გფრ)-ივან ლენდლი (ჩეხ) 6:4, 6:3, 7:5
1987 პეტ კეში (ავსტრა)-ივან ლენდლი (ჩეხ) 7:6(7:5), 6:2, 7:5
1988 სტეფან ედბერგი (შვედ)-ბორის ბეკერი (გფრ) 4:6, 7:6(7:2), 6:4, 6:2
1989 ბორის ბეკერი (გფრ)-სტეფან ედბერგი (შვედ) 6:0, 7:6(7:1), 6:4
1990 სტეფან ედბერგი (შვედ)-ბორის ბეკერი (გერ) 6:2, 6:2, 3:6, 3:6, 6:4
1991 მიხაელ შტიხი (გერ)-ბორის ბეკერი (გერ) 6:4, 7:6(7:4), 6:4
1992 ანდრე აგასი (აშშ)-გორან ივანიშევიჩი (ხორ) 6:7(8:10), 6:4, 6:4, 1:6, 6:4
1993 პიტ სამპრასი (აშშ)-ჯიმ კურიე (აშშ) 7:6(7:3), 7:6(8:6), 3:6, 6:3
1994 პიტ სამპრასი (აშშ) გორან ივანიშევიჩი (ხორ) 7:6(7:2), 7:6(7:5), 6:0
1995 პიტ სამპრასი (აშშ)-ბორის ბეკერი (გერ) 6:7(5:7), 6:2, 6:4, 6:2
1996 რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლ)-მალივეი ვაშინგტონი (აშშ) 6:3, 6:4, 6:3
1997 პიტ სამპრასი (აშშ)-სედრიკ პიოლინი (საფ) 6:4, 6:2, 6:4
1998 პიტ სამპრასი (აშშ)-გორან ივანიშევიჩი (ხორ) 6:7(2:7), 7:6(11:9), 6:4, 3:6, 6:2
1999 პიტ სამპრასი (აშშ)-ანდრე აგასი (აშშ) 6:3, 6:4, 7:5
2000 პიტ სამპრასი (აშშ)-პატრიკ პაფრერი (ავსტრა) 6:7(10:12), 7:6(7:5), 6:4, 6:2
2001 გორან ივანიშევიჩი (ხორ)-პატრიკ პაფრერი (ავსტრა) 6:3, 3:6, 6:3, 2:6, 9:7
2002 ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:1, 6:3, 6:2
2003 როჯერ ფედერერი (შვეიც)-მარკ ფილიპუსისი (ავსტრა) 7:6(7:5), 6:2, 7:6(7:3)
2004 როჯერ ფედერერი (შვეიც)-ენდი როდიკი (აშშ) 4:6, 7:5, 7:6(7:3), 6:4
2005 როჯერ ფედერერი (შვეიც)-ენდი როდიკი (აშშ) 6:2, 7:6(7:2), 6:4
2006 როჯერ ფედერერი (შვეიც)-რაფაელ ნადალი (ესპ) 6:0, 7:6(7:5), 6:7(2:7), 6:3
2007 როჯერ ფედერერი (შვეიც)-რაფაელ ნადალი (ესპ) 7:6(9:7), 4:6, 7:6(7:3), 2:6, 6:2
2008 რაფაელ ნადალი (ესპ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) 6:4, 6:4, 6:7(5:7), 6:7(8:10),9:7
2009 როჯერ ფედერერი (შვეიც)-ენდი როდიკი (აშშ) 5:7, 7:6(8:6),7:6(7:5),3:6,16:14
2010 რაფაელ ნადალი (ესპ)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) 6:3, 7:5, 6:4